

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ირმა რუსაძე

სომატური იდიომები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში  
(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

10.02.04. – გერმანიკული ენები

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
მიხეილ ქურდიანი

ქუთაისი

2010

## შინაარსი

შესავალი. . . . .	3
<b>თავი I. ენა და კულტურა . . . . .</b>	<b>.11</b>
1.1. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება . . . . .	.11
1.2. კულტურის გავლენა ენის განვითარებაზე და სამყაროს ენობრივი სურათი . . . . .	.24
<b>თავი II. სომატური ელემენტები ფრაზეოლოგიურ ერთეულში . . . . .</b>	<b>.43</b>
2.1. ფრაზეოლოგიზმი და იდიომი. . . . .	.43
2.2. სომატური იდიომები და მათი კლასიფიკაცია . . . . .	.85
2.3. ნომინაცია - სომატური იდიომების გამოვლენის ერთ-ერთი მოდელი . . . . .	.115
<b>თავი III. სპეციფიური კოლოკიალური სომატური იდიომების ფუნქციობის კანონზომიერებანი . . . . .</b>	<b>.126</b>
3.1. სომატური ენის გამოყენების თავისებურებანი კოლოკაციებთან მიმართებაში . . . . .	.126
3.2. სომატიზმები - როგორც აბსოლუტური კოლოკიალური უნივერსალიები . . . . .	.139
დასკვნა. . . . .	149
ბიბლიოგრაფია . . . . .	.154.
დანართები . . . . .	.162
I. ინგლისური ენის სომატური იდიომები . . . . .	.162
II. ქართული ენის სომატური იდიომები . . . . .	.172
III. სომატური იდიომების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი . . . . .	

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ინგლისურ და ქართულ ენებში მსგავსი და განსხვავებული სომატური იდიომების რეალიზაციის ენობრივ და სოციალურ თავისებურებებზე დაკვირვებით შესწავლას და მოცემული ენების სომატური ლექსიკის ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში კვლევას. სომატური იდიომები ყველა ნაციონალურ-ენობრივ-კულტურულ სივრცეში გვხვდება. ისინი ყოველი ხალხის ენაში პოვებს ასახვას. დღეისათვის ამ ენობრივი ფენომენისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა არა მხოლოდ შესაძლებელ, არამედ აუცილებელ მოთხოვნად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც სომატურ იდიომებში აისახება თითოეული ერის კულტურა, არეკლილი ცნობიერებაში.

თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ ვითარებაში, როდესაც მთელი მსოფლიო საზოგადოება მიდის გლობალიზაციის გზით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ კულტუროლოგიური ხასიათის კვლევები, რომლებიც აყალიბებენ ზოგადსაკაცობრიო კულტურის სახეს და, ამავე დროს, იძლევიან ყოველი ცალკეული კულტურის სპეციფიკისა და თვითმყოფადობის გამოვლენის საშუალებას. ზემოაღნიშნული კვლევები უაღრესად აქტუალურია მცირერიცხოვანი ერების კულტურებისთვის, როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნების და ხშირად თვითგადარჩენის მძლავრი იარაღი. უახლესი დროის მსოფლიოს სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა გამოიწვიეს ხალხების აქამდე არნახული მიგრაცია, გადასახლება, აღრევა, შეტაკება და, როგორც შედეგი, მათი კულტურების კონფლიქტი. ეს პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალურია თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ცდილობს გადაწყვიტოს იგი კულტურათაშორისო დიალოგის, ურთიერთგაგების, მიმტვევებლობის გზით.

ახალი დროის მეცნიერება ამა თუ იმ კულტურას შესწავლის კომპლექსურად, მისი განვითარების ყველა ასპექტში: ცხოვრების წესი, მსოფლმხედველობა, ცნობიერება, მენტალიტეტი, ნაციონალური ხასიათი, ადამიანის სულიერი, საზოგადოებრივი და წარმოებითი მოღვაწეობის შედეგები.

ნებისმიერი კულტურის შესწავლა და აღწერა შეუძლებელია მისი ენის შესწავლის გარეშე, რადგან სწორედ ენაა ეთნოსის მთავარი მახასიათებელი და ეთნიკური იდენტიფიკაციის ძირითადი ფაქტორი; ენაში ხდება კულტურის, ეროვნული მსოფლმხედველობის გამოვლენა, ასახვა და ფიქსაცია. ამავე დროს, ენა წარმოადგენს ამა თუ იმ ლინგვო-კულტურული ერთობლიობის ისტორიულ მესხიერებას, გამოხატავს მის შესხედულებებს ეთიკურ და ესთეტიკურ ნორმებზე.

თანამედროვე მეცნიერების ყურადღების ცენტრშია მოქცეული ენის, ცნობიერებისა და კულტურის რთული ურთიერთმოქმედება, როდესაც ენაში აისახება ყოველი კონკრეტული ეთნოსის კულტურული ცნობიერების ფაქტები, ხოლო ენობრივი კატეგორიები, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ადამიანის ცნობიერებაზე, განსაზღვრავენ მისი აზროვნების ტიპს, მსოფლადქმას, ღირებულებების სისტემასა და სოციალურ ქცევას. ამრიგად, ადამიანის მიერ სინამდვილის აღქმა განპირობებულია იმ ეთნოჯგუფის კულტურით, რომელსაც იგი მიეკუთვნება, რაც აისახება მის ენაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა წარმოადგენს გარკვეულ კულტურულ კოდს, რომელიც იჭრება რა აზროვნების ყველა პროცესში, აყალიბებს ადამიანის – ენის მატარებლის პიროვნებას მასში კოდირებულ მსოფლმხედველობის, მენტალიტეტის შესაბამისად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ენა წარმოადგენს ეთნოსის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, ქმნის ერს კულტურის, ტრადიციების, საზოგადოებრივი თვითშეგნების შენახვისა და თაობიდან თაობაში გადაცემის მეშვეობით.

ამა თუ იმ ეთნოჯგუფის ენობრივ კონცეპტებში, სტერეოტიპებში და კულტურის სხვა სიმბოლოებში ვლინდება მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი, მსოფლადქმა, სამყაროს განსხვავებული, მისეული “სახიერება”.

კულტურის, ენისა და ცნობიერების ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების ახალ ხედვას უკავშირდება მრავალი სამეცნიერო დისციპლინისა და მიმართულების აღმოცენება და განვითარება: ეთნოფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტური ლინგვისტიკა, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ლინგვოკონფლიქტოლოგია. ეს დისციპლინები შეისწავლიან კულტურული ფასეულობების ერთობლიობას, მეტყველების წარმოქმნისა და აღქმის კომუნიკაციურ პროცესებს, ენობრივი პიროვნების გამოცდილებას, ნაციონალურ ცნობიერებას, “სამყაროს ენობრივ სურათს”, კულტურათაშორის ურთიერთობისას შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციებსა და მათი თავიდან აცილების გზებს.

ლინგვოკულტუროლოგიურ გამოკვლევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური ცნობიერების გამოვლენასთან დაკავშირებულ მასალის ანალიზს. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ლინგვოკულტუროლოგიური სტერეოტიპების განხილვა, რომლებიც ენობრივი ნიშნისა და კულტურული შინაარსის თავისებურ სიმბიოზს წარმოადგენენ - “სტერეოტიპი არის ისტორიულ ერთობის მიერ სამყაროს შეცნობის პროცესში მიღებული ინფორმაციის აღქმის ,ფილტრაციის და ინტერპრეტაციის ნიმუში ,რომელიც წინარე სოციალურ გამოცდილებას ეფუძნება “ 1

სტერეოტიპები დამახასიათებელია ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროსათვის, მათ შორის ენობრივისთვისაც. ამ უკანასკნელისთვის ნიშანდობლივია ის ფუნქციები, რომლებიც ძირითადია სტერეოტიპების ფორმირებისთვის - კუმულაციური ფუნქცია, ნორმატიულობა, ეკონომიურობის ტენდენცია, მნიშვნელობის უნივერსალობა და სხვა. ენის საშუალებით აისახება კულტურულ-სოციალური გამოცდილება ,რომელიც ენობრივი საშუალებებით ფიქსირდება. სტერეოტიპები განსხვავებული სახით არსებობენ და ვერბალური და

არავერბალური ფორმით შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი. ენობრივ სტერეოტიპები შეიძლება სიტყვის, ფრაზეოლოგიზმის, პარემიის და თვით ტექსტის სახით იყოს წარმოდგენილი. ცხოვრებისეული სიტუაციების გამეორებადობამ წარმოშვა შაბლონური ფრაზების მთელი წყება, რომელმაც ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება – “სტერეოტიპული გამონათქვამები “;”კლიშე”, “ურთიერთობის მყარი ერთეულები”, „ფრაზეოლოგიზირებული ერთეულები“ „იდიომები“ და ა.შ. ფრაზეოლოგიზირებული ერთეულების წარმოქმნა ენის პრაგმატიკითაა განპირობებული, რომელიც კომუნიკაციაზეა ორიენტირებული და სტანდარტის მოთხოვნილებას წარმოქმნის. თვით ისეთი ენის ვირტუალური ერთეული, როგორცაა სიტყვა ლექსიკაში წარმოადგენს სტერეოტიპს, რომელიც ასახავს ადამიანის გამოცდილების განზოგადებას, რომელიც კონდენსირებულია მინიმალურ ენობრივ ნიშანში.

ენის კუმულაციური ფუნქცია ახორციელებს კავშირს თაობათა შორის და წარმოადგენს არაენობრივი კოლექტიური გამოცდილების გადმოცემის საშუალებას და ვლინდება სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების სახით, მოდელები, რომლებიც ერთ კომპლექსში აერთიანებენ ენობრივ და კულტურულ მნიშვნელობებს ლინგვოკულტურებმად იწოდებიან, რომელთა კონკრეტულ ნაირსახეობას იდიომები, კერძოდ, სომატური იდიომები წარმოადგენენ.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა უშუალოდ დაკავშირებულია აღნიშნულ პრობლემატიკასთან. ინგლისურ და ქართულ ენების სომატური იდიომების კულტურათაშორისი კვლევა უადრესად მნიშვნელოვანია კულტურათა ეთნოენობრივი სპეციფიკის გააზრებისთვის. მოცემული ენების სომატური იდიომების ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში კვლევა შესაძლებლობას იძლევა არამარტო გავაცნობიეროთ მათი კატეგორიული ბუნება, არამედ დინამიკაში დავინახოთ ენისა და კულტურის ურთიერთქმედების სპეციფიკა, რაც ეროვნულ-კულტურულ სივრცეების ფარგლებში ვლინდება და მოიცავს კულტურის ფენომენზე ეროვნულ-კულტურული თანამეგობრობის წევრთა ყველა არსებულ და პოტენციურად შესაძლებელ წარმოდგენას.

წინამდებარე ნაშრომის ობიექტს წარმოადგენს ეთნოენობრივი მარკირების ისეთი საშუალება, როგორცაა, იდიომი, კერძოდ, სომატური იდიომი, -რომლებშიც აისახება შესაბამის ენათა მსოფლხედვა. აღნიშნულ უნივერსალურ მოვლენაში სპეციფიკურ ეროვნული რეალიების გამოყოფა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ფსიქოლოგიური კანონზომიერებები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ ენის ფორმირებასა და განვითარებაზე. ენის ლექსიკა მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივ ცნობიერებას და ხალხის ყოფას გამოხატავს. მასში ვლინდება თვით ენა და ლექსიკური კონსტანტები კი სხვადასხვა საშუალებებით აისახება ნებისმიერ ენაში. სომატური ფრაზეოლოგია გვევლინება უნივერსალურ კატეგორიად და არა მარტო ყველა ენაში არსებობს, არამედ მნიშვნელოვნად დიდი ადგილი უჭირავს ფრაზეოლოგიურ ფონდში. (E.Lacoff.. 2003).

სხვადასხვა ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულების მსგავსება და განსხვავება განპირობებულია ენების განვითარების საერთო და სპეციფიკური კანონზომიერებებით. ნაშრომის აქტუალობა დაკავშირებულია საკვლევ მასალაში

სწორედ ისეთი ერთეულების გამოვლენასთან, რომლებიც ეროვნული მენტალობის მანიფესტაციას წარმოადგენენ, რაც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ სომატური იდიომების ბუნება და ვაჩვენოთ სომატური იდიომების ზოგიერთი თავისებურება ინგლისურსა და ქართულ ენებში მათი შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე.

**ნაშრომის ძირითად მიზანს** წარმოადგენს ერთი მხრივ, სომატური იდიომების **ლინგვოკულტურული** და მეორე მხრივ, **შეპირისპირებითი** ინტერპრეტაცია ინგლისურ და ქართულ ენებში, აგრეთვე საკვლევ მასალაში მსგავსი და განსხვავებული სომატური იდიომების ძიება და მათი რეალიზაციის ენობრივ და სოციალურ თავისებურებებზე დაკვირვება, სომატური ლექსიკის სისტემური, ანალიზი მოცემული ლინგვოკულტურების ფართო კონტექსტში.

კვლევის ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში დასახულია და ეტაპობრივად გადაჭრილია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- 1) განსაზღვრულია სომატური იდიომების კატეგორიული ბუნება;
- 2) გამოვლენილია სომატიზმების შემცველი იდიომები ინგლისურ და ქართულ ენებში;
- 3) განხორციელებულია სომატიზმების კონტრასტული ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ინგლისური და ქართულ ენების იდიომების სტრუქტურაში;
- 4) გამოვლენილია ორი ენის ფრაზეოლოგიზმებს შორის არსებული ეკვივალენტურობის მიზეზები და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები;
- 5) წარმოჩენილია სომატური იდიომების ნომინაციის ერთ-ერთი მოდელი;
- 6) განხორციელებულია სპეციფიკური კოლოკვიალური სომატური იდიომების სტრუქტურული ანალიზი;

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია: ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომები სემანტიკისა და ლექსიკის (გ. ლებანიძე, ნ. კირვალიძე, შ. კობახიძე, ი. დ. აპრესიანი, ვ. გ. გაკი, ა. ვეუბიცკაია, ვ. ჰუმბოლდტი, ე. სეპირი, ბ. ლ. უორფი), ენისა და კულტურის (ე. მ. ვერეშჩაგინი, ი. ნ. კარულოვი, ი.მ. ლოტმანი, ვ. ნ. თელია); შეპირისპირებითი და კულტურათშორისი კომუნიაციის (ნ.გ. უფიმცევა, R.Lado), პარალინგვისტური და არავერბალური სემიოტიკის (გ.გ. კოლმანსკი, ბ.ა. უსპენსკი, R.L. Bridwhistell, D.Efron, P. Ekman, W. Friesen, E.T. Hall, G.L. Trager) დარგში.

ნაშრომში დასმულ ამოცანათა გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- კულტუროლოგიური ანალიზი; დაკვირვების მეთოდი; პრაგმალინგვისტური ანალიზის მეთოდი;
- სემანტიკური ინტერპრეტაციის მეთოდი;
- სოციალურ-კონტექსტუალური ანალიზი;
- ინტენციონალური ინტერპრეტაციის მეთოდი;
- კომპლექსური და შეპირისპირებითი ანალიზი, რომელიც უადრესად ფასეულია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად..

მოცემული კვლევის ემპირიულ მასალად გამოყენებულია ინგლისური და ქართული სომატური იდიომები, რომელებიც ამოკრებილია შესაბამისი ენების ფრაზეოლოგიური, სიტყვათწარმოებითი და ასევე ორენოვანი და განმარტებითი

ლექსიკონებიდან. სომატური იდიომების თარგმანი ძირითადად შესრულებულია ორენოვან ლექსიკონებზე დაყრდნობით.

საკვლევი თემის **აქტუალობა** განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ფრაზეოლოგიის როლით და ადგილით ამა თუ იმ ენაში და მისი ახალ ლინგოკულტურულ პარადიგმაში ინტერპრეტაციის აუცილებლობით;
- ფრაზეოლოგიის ინტრატიპოლოგიური კლასიფიკაციის არასრულფასოვნებით, რომლის სტრუქტურაში ზუსტად არ არის განსაზღვრული იდიომის, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ერთეულის სტატუსი, მით უმეტეს, მისი ისეთი ნაირსახეობისა, როგორცაა სომატური იდიომები ;
- სომატური იდიომების ეროვნულ კონცეფტოსფეროსთან მიმართების გაცნობიერების თვალსაზრისით.

ნაშრომის **სამეცნიერო** სიახლე მდგომარეობს სომატურ იდიომთა ჩვენულ გააზრებაში, რაც გამოვლინდა შემდეგში:

1. სომატური იდიომის ცნების დაზუსტებაში;
- 2 კონკრეტული ემპირიულ მასალის შერჩევისადმი მიდგომაში;
- 3 ფრაზეოსტრუქტურაში სომატური ელემენტების ფუნქციურ-სემანტიკური პრაგმატიკის განსაზღვრაში ;
4. ფრაზეოლოგიური ერთეულების ჯგუფებისა მეტყველების ნაწილების კორელაციის შესწავლაში;
5. სომატური იდიომების უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნების გამოვლენაში ინგლისურსა და ქართულ ენებში და ამა თუ იმ განსხვავებების ლინგოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციაში.

სადისერტაციო ნაშრომის **თეორიული** მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაზღვრავს სომატური იდიომების ლინგოკულტუროლოგიურ სტატუსს და შესაძლებელია ენობრივი სტერეოტიპების კვლევის შესაბამის ნაწილს დაედოს საფუძვლად.

ნაშრომის **პრაქტიკული** მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ კვლევის შედეგები შეიძლება საინტერესო იყოს ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით. მასში თავმოყრილი ენობრივი მასალა და და კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ლინგოკულტუროლოგიაში, თარგმანთმცოდნეობაში, ეთნოლინგვისტიკაში, ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებსა და სემინარებზე. ნაშრომში ჩატარებული კვლევა ასევე მნიშვნელოვანია სომატური იდიომების ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგადი ანალიზისათვის და მეორეს მხრივ ინგლისურ და ქართულ ენებში მსგავსი და განსხვავებული სომატური იდიომების რეალიზაციის ენობრივი და სოციალური ფაქტორების განსაზღვრისათვის.

ნაშრომის **სტრუქტურას** განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. იგი შედგება შესავლისა და სამი თავისა (პირველ თავში არის ორი პარაგრაფი, მეორეში – სამი და მესამეში – ორი) და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია. დანართის სახით მოცემულია

ინგლისური და ქართული სომატური იდიომები და ინგლისურ-ქართული სომატური იდიომების ლექსიკონი.

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და წარმოდგენილია ნაშრომის მოკლე შინაარსი თავების მიხედვით.

**პირველ თავში** წარმოდგენილია ზოგადად ენისა და კულტურის ენობრივი ფესვების პრობლემა. განხილულია სხვადასხვა ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებები მეტყველებაში იდიომატური გამოთქმების სიხშირეზე და მათთან დაკავშირებულ სირთულეებზე. დასაბუთებულია ცოცხალი ენის, ხალხური სიტყვათხმარების შესწავლის აუცილებლობა. კერძოდ, რატომ ითვლება სომატური იდიომები და ზოგადად იდიომები ენის შემსწავლელეთაგან ყველაზე დიდ პრობლემად და ახდენს თუ არა გავლენას ენის სიწმინდეზე მათი გამოყენების სიხშირეზე. იდიომები თავისებურ ლინგვოკულტუროლოგიურ სტერეოტიპებად განიხილება, რომლებიც “ არიან ადამიანის თავში არსებული მოწესრიგებული და კულტურით დეტერმინირებული სამყაროს სურათები, რომლებიც, ერთი მხრივ, ზოგავენ მის ძალისხმევას რთული სოციალური ობიექტების აღქმისას და, მეორე მხრივ, იცავენ მის ღირებულებებს, პოზიციას და უფლებებს (Липпман У., 1922, 21). სოციოლოგიური მეცნიერების “რესურსების დაზოგვის თეორიის” მიხედვით სტერეოტიპიზაციის პროცესი იძლევა შესაძლებლობას უზრუნველყოს ინდივიდები ინფორმაციის მაქსიმუმით მინიმალური ინტელექტუალური აქტივობის პირობებში. როგორც პროფესორი მაცუმოტო აღნიშნავს – “სტერეოტიპები უძვირფასესი მენტალური საყრდენია, რომელიც გვეხმარება სამყაროს შესახებ ინფორმაციის ორგანიზაციაში” (Мацумото, 2002, 11).

**მეორე თავში** „სომატური ელემენტები ფრაზეოლოგიურ ერთეულებში“ ეთმობა ფრაზეოლოგიას, როგორც ლექსიკოლოგიის ყველაზე საინტერესო ნაწილს და ახალ-ახალი კანონზომიერებების შეცნობას, რომლებიც დამახასიათებელია ამ ენობრივი სისტემისათვის, აგრეთვე ფრაზეოლოგიის კვლევის მეთოდების დაზუსტებას. დეტალურად არის განხილული ნომინაცია და მისი სახეები და დასაბუთებულია, რომ იგი წარმოადგენს სომატური იდიომების გამოვლენის ერთ-ერთ მოდელს.



**მესამე თავში** - „სპეციფიური კოლოკვიალური სომატური იდიომების ფუნქციობის კანონზომიერებები“ მიჩნეულია, რომ სომატური იდიომების ზოგადი ბუნება ერთნაირია ინგლისურ და ქართულ ენებში, თუმცა მათი კონკრეტული ჯგუფები ამ ორ ენაში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, რაც განპირობებულია თვითოეული ენის კონცეფტოსფეროს სპეციფიკით.

**დასკვნა** წარმოადგენს მთლიანი თემის შეჯამებას და სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემების ანალიზი განხილულის საფუძველზე ჩამოყალიბებულია კვლევის ზოგად შედეგებში.

# თავი I

## ენა და კულტურა

### *1.1 ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება*

ენისა და კულტურის მიმართების პრობლემა მრავალი მეცნიერის - ლინგვისტთა, ფსიქოლოგთა, კულტუროლოგთა, საზოგადოებათმცოდნეთა ყურადღებას იპყრობდა. ამ საკითხს შეისწავლიდნენ თ.ი. ბუსლაევი, ე.მ. ვერეშრაგინი, ვ.გ. კოსტომაროვი, ე. სეპირი, ბ. უორფი, კ. ლევი - სტროსი, კ. პაიკი, ს. ლევი და სხვ. შექმნილია მრავალი მონოგრაფია, რომლებშიც საინტერესოდ არის წარმოდგენილი ლინგვოკულტუროლოგიურ მოვლენათა არსი, თუმცა არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მონოგრაფიულ შესწავლა-დამუშავებას საჭიროებს.

აღნიშნული პრობლემის სირთულეს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ მეცნიერებთა შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები თვით „ენისა“ და „კულტურის“ ცნებათა შესახებ. ამ ცნებების დაახლოებით 200 განმარტება არსებობს. ენის არსი, მისი ბუნება ჩვეულებრივ განიხილება ფუნქციონალური, სისტემურ-სტრუქტურული, შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების, ლინგვოსემიოტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის და პრაგმალინგვისტიკის პოზიციებიდან. ენისა და კულტურის იმპლიციდური კავშირების წარმოსაჩენად მეტად პროდუქტიულად წარმოგვიდგება ინფორმაციულ-მოღვაწეობითი მიდგომა კულტურის გაგებისადმი. ასეთი მიდგომა აღინიშნება ე.ს. მარკარიანის, ი.მ. ლოტმანის, ე.ვ. სოკოლოვის, ე.ი. კუკუშკინისა და სხვ. შრომებში. კულტურის განსაზღვრებები, რომლებიც წარმოდგენილია მათ ნაშრომებში ორიენტირებულია მის გენეტიკურ და ფუნქციონალურ კავშირებზე ენობრივ მიმართებასთან.

ენის განსაკუთრებული როლი კულტურასთან მიმართებაში განპირობებულია იმით, რომ იგი კულტურის არსებობის, გაცნობიერებისა და განვითარების ძირითადი საშუალებაა. სწორედ ენა წარმოადგენს კულტურის მიერ მისი ისეთი ძირითადი ფუნქციების ძირითად პირობას და საშუალებას, როგორცაა: ა) გარესამყაროს ასახვა და შეცვლა; ბ) კომუნიკაციური (სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლა); გ) სამყაროს სურათის

ენობრივი მოდელირება; დ) კომულაციური (ინფორმაციის დაგროვება და შენახვა); ე) რეგულაციური (ადამიანთა საზოგადოებაში ქცევის მარეგულირებელი), ვ) დირექციული, ანუ ზემოქმედებით; ხ) ადაპტიური.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემატიკასთან დაკავშირებით ფართო გაგრძელება ჰპოვა ვ. ჰუმბოლდტის იდეებმა, რომლის მოსაზრებებით, ენა წარმოადგენს „ხალხის სულს“, ხალხის ყოფიერებას. კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ენაში ვლინდება. იგი კულტურის ჭეშმარიტი რეალობაა, კულტურის მხრიდან კი იგი ფიქსირებული შეხედულებაა საკუთარ თავსა და სამყაროზე.

ენა არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს, რათა ჩავწვდეთ მენტალობის ჩვენგან დაფარულ სფეროს, რადგან იგი განსაზღვრავს სამყაროს დაყოფა-დანაწევრების წესს ამა თუ იმ კულტურაში. იგი მოგვითხრობს ადამიანზე ისეთ რამეს, რასაც ადამიანი მის გარეშე ვერ ხვდება. ვ. ჰუმბოლდტი წერდა, რომ ენის შესწავლა არ წარმოადგენს თვითმიზანს, ყველა დანარჩენ სფეროსთან ერთად იგი ემსახურება საერთო უმაღლეს მიზანს - კაცობრიობის მიერ საკუთარი თავის და ყველაფერი ხილულისადმი თუ მისგან დაფარულისადმი საკუთარი დამოკიდებულების შეცნობას (Гумбольдт 1984).

როგორც ვ. ლევი - სტროსი აღნიშნავდა ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიცაა, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილიც და კულტურის არსებობის პირობაც, უფრო მეტიც, ენა კულტურის არსებობის სპეციფიკური საშუალება, კულტურული კოდების ფორმირების ფაქტორია (Леви-Строс 1995).

კულტურა აყალიბებს და აწესრიგებს ენობრივი პიროვნების აზრს, აყალიბებს ენობრივ კატეგორიებს და კონცეპტებს. კულტურის შესწავლა ენის მეშვეობით - ეს არის იდეა, რომელიც „ჰაერში ტრიალებდა" ბოლო წლებში. ამ საერთო განწყობის ფონზე, XX საუკუნის დასასრულს ლინგვისტიკაში მიღებულ იქნა შემდეგი პოსტულატი: ენა არა მარტო დაკავშირებულია კულტურასთან, იგი გამომდინარეობს, აღმოცენდება მის წიაღში და გამოხატავს მას. იგი ერთდროულად წარმოადგენს კულტურის შექმნის, განვითარებისა და შენახვის (ტექსტების სახით) იარაღსაც და მის ნაწილსაც, იმიტომ, რომ სწორედ ენის მეშვეობით იქმნება მატერიალური და სულიერი კულტურის რეალური, ობიექტურად არსებული ნაწარმოებები.

ნებისმიერი კულტურა წარმოადგენს პროცესს და ცვლილების შედეგს. სხვადასხვა ხალხის კულტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან, უპირველეს

ყოფლისა, სამყაროს მიმართ აქტიური ქცევითი რეაქციით. სუბიექტის მოღვაწეობა სამყაროში ემყარება წესებს, კანონებს, რომლებიც კულტურიდან მომდინარეობს. სხვადასხვა ხალხს განსხვავებულ ბუნებრივ და ისტორიულ პირობებში უწევს ცხოვრება, რის გამოც მათ უყალიბდებათ სამყაროს სპეციფიკური, განსხვავებული ხედვა, აღქმა და ასახვა ენის მეშვეობით. არ არსებობს „ზოგადად“ კულტურა, რადგანაც კულტურა ასახავს კონკრეტული ერის სოციალური პრაქტიკის სპეციფიკურ თავისებურებებს. არსებობს ინგლისური კულტურა, ქართული კულტურა, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ. თითოეულ კულტურაზე საუბრისას გამოყოფენ მის სპეციფიკურ, განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ხალხის, ერის ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ ცხოვრებასთან, მის მენტალიტეტთან, სულიერებასთან.

კულტურა-მენტალობის ნაწილია; აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასეთი მიმართება: არ არსებობს კულტურაში არაფერი, რასაც არ მოიცავს ადამიანის მენტალობა. ენა - სწორედ ის საშუალებაა, რომლის წყალობითაც მენტალობა წარმოქმნის კულტურულ ფენომენებს. მენტალობის მთელი შინაარსი (ცნობიერი და არაცნობიერი, ექსპლიციტური და იმპლიციტური), იძენს თავის მატერიალური გამოხატვის უნარს, რომელიც ყველა ადამიანისთვის გასაგები, „ხელმისაწვდომია“, მხოლოდ სემიოზისისა და კოდიფიკაციის პროცესში, კონკრეტული ეთნოსის ნიშანთა სისტემის ფარგლებში. ხოლო ნებისმიერი ნაციონალური კულტურის სემიოტიკური სისტემის კოდს და ბირთვს სწორედ ეთნიკური ენა წარმოადგენს. იგი არის არა კულტურის აღწერის საშუალება, არამედ „თვით კულტურის ნიშნობრივი კვინტენცია“ (Пелепенко, Яковенко 1998).

რადგან კულტურა სიტუაციური აზროვნების ჩარჩოებში ყალიბდება და არსებობს, რომელიც მიბმულია განსაზღვრულ დროზე, ადგილზე მოვლენასა და მთლიანად გამოცდილებაზე, ამიტომ ენა - კულტურის არსებობის ბუნებრივი გარემოა. სწორედ ენა უზრუნველყოფს მის მატარებელთა ურთიერთგაგების, მათი კომუნიკაციური ორიენტაციის ფორმირების საფუძველს. ამ თვალსაზრისით ენა წარმოადგენს კულტურის ერთგვარი სიმბოლური ორგანიზების საშუალებას.

განსაკუთრებულ კულტუროლოგიურ მნიშვნელობას ღინგვოსემიოტიკაში იძენს სოციალური გამოცდილების განზოგადების, შენახვისა და გადაცემის ძირითადი შინაარსობრივი ერთეული - მნიშვნელობა (ფართო, ფილოსოფიური გაგებით).

მნიშვნელობა შეიძლება იყოს ენობრივი და არაენობრივიც - კოგნიტური ერთეულები შეიძლება ინახებოდეს ჩვენ გამოცდილებაში ვერბილიზაციის გარეშეც. ასეთი არავერბალიზებული იმპლიციტური ერთეულები ჩვენი ცნობიერების „ნათელი მხარის“ მიღმა იმყოფებიან და ამიტომ ისინი მენტალიტეტის იმ ნაწილს განეკუთვნებიან, რომელსაც „არაცნობიერი ეწოდება“, ერთობლიობაში ისინი წარმოადგენენ ეგრეთწოდებულ კოგნიტურ ცნობიერებას. ისინი, ცხადია, შეიძლება ექსპლიციტური გახდნენ, თუკი შეიძენენ ენობრივ გაფორმებას.

ვერბალიზებული კოგნიტური ერთეულები წარმოქმნიან ენობრივ ცნობიერებას, რომელიც არ არის კოგნიტური ცნობიერების იდენტური. მათ შორის სხვაობა გამოვლენილია ექსპერიმენტული ფსიქოსიმენტიკის მიერ. ეთნოკულტურის აზრობრივი სივრცის ფორმირებასა და რეპრეზენტაციაში ორივე ტიპის შინაარსობრივი ერთეულები მონაწილეობენ: კოგნიტური სემანტიკაც და ენობრივიც.

საზოგადოებრივი ცნობიერება თავისი ჩამოყალიბების უმაღლეს ეტაპზე ენის მეშვეობით ყალიბდება და ფიქსირდება. უფრო მეტიც, ამის გარეშე ენა ვერ შეასრულებდა თავის უმნიშვნელოვანეს კოგნიტურ-დისკურსიულ-ფუნქციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში აზროვნების სხვადასხვა ტიპი მონაწილეობს - პრაქტიკული, ვერბალურ-ცნებითი, რედუცირებული და ა.შ. (ა.ა. სერებრენკოვი), და მათ შორის, ლინგვოკრეატიული. საბოლოო ჯამში ყალიბდება ეგრეთ წოდებული სამყაროს კონცეპტუალური სურათი.

სამყაროს კონცეპტუალური სურათის ცალკეული ფრაგმენტებისა და ელემენტების შემოქმედებითი ინტერპრეტაცია, მათი სტრუქტურული ურთიერთკავშირების გააზრება ხდება ენობრივი ცნობიერების დონეზე, რომელიც აყალიბებს სამყაროს ენობრივ სურათს.

ენაში ასახვას პოულობს ადამიანის შემოქმედებითი (შემეცნებითი) მოღვაწეობის მთელი მრავალფეროვნება, რომლის შედეგები მკვიდრდება ენაში; ენაში აისახება იმ პირობების უსასრულო მრავალფეროვნება, რომლებშიც ხდება ადამიანის მიერ ცნობების, ცოდნის დაგროვება სამყაროს შესახებ - ხალხის ბუნებრივი თავისებურებები, მისი საზოგადოებრივი მოწყობა, ისტორიული ბედი, ცხოვრებისეული პრაქტიკა (ე. კოსერიუ) - ყველაფერი, რაც ტრანსმუტაციური

სახით, სიმბოლური ინტერპრეტაციით წარმოადგენს ნაციონალური ლინგვო კულტურის საგანს. მაგალითად, ქართული იდიომები.

„სისხლს აიღებს“, „სისხლის ანგარიშს გაასწორებს“, „სისხლი მართებს“ წარმოიქმნა იმ უძველესი ტრადიციის საფუძველზე, რომელიც არსებობდა საქართველოს ერთ-ერთ მხარეში - სვანეთში და გულისხმობდა შურისძიების მიზნით მტრის გვარის მამაკაცის მოკვლას. რუსულ ენაში არსებობს, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი "гадать на собах", რომლის მნიშვნელობაც განიმარტება როგორც ნელა საუბარი, ყურადღების გამახვილება წვრილმანებზე, თავისი წარმოშობით უკავშირდება ძველ ტრადიციას - მკითხაობას მუხუდოს მარცვლებზე, რომლსაც თან ახლდა ნელი თხრობა და რომელიც ნელა, ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა. კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისა, თუ როგორ აისახება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ხალხის ყოფის, ისტორიის, ტრადიციებისა თუ წესჩვეულებათა თავისებურებები.

კულტურული გავლენის საფუძველზე შექმნილი სომატური იდიომები ზოგადად მცირე დოზით მოგვეწოდება. ნებისმიერ ენაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი სომატური კომპონენტი კონკრეტულად ასახავს ერის კულტურისათვის დამახასიათებელ ნორმებსა და წესჩვეულებებს. ამ დებულების სამართლიანობას ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებენ და ეს დებულება განსაკუთრებით სამართლიანია შემდეგი სომატიზმებისთვისაც.

მაგალითად: *ულვაშების მოპარსვა; ფუი შენს ულვაშს;*

*ეს ულვაში არა მქონდეს; ეს ულვაში არა მსხმია;*

*ეს ულვაში მომპარსეთ თუ...; ეს ულვაში ძაღლისა იყოს;*

*ულვაშზე ხელის გადასმა; ულვაში არა მქონდეს ზედ;*

*ულვაში მრუდე მაქვსო; ულვაში ნუ მსხია;*

*ულვაშის აწევა; ულვაშში ჩაფურთხება;*

*ულვაშიც იმათ ესხათ და ნამუსის ქუდიც იმათ ესურათ;*

ეს სომატური იდიომები მხოლოდ ქართველი ერის კულტურისათვის არის დამახასიათებელი. ვინაიდან ცნობილია, რომ ულვაში ქართველი ერის კულტურაში ვაჟკაცობისა და სინდისის სიმბოლოდ აღიქმებოდა. მსგავსი სომატური იდიომების ნიმუშები სხვა ერების კულტურაში არ მოიპოვება. ენაში სრულყოფილად და ადეკვატურად აისახება ერის კულტურის განვითარება. სხვადასხვა ხალხის კულტურისა და ენის ურთიერთშეპირისპირებისას

ვერასოდეს აღმოვაჩინოთ სრულიად ერთსა და იმავე შემთხვევებს, თუმცა შესაძლოა წავაწყდეთ ნაწილობრივ დამთხვევებს, ხოლო განსხვავება ეროვნული ელემენტებისა თითოეული ენისათვის ძალიან თავისებურია, რასაც კულტუროლოგიური მომენტი განსაზღვრავს.

ამგვარი მაგალითების ანალიზი იმას მოწმობს, რომ კოგნიტურ ცნობიერებასთან ერთად ყალიბდება ენობრივი ცნობიერებაც. თუკი საზოგადოებრივი ცნობიერების პირველი ფორმა ახდენს ენციკლოპედიური ცოდნის ინტეგრირებას, მისი მეორე ფორმა - ენობრივი ცნობიერება - იყენებს ვერბალიზებულ ცოდნას, რომელიც ახდენს კოგნიტური ცნობიერების შესაბამისი ელემენტების აქტივიზაციას. ამის შედეგად ხდება კოგნიტური ცნობიერების ელემენტთა ტრანსფორმირება ენობრივ პრესუპოზიციებად, რომლებიც საბოლოო ჯამში გადაიზრდებიან ენობრივი სემანტიკის კულტურულ-პრაგმატულ კომპონენტებად. ასეთი ტრანსმუტაციური პროცესების შედეგად ყალიბდება ყველა ნაციონალური კულტურისათვის სპეციფიკური არტეფაქტები - ენობრივი სახეები, სიმბოლოები, ნიშნები, რომლებიც შეიცავენ მთელი ეთნოკულტურული ერთობის ევრისტიკული მოღვაწეობის შედეგებს (Алифренко).

სახე (ხატი) როგორც სამყაროს აღქმისა და გაგების პროდუქტი - ცნობიერების კატეგორიაა. როდესაც იგი ჩართულია სამეტყველო პროცესში, იგი ენობრივ სახედ იქცევა და უკვე ენობრივი ცნობიერების კატეგორიის კონტექსტში იძენს ახალ ასოციაციურ მიმართულებებს, რომლებიც აუცილებელია ნაციონალური კულტურის ამა თუ იმ ფენომენის ენობრივი მოდელირებისათვის, სამყაროს ენობრივი სურათის ფორმირებისათვის სახეობრივი წარმოდგენების სახით.

ნაციონალური კულტურა შედის დიალოგში სხვა ნაციონალურ კულტურებთან და ზოგჯერ კულტურათა ასეთი შეხვედრის, კონტაქტის დროს იკვეთება ამა თუ იმ ეროვნული კულტურის ზოგიერთი ისეთი თვისება, რომელზეც მანამდე ყურადღება არ გაუმახვილებიათ. მ.მ. ბახტინი ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ ჩვენ უცხო კულტურას ვუსვამთ ახალ კითხვებს, რომლებიც მას ადრე არ დაუსვამს საკუთარი თავისთვის, ჩვენ მასში ვეძებთ პასუხს ამ ჩვენს კითხვებზე, და უცხო კულტურა გვპასუხობს, წარმოგვიჩენს რა თავის მხარეებს, ახალ შინაარსობრივ სირღმეებს (Бахтин 1979; 335). კულტურათა ურთიერთობის ეს კანონზომიერება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ძალზე აქტუალური შეპირისპირებითი კვლევებია, რომლებიც მიზნად ისახავს

სხვადასხვა ენაში ლექსიკური სისტემის ამა თუ იმ მონაკვეთის ლინგოკულტუროლოგიური სპეციფიკის გამოვლენას. სწორედ ასეთ კვლევას წარმოადგენს მოცემული ნაშრომი. შესწავლის ობიექტად არჩეულია ფრაზეოლოგიზმები სომატური კომპონენტით ინგლისურ და ქართულ ენებში.

ენის ფრაზეოლოგიური ფონდი წარმოადგენს უმდიდრეს წყაროს ხალხის კულტურისა და მენტალიტეტის შესახებ, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში დაფიქსირებულია ხალხის წარმოდგენები მითებზე, წეს-ჩვეულებებზე, რიტუალებზე, ჩვევებზე, მორალზე, ქცევაზე და ა.შ. ისინი ყოველთვის ასახავენ ხალხის შეხედულებებს, საზოგადოებრივ წყობას, ეპოქის იდეოლოგიას.

ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებით კვლევის პროცესში ყურადღების ცენტრში ექცევა ის სპეციფიკური კონოტაციები, რომლებიც გააჩნია ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმს მოცემულ ენებში. ზოგიერთი მეცნიერი მაგალითად, ვ.ნ. თელია მიიჩნევს, რომ სწორედ კულტურული კონოტაცია არის ის კატეგორია, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან ენას და კულტურას და იძლევა მათი ურთიერთმიმართების აღწერის საშუალებას.

საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ხორციელდება კავშირი ენასა და ნაციონალურ კულტურას შორის, სხვადასხვა მეცნიერის მიერ სხვადასხვაგვარად წყდება. კერძოდ, ასეთი „მაკავშირებლის“ როლში ხან ნაციონალურ-კულტურული კომპონენტია დასახელებული (Верещчагин, Костомаров), ხან ფონური ცოდნა (ი.ა. სოროკინი), ხან კი კულტურული კონოტაცია (ვ.ნ. თელია). ასეთი კულტურით მარკირებული კონოტაცია წარმოიქმნება, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის ან მეტაფორის ასოციაციურ-სახეობრივი ბაზის ინტერპრეტაციის შედეგი კულტურულ-ნაციონალურ ეტალონებთან და სტერეოტიპებთან შედარების მეშვეობით.

ფრაზეოლოგიური ერთეულების ინტერპრეტაციით ასოციაციურ-სახეობრივი აღქმის შესადარებლად იმ სტერეოტიპებთან, რომლებიც ასახავენ ხალხის მენტალიტეტს, იძლევა საშუალებას გამოვაგლინოთ მათი კულტურულ-ნაციონალური კონოტაციის შინაარსი.

ფრაზეოლოგიური ერთეულის, იდიომის, შინაარსიბრივი და კულტურული კონოტაციები თვითონ იქცევიან ცოდნად, ანუ კოგნიტური ათვისების წყაროდ. სწორედ ამიტომ ფრაზეოლოგიზმები და სიტყვები, ანუ სახეობრივად მოტივირებული სიტყვები იქცევიან კულტურული ნიშნების ექსპონანტებად.



რატომ ხდება რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ენის აშკარა ანომალიებს, მისი არარეგულირობის გამოვლინებას წარმოადგენენ, საუკუნეთა მანძილზე არსებობენ ენაში და ყველა ეპოქაში ისევ და ისევ წარმოიქმნება ახალი ფრაზეოლოგიზმები? ლინგვოკულტუროლოგიური გამოკვლევების თეორიულ დებულებათა გათვალისწინებით ამ კითხვას შეიძლება გაეცეს ასეთი პასუხი: იმიტომ, რომ ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ კულტურული ინფორმაციის „ნაღებს“, ისინი იძლევიან ბევრი რამის თქმის საშუალებას ენობრივ საშუალებათა ეკონომიის გზით ისე, რომ ამავდროულად წვდებიან ხალხის სულის, კულტურის სიღრმეებს.

კულტურა ამ ნიშნებში მათი სემანტიკის ასოციაციურ-სახეობრივი საფუძვლის მეშვეობით აღწევს და ინტერპრეტაციას დებულებს სახეთა კავშირების გამოვლენით იმ სტერეოტიპებთან, ეტალონებთან, სიმბოლოებთან, მითოლოგიებთან, პროტოტიპულ სიტუაციებსა და სხვა ამგვარ ნიშნებთან, რომლებიც დამახასიათებელია ნაციონალური კულტურისათვის. სწორედ ნაციონალურ ენაში დამკვიდრებულ სახეთა სისტემა წარმოადგენს ბუნებრივ ენაში კულტურული ინფორმაციის კონცენტრირების ზონას.

ამრიგად, ამა თუ იმ კულტურულ კოდთან მიმართება წარმოადგენს კულტურულ-ნაციონალური კონოტაციის შინაარსს. კონოტაციების წარმოქმნის მექანიზმები უკავშირდება მნიშვნელობის ცალკეული ასპექტების გაძლიერებას, რაც ხშირად სიტყვის მკაფიო შინაგანი ფორმის ხარჯზე ხდება, რომლის ბაზაზეც წარმოიქმნება განსაკუთრებით სტაბილური ასოციაციები. ასოციაციები წარმოქმნიან მოტივაციურ საფუძველს კონოტაციებისათვის.

კონოტაციებში რეალიზებულია ენის ნომინაციური სისტემის პოტენციური რესურსები, რადგანაც კონოტაციურ სიტყვას აქვს უნარი არა მარტო წარმოქმნას სიღრმისეული შინაარსი, არამედ შეინარჩუნოს იგი, დაამკვიდროს ენაში. სწორედ ამ თვისების გამო კონოტაციური სიტყვები განაპირობებენ კულტურულ-ნაციონალური ენობრივი სურათის ფონს.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემისადმი ამჟამად მეცნიერებაში სამი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა.

პირველი მიმართულება (ფილოსოფოსები: ს.ა. ატანოვსკი, გ.ა. ბრუტიანი, ე.ი. კუკუშკინი, ე.ს. მარკარიანი) შემდგომში მდგომარეობს: ენისა და კულტურის ურთიერთკავშირი წარმოადგენს მოძრაობას ერთი მიმართულებით; რადგან ენა

ასახავს სინამდვილეს, ხოლო კულტურა - ამ სინამდვილის განუყოფელი კომპონენტია, ამიტომ ენა - უბრალოდ კულტურის გამოხატულება, მისი ასახვაა.

სინამდვილის შეცვლა იწვევს კულტურულ-ნაციონალური სტერეოტიპების, თვით ენის შეცვლას. ერთ-ერთი მცდელობა იმისა, რომ პასუხი გასცემოდა კითხვას კულტურის ცალკეული ფრაგმენტების (სფეროების) გავლენის შესახებ ენის ფუნქციონირებაზე დასრულდა პრადის სკოლის ფუნქციონალური სტილისტიკისა და თანამედროვე სოციოლინგვისტიკის ჩამოყალიბებით.

ამრიგად, თუკი ენაზე კულტურის ზემოქმედება სრულიად აშკარაა (სწორედ ის შეისწავლება პირველ მიმართულებაში), კულტურაზე ენის ზემოქმედების საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად რჩება. სწორედ ეს წარმოადგენს ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემისადმი მეორე მიდგომის არსს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ვ. ჰუმბოლდტს, ა.ა. პოტებნიას და სხვა მეცნიერებს ენა მიაჩნდათ სულიერ ძალად. ენა- ისეთი გარემოა, რომლის მიღმა და რომლის მონაწილეობის გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებთ. როგორც ვ. ჰუმბოლდტი წერდა, ენა არის „სამყარო, რომელიც არსებობს გარე მოვლენებისა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის“. როგორც ჩვენი ყოფის, ჩვენი არსებობის გარემო, ენა არ არსებობს ჩვენს მიღმა, ჩვენს გარეშე როგორც ობიექტური მოცულობა, ეს თვითონ ჩვენში, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მესხიერებაშია; იგი იცვლება ჩვენი აზროვნების შეცვლასთან ერთად, ყოველი ახალი სოციალურ-კულტურული როლის შექმნასთან ერთად.

მეორე მიდგომის ფარგლებში იკვლევდნენ ამ პრობლემას ე. სეპირისა და ბ. უორფის სკოლები - ნეოჰუმბოლდტიანელთა განსხვავებული სკოლები, რომლებმაც შეიმუშავეს ეგრეთწოდებული ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზას საფუძვლად უდევს შეხედულება, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად ხედავენ სამყაროს - საკუთარი მშობლიური ენის ჭრილში. მისი მომხრეებისთვის რეალური სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი აისახება ენაში. მაგრამ თუკი ენა ასახავს სინამდვილეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წესით, შესაბამისად, ენები განსხვავდებიან „სამყაროს ენობრივი სურათებით“.

სეპირ-უორფის ჰიპოთეზის ძირითადი დებულებებია: 1. ენა განაპირობებს მასზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების წესს. 2. რეალური სამყაროს შეცნობის

წესი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ენაზე აზროვნებენ შემეცნების სუბიექტები.

ამ ჰიპოთეზამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ლ. ვაისგერბერის შრომებში, მის კონცეფციაში, რომლის თანახმადაც ენა წარმოადგენს „შუალედურ სამყაროს“, რომელიც არსებობს ობიექტურ სინამდვილესა და ცნობიერებას შორის. „ენა მოქმედებს სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში, როგორც შემოქმედი ძალა“.

ზოგიერთი ავტორის ნაშრომებში ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზამ თანამედროვე აქტუალური სახე მიიღო. პირველ რიგში, დ. ოლფორდის, ჯე. ვეროლის, დ. ჰაიმსისა და სხვა ავტორთა ნაშრომებში, სადაც სეპირ-უორფის კონცეფციამ მნიშვნელოვანი შევსება ჰპოვა. დ. ჰაიმსმა შემოიტანა, მაგალითად, ენების ფუნქციონალური ფარდობითობის კიდევ ერთი პრინციპი, რომლის თანახმადაც ენებს შორის არსებობს განსხვავება მათ კომუნიკაციურ ფუნქციათა ხასიათში.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს რიგი სერიოზული ნაშრომებისა, სადაც ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზა მკვეთრად არის გაკრიტიკებული. მაგალითად, ბ.ა. სერებრენიკოვი თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ ჰიპოთეზების მიმართ შემდეგი დებულებებით ასაბუთებს: 1) ცნებათა წყაროებს წარმოადგენენ გარესსამყაროს საგნები და მოვლენები ნებისმიერი ენა თავის გენეზისში წარმოადგენს ადამიანის მიერ გარესსამყაროს ასახვის რეზულტატს, და არა ძალას, რომელიც სამყაროს ქმნის; 2) ენა წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შევიმეცნებთ კულტურას; 3) ენა - კულტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რადგან თუკი ჩვენ გვსურს გავიგოთ კულტურის არსი - მეცნიერება, რელიგია, ლიტერატურა, მაშინ ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს მოვლენები, როგორც კოდები, რომელთა ფორმირება ხდება ენის მსგავსად, რადგანაც ბუნებრივ ენას ყველაზე კარგად დამუშავებული მოდელი გააჩნია. ამიტომ კულტურის კონცეპტუალური გააზრება მხოლოდ ბუნებრივი ენის მეშვეობით არის შესაძლებელი (Серебренников 1993).

თანამედროვე მეცნიერების ინტერესის საგანს წარმოადგენს უკვე არა უბრალოდ ადამიანი, არამედ პიროვნება, ანუ კონკრეტული ადამიანი, ცნობიერების, ენის მატარებელი, რომელსაც გააჩნია რთული შინაგანი სამყარო და გარკვეული დამოკიდებულება ბედისადმი, გარე სამყაროსადმი, საკუთარი თავისადმი, მას განსაკუთრებული ადგილი უკავია სამყაროში, იგი გამუდმებით

შედის დიალოგში სამყროსთან, საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან. ადამიანი - სოციალური არსებაა, მასში „ადამიანური“ წარმოიქმნება მისი ცხოვრების შედეგად საზოგადოების პირობებში, კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურის პირობებში. ადამიანის ცხოვრება მთელი მისი თავისებურებებით, იმით არის განპირობებული, რომ იგი საზოგადოების წევრია, ხოლო ეს თავისებურებები სხვადასხვაგვარი ასპექტებით აისახება, ამიტომ სწორედ მათი ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს, ამათუ იმ ერის კულტურას. „კულტურა არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს, როგორც საზოგადოების წევრი“ (გამყრელიძე 2003; 462)

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას იკვლევს ეთნოლინგვისტიკა. დარგი, რომელიც კულტურის, ხალხის ფსიქოლოგიის, მითოლოგიის კვლევისას იყენებს ლინგვისტურ მეთოდებს. ეთნოლინგვისტიკის ინტერესთა სფეროს განეკუთვნება აგრეთვე კავშირები, რომლებიც ენის ფუნქციონირებისა და ევოლუციის პროცესში მყარდება ენობრივ, ეთნოკულტურულ და ეთნოფსიქოლოგიურ ფაქტორებს შორის.

ენის ფრაზეოლოგიაში დიდ როლს ასრულებს ადამიანის ფაქტორი; ფრაზეოლოგიური ერთეულების უმეტესობა სემანტიკურად უკავშირდება ადამიანს, მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს, გარდა ამისა, ადამიანი ცდილობს „ადამიანური“ ნიშან-თვისებები მიანიჭოს გარემოსამყაროს ობიექტებს, მათ შორის, უსულოსაც. ჯერ კიდევ შ. ბალი ამტკიცებდა, რომ ადამიანის გონების არასრულყოფილება იმაშიც ვლინდება, რომ ადამიანი ყოველთვის ცდილობს „გაასულიეროს“ ყველაფერი, რაც მისი ირგვლივია. მას არ ძალუძს წარმოიდგინოს, რომ ბუნება მკვდარი და უსულოა; მისი წარმოსახვა მუდამ მიაწერს ხოლმე გარემოსამყაროს საგნებს იმ თვისებებსა და მისწრაფებებს, რომლებიც მისი პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი ვ. გ. გაკს მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს შ. ბალის გამონათქვამში: „რადგან ადამიანის ყურადღების ცენტრში თვითონ ის იმყოფება, აქედან მომდინარეობს მისი მუდმივი სწრაფვა, აღწეროს გარემოსამყარო საკუთარი თავის მსგავსად. ენობრივი ანთროპოცენტრიზმი პირველყოფილი აზროვნების გადმონაშთი კი არ არის, როგორც ამას ზოგიერთი ფილოსოფოსი ამტკიცებს, არამედ ენაში ნომინაციის საშუალებათა განვითარების ზოგადი კანონია“. ენობრივი ანთროპომორფიზმი ჩვეულებრივ, მოიაზრება, როგორც ადამიანური ნიშან-თვისებების მინიჭება

ბუნების, საგნებისა და მოვლენებისათვის, ციური სხეულების, ცხოველების და მითოლოგიური არსებობისათვის.

ანთროპოცენტრიზმი როგორც კვლევის პრინციპი, იმაში მდგომარეობს, რომ სამეცნიერო კვლევის ობიექტები პირველ რიგში შეისწავლება იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი ადამიანისათვის, როგორია მათი ფუნქციები ადამიანის პიროვნების განვითარებისა და სრულყოფისათვის. ადამიანი იქცევა ათვლის წერტილად ამა თუ იმ მოვლენათა ანალიზის დროს, იგი ჩართულია ამ ანალიზში, განსაზღვრავს მის პერსპექტივებსა და საბოლოო მიზნებს (Кудрякова 1995).

ეს. კუბრიაკოვას სამართლიანად მიაჩნია, რომ ლინგვისტიკას შეუძლია ახსნას თავისი საკვლევი ობიექტი – ენა, მაგრამ არა მხოლოდ „საკუთარ თავში და საკუთარი თავისთვის“, არამედ ადამიანისა და იმ სამყაროს უფრო ღრმა ახსნა-გაგებისათვის, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს (Кудрякова 1995). ამიტომ ენა გამოდის ხან ასახსნელი ობიექტის, ხან კი ამხსნელი სუბიექტის როლში ისეთ ფენომენებთან მიმართებაში, როგორცაა ცნობიერება, აზროვნება, საზოგადოება, კულტურა და სხვ.

ენა - ეს არის ის, რაც კულტურაში ადამიანის არსებობის ზედაპირზე იმყოფება, ამიტომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების, ურთიერთმოქმედების საკითხი ენათმეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტის პირველი მცდელობა ეკუთვნის ვ. ჰუმბოლდტს, რომლის კონცეფციის ძირითადი დებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით: 1) მატერიალური და სულიერი კულტურა აისახება ენაში; 2) ნებისმიერი კულტურა არის ეროვნული, მისი ეროვნული ხასიათი გამოიხატება ენაში სამყაროს განსაკუთრებული ხედვის მეშვეობით; ენისათვის დამახასიათებელია თითოეული ხალხისათვის სპეციფიკური შინაგანი ფორმა; 3) ენის შინაგანი ფორმა წარმოადგენს ხალხის სულის, მისი კულტურის გამოხატულებას; 4) ენა წარმოადგენს შუალედურ რგოლს ადამიანსა და მის გარშემო არსებულ სამყაროს შორის. ვ. ჰუმბოლდტის კონცეფციამ თავისებური ასახვა ჰპოვა ა.ა. პოტეხნიას, შ. ბალის, ე. ვანდრიესის, ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს, რ. ო. იაკობსონისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებში.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ენა და სინამდვილე სტრუქტურულად ერთმანეთის მსგავსნი არიან, ჯერ კიდევ ლ. ელმსლევის მიერ იქნა გამოთქმული;

იგი აღნიშნავდა, რომ ენის სტრუქტურა შეიძლება გაიგივდეს სინამდვილის სტრუქტურასთან, ან ალბუღულ იქნას როგორც მისი მეტ-ნაკლებად დეფორმირებული ასახვა (Ельмеслев 1992).

მე-19 საუკუნის გამოჩენილ მეცნიერთა მიერ (ვ. ჰუმბოლდტი, ა.ა. პოტებნია და სხვ.) ენა მოიაზრებოდა როგორც სულიერი ძალა, როგორც გარემო, რომლის გარეშეც ადამიანი არ არსებობს; ადამიანი ცხოვრობს ენის გარემოცვაში, ენობრივ გარემოში. როგორც ვ. ფონ ჰუმბოლდტი წერდა, ენა არის სამყარო, რომელიც არსებობს გარე მოვლენათა სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის (Гумбольдт 1984).

აქედან გამომდინარე, ენა არ არსებობს ჩვენს გარეშე, როგორც ობიექტური მოცემულობა, იგი თვითონ ჩვენში, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მეხსიერებაშია;

ვ.ა. მასლოვა წერს, რომ ადამიანი მოიაზრება როგორც გარკვეული ეროვნების, მენტალობისა და ენის მატარებელი, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ მოღვაწეობაში ეროვნული ერთობის სხვა წარმომადგენლებთან (Мослова 1991).

ენა არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ადამიანს ადეკვატურად აღიქვას სამყარო. „ვ. ჰუმბოლდტი ენას ადამიანის გონის უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. (გერმ. Geist) მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება. ჰუმბოლდტისათვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა. იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ერთდროულად სოცოლოგიურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება” ( გამყრელიძე 2003; 465).

ამრიგად, ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის იარაღს, იგი არის კულტურის სახე; ენა მკაფიოდ გამოხატავს ნაციონალური მენტალობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს.

## *12 კულტურის გავლენა ენის განვითარებაზე და სამყაროს ენობრივი სურათი*

ენა წარმოადგენს კულტურის ტრანსლირების ძირითად საშუალებას. ადამიანმა, პიროვნებამ ამა თუ იმ ნაციონალური ლინგვოკულტუროლოგიური ერთობის წევრად ჩამოყალიბების გზაზე უნდა გაიაროს სოციალიზაციის პროცესი, ანუ „ცივილიზაციასთან შეზრდის გზა“ (Леонтьев 2001; 32). ამ პროცესის არსს შეადგენს კულტურის ტრანსლირება; ბავშვობიდანვე, პიროვნების სოციალიზაციის საწყის ეტაპზე, კულტურის ტრანსლირება ხდება ფოლკლორული ტექსტების, საბავშვო ლიტერატურის, შემდეგ ეტიკეტური ფორმულირების, ფრაზეოლოგიზმების, ანდაზების და სხვ. მეშვეობით. ადამიანი ითვისებს იმ ერთეულებს, რომლებიც შედიან მოცემული სოციუმის კოგნიტურ ბაზაში, წარმოქმნიან კულტურული სივრცის „ბირთვს“, სამყაროს ენობრივ სურათს.

ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკაში „სამყაროს სურათის“ ცნების დამკვიდრებამ გამოკვეთა ენასთან ადამიანის მიმართების, ზემოქმედების ორი ტიპის არსებობა, ესენია: ადამიანის ფსიქოლოგიური და სხვა სახის თავისებურებათა ზემოქმედება ენის კონსტიტუციურ თვისებებზე და სამყაროს სხვადასხვა სურათების - რელიგიურ-მითოლოგიურის, ფილოსოფიურის, მეცნიერულის, მხატვრულის - ზემოქმედება ენაზე.

ენა უშუალოდ მონაწილეობს ორ პროცესში, რომლებიც უკავშირდება სამყაროს სურათს. ჯერ-ერთი, მის წიაღში ყალიბდება სამყაროს ენობრივი სურათი. მეორეც, თვითონ ენა ასახავს ადამიანის სხვა სამყაროს სურათებს, ახდენს მათ ექსპლიკაციას. ენის მეშვეობით ცალკეულ ინდივიდთა მიერ უშუალოდ გამოცდილების საფუძველზე მიღებული ცოდნა იქცევა კოლექტიურ გამოცდილებად, კოლექტიურ საკუთრებად.

სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს ადამიანთა ცნობიერების ენობრივ ასახავას, ამიტომ მასში მოცემულია წარმოდგენები სამყაროს შესახებ, რომლებიც დამკვიდრებულია ადამიანთა კონკრეტულ ერთობაში. ენის მიერ სიტყვათა მეშვეობით სამყაროს კონცეპტუალიზაციის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია. რ. ლადო, კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი აღნიშნავს, რომ არსებობს ილუზია, თითქოს მნიშვნელობები

ერთნაირია ყველა ენაში, თითქოს ენები მხოლოდ ამ მნიშვნელობათა გამოხატვის ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რ. ლადოს აზრით, მნიშვნელობები კულტურულად დეტერმინირებულია (Ладо 1989).

თანამედროვე ლინგვისტიკა, მისი სხვადასხვა მიმართულება, აქტიურად შეისწავლის მიზეზებს, რომელთა გამოც კონკრეტულ ენათა სამყაროს სურათები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად სამი უმთავრესი ფაქტორი გამოიყოფა: ბუნება, კულტურა, შემეცნება. ბუნება უპირველეს ყოვლისა არის ადამიანის ცხოვრების პირობები; ადამიანი აძლევს სახელებს ცხოველებს, მცენარეებს, ბუნებრივ მოვლენებს, რომლებიც ცნობილია მისთვის, ბუნებრივი პირობები კარნახობენ ადამიანის ენობრივ ცნობიერებას აღქმის თავისებურებებს. მაგალითად, ერთი და იგივე ფერის აღსანიშნად სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი განსხვავებული ასოციაციების ლექსიკურ ერთეულებს იყენებს; ფერის მოტივაცია ხშირად გარესამყაროს, კონკრეტული ბუნების ნიშან-თვისებათა მხედველობით აღქმის სემანტიკური აღნიშვნითაა განპირობებული: მეორე ფაქტორი კულტურაა. მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის შედეგები, სოციალურ-ისტორიული, ესთეტიკური, მორალური და სხვა ნორმები და ფასეულობები, რომლებიც განასხვავებენ სხვადასხვა თაობებსა და სოციალურ ერთობებს, აისახება განსხვავებულ კონცეპტუალურ და ენობრივ წარმოდგენებში სამყაროს შესახებ. კულტურული სფეროს ნებისმიერი თავისებურება ასახავს პოულობს ენაში. ენობრივი განსხვავებანი შეიძლება აგრეთვე განპირობებული იყოს წესჩვეულებებით, რიტუალებით, ფოლკლორულ-მითოლოგიური წარმოდგენებით, სიმბოლიკით.

რაც შეეხება მესამე ფაქტორს-შემეცნებას, უნდა ითქვას, რომ რაციონალური, გრძნობითი და სულიერი თავისებურებები სამყაროს აღქმისა თითოეულ ადამიანს განსხვავებული აქვს. სამყაროს გაცნობიერების გზები სხვადასხვა ადამიანისა და სხვადასხვა ხალხისთვის არ არის იდენტური. ენობრივ განსხვავებებზე შემეცნების გავლენის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს წარმოადგენს ის, რასაც ვ. ჰუმბოლდტი უწოდებდა „საგანთა ხედვის განსხვავებულ წესს“. საგანთა განსხვავებული ხედვა განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება მოტივაციის სპეციფიკასა და სახელების შინაგან ფორმაში.



სამყაროს ენობრივი სურათების შეფასებისას უნდა გვესმოდეს, რომ ეს სურათი წარმოადგენს არა სამყაროს ასახვას, არამედ მის ინტერპრეტაციას ადამიანის მიერ. ადამიანისთვის სამყარო არის არა მარტო ის, რაც მან აღიქვა შეგრძნების ორგანოთა მეშვეობით, არამედ, ამ სამყაროს მეტ-ნაკლებ ნაწილს წარმოადგენს ადამიანის მიერ აღქმული ინტერპრეტაციის სუბიექტური შედეგები. ამიტომ თუკი ვიტყვით, რომ ენა - „სამყაროს სარკეა“, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სარკე არ არის იდეალური: იგი სამყაროს წარმოაჩენს არა უშუალოდ, პირდაპირ, არამედ ადამიანთა ერთობის შემეცნებითი ინტერპრეტაციით.

რადგან კულტურაც და ენაც ხალხის მენტალობასთან, ანუ სამყაროს შეგრძნებასა და აღქმასთანაა დაკავშირებული, ამიტომ აუცილებელია ენისა და კულტურის მენტალურ კატეგორიებთან მიმართების პრობლემის გაცნობიერება. ვ.ვ. კოლესოვის აზრით, მენტალობა წარმოადგენს სამყაროს ჭვრეტას მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, რომელიც შემეცნების პროცესში აერთიანებს ნაციონალური ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ და ნებელობით თვისებებს (Колесов 1999; 81).

სამყაროს ენობრივი სურათის ცნება ეფუძნება სამყაროს შესახებ ადამიანის წარმოდგენათა შესწავლას. თუკი სამყარო არის ადამიანი და გარემო მათ ურთიერთქმედებაში, სამყაროს სურათი წარმოადგენს გარემოსა და ადამიანზე არსებული ინფორმაციის გადამუშავების შედეგს. ამრიგად, კოგნიტური ლინგვისტიკის წარმომადგენლები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც აისახება სამყაროს ენობრივი სურათის სახით, დამოკიდებულია ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებაზე და უშუალოდ არის დაკავშირებული მასთან.

მ. ჰაიდგერი წერდა, რომ სიტყვაზე „სურათი“ პირველ რიგში ვფიქრობთ რაღაცის ასახვაზე, „სამყაროს სურათი, გაგებულნი არსებითად, აღნიშნავს არა სამყაროს ამსახველ სურათს, არამედ სამყაროს, გაგებულს სურათის სახით“ (Хаидегер 1978; 96). სამყაროს სურათს, როგორც რეალური სამყაროს ასახვასა და სამყაროს ენობრივ სურათს, როგორც ამ ასახვის ფიქსაციას შორის რთული ურთიერთმიმართება არსებობს, სამყაროს სურათი შეიძლება წარმოადგენდეს იქნას სივრცითი, დროითი, რაოდენობითი, ეთიკური და სხვა პარამეტრების მეშვეობით. მის ფორმირებაზე მოქმედებს ენა, ტრადიციები, ბუნება და ლანდშაფტი, აღზრდა, სწავლება და სხვა სოციალური ფაქტორები. სამყაროს

სპეციალური (ფიზიკური, ქიმიური და სხვ.) სურათებისაგან, იგი წინ უძღვის და აყალიბებს მათ, რადგანაც ადამიანს სამყაროსა და თვით საკუთარი თავის გაგება სწორედ ენის მეშვეობით შეუძლია, რომელშიც ფიქსირებულია საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება - როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე ნაციონალური. სწორედ ნაციონალური საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება განსაზღვრავს ენის სპეციფიკურ თავისებურებებს მის ყველა დონეზე. ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის მატარებელთა ცნობიერებაში წარმოიქმნება სამყაროს გარკვეული ენობრივი სურათი, რომლის ჭრილშიც ხედავს ადამიანი სამყაროს.

ი. დ. აპრესიანი სამყაროს ენობრივ სურათს „მემამიტ“ სურათს უწოდებს. მისი აზრით, „სამყაროს ენობრივი სურათი თითქოს ავსებს ობიექტურ ცოდნას რეალობის შესახებ და ხშირად ამახინჯებს მას (Апресян 2006; 124). ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობა არ არის თავისუფალი შეცდომებისგან, ამიტომ სამყაროს მისეული კონცეპტუალური სურათი მუდმივად იცვლება, „თავიდან იხატება“, იმ დროს, როდესაც სამყაროს ენობრივი სურათი კიდევ დიდხანს ინარჩუნებს ამ შეცდომების კვალს.

ვ.ბ. კასევიჩის აზრით, ენობრივი სემანტიკის საშუალებებით კოდირებული სამყაროს სურათი შეიძლება დროთა განმავლობაში რელიკტური აღმოჩნდეს და მხოლოდ ტრადიციულად ინარჩუნებდეს ძველ-პოზიციებს, სხვა ენობრივი ინსტრუმენტარიუმის ბუნებრივი მიუწვდომელობის გამო; ენობრივი ინსტრუმენტარიუმის მეშვეობით იქმნება ახალი მნიშვნელობები, რომლებისთვისაც ძველი ერთგვარი სამშენებლო მასალის როლს ასრულებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოიქმნება განსხვავებები ენის არქაულ სემანტიკურ სისტემასა და იმ აქტუალურ მენტალურ მოდელს შორის, რომელიც რეალურია მოცემული ენობრივი კოლექტივისთვის და ვლინდება მის მიერ შემქმნილ ტექსტებში და მისი ქცევის კანონზომიერებებში (Касевич 2005: 216).

ს.გ. ტერ-მინასოვა განასხვავებს ადამიანის გარშემო მყოფი სამყაროს სამ ფორმას, ესენია: სამყაროს რეალური სურათი, სამყაროს კულტურული (ანუ ცნებითი) სურათი და სამყაროს ენობრივი სურათი. სწორედ სამყაროს კულტურული სურათი არის ყველა ხალხში განსხვავებული, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, როგორცაა: გეოგრაფია, კლიმატი, სოციალური მოწყობა, რწმენა, ტრადიციები, ცხოვრების წესი (Тер-Минасова 2002: 41). თავის

მხრივ, სამყაროს ენობრივი სურათი ასახავს რეალობას კულტურული სურათის მეშვეობით.

ტერმინი „სამყაროს ენობრივი სურათი“ ერთგვარი მეტაფორაა. რეალურად ნაციონალური ენის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებშიც დაფიქსირებულია ადამიანთა გარკვეული ნაციონალური ერთობის უნიკალური საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება, წარმოქმნიან ამ ენის მატარებლებისათვის არა სამყაროს რაღაც განუმეორებელ სურათს, რომელიც განსხვავდება ობიექტურად არსებულისაგან, არამედ ამ სამყაროს სპეციფიკურ შეფერილობას, რაც განპირობებულია საგნების, მოვლენების, პროცესების ნაციონალური მნიშვნელობით არჩევითი დამოკიდებულებით მათ მიმართ, რასაც წარმოშობს მოცემული ხალხის საქმიანობის, ცხოვრების წესისა და ნაციონალური კულტურის სპეციფიკა.

ჯ. ლეიკოფის მიერ შემუშავდა ენობრივი გეშტალტების თეორია, რომელიც შემდგომში სხვა მეცნიერებმაც აღიარეს. გეშტალტები - ენის სიღრმისეული შინაარსობრივი ერთეულებია. გეშტალტები წარმოადგენენ ადამიანის მიერ სინამდვილის აღქმის საფუძველს; ისინი წარმართავენ შემეცნებით პროცესებს, განსაზღვრავენ მოტორული აქტების სპეციფიკას და ა.შ. გეშტალტების სიღრმისეული ბუნების ენასთან მიმართებაში რამდენიმე ასპექტში გამოიხატება. მაგალითად, ზედაპირულ ენობრივ დონეზე ერთი და იგივე გეშტალტი შეიძლება რეალიზებულ იქნას როგორც სხვადასხვა შინაარსები, მნიშვნელობები, და მხოლოდ სპეციალური კვლევებით შეიძლება დადგინდეს მათი ერთიანობა. ჯ. ლეიკოფმა უჩვენა, მაგალითად, რომ კამათი და ომი ერთი და იგივე ტერმინებით აღიწერება, ანუ ერთნაირად მოიაზრება. ე.ი., ერთი და იგივე გეშტალტი აკავშირებს. მაშასადამე, გეშტალტები წარმოადგენენ უნივერსალურ წარმოდგენებს, რომლებიც ადამიანის ფსიქიკის სიღრმეში, ბუნებრივი ენის კატეგორიულ ჩარჩოებს მიღმა ძევს, ანუ ეს არის ტრანსცენდენტალური შინაარსობრივი სიდიდეები, რომლებიც უშუალოდ გამონათქვამის მიღმა იმყოფება და ორგანულად არის მასთან დაკავშირებული. რეალური ენობრივი მონაცემების საფუძველზე რეკონსტრუირებული გეშტალტები თვითონ ექცევიან უახლოესი ტრანსცენდენტურის შინაარსობრივ სიდიდეებად (Лакотф, 1985: 128).

ამრიგად, „სამყაროს ენობრივი სურათის“ ცნება უკავშირდება ხალხის, ეთნოსის, ერისა და პიროვნების ნაციონალური ხასიათის ცნებებს. რა აერთიანებს ადამიანებს ერთი „ხალხის“ ცნებაში? ხალხის როგორც ადამიანთა

ერთობის გამაერთიანებელ, შემკვრელ ძალას წარმოადგენს მისი ისტორია, რომელსაც ინახავს სოციალური მეხსიერება, კულტურა. ისტორიული მიდგომა განსაზღვრავს „ხალხის“ ცნების გაგებას ორ კონტექსტში: 1) ხალხი როგორც ეთნიკური (ეთნოგენეტიკური) ერთობა; 2) ხალხი როგორც ენთოსოციალური ერთობა. ეთნოსი წარმოადგენს სოციალურ ჯგუფს, რომელთა წევრებსაც აერთიანებს ეთნიკური თვითშეგნება, რომელიც ყალიბდება მისი წარმოდგენების საფუძველზე საკუთარი წარმოშობის, ამ ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან გენეტიკური კავშირის შესახებ.

ამ საკითხების განხილვაში დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური და ნაციონალური კულტურის ცნებებს. ეთნიკური კულტურა - ნაციონალური კულტურის ყველაზე უძველესი ფენა, ძირითადად მოიცავს ყოფის, წეს-ჩვეულებების სფეროს, ჩაცმულობის, ხალხური რეწვის, ფოლკლორისა და ა.შ. თავისებურებებს. ყველა ხალხს გააჩნია საკუთარი ეთნიკური სიმბოლოები (ქართველებს - ჩოხა, იაპონელებს - კიმონო, რუსებს - სამოვარი, შოტლანდიელებს - უჯრედებიანი ქვედაბოლო და ა.შ.), ნაციონალური სამზარეულოს განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხასიათის ნიშნებიც. ცნობილია, მაგალითად, სხვადასხვა ხალხის სპეციფიკური, გამორჩეული თვისებები: გერმანელთა რაციონალიზმი, იტალიელთა ემოციურობა, ქართველთა სტუმართმოყვარეობა, ინგლისელთა არისტოკრატიზმი და ა.შ. ნაციონალური კულტურა - უფრო რთული წარმონაქმნია. ეს არის სუბკულტურის სახეობა - სიმბოლოების, შეხედულებების, ფასეულობების, ქცევის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ ადამიანის სულიერ ცხოვრებას ამა თუ იმ ქვეყანაში, სახელმწიფოში (Тер-Минасова 2002: 43).

ენა, აზროვნება და კულტურა იმდენად მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული, რომ პრაქტიკულად ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. ყველანი ერთად ისინი გარკვეულ მიმართებაში არიან რეალურ სამყაროსთან - უპირისპირდებიან, ასახავენ და ამავედროულად, აყალიბებენ მას. სიტყვა ასახავს არა თვით რეალობისაგან არამედ მის ხედვას, რომელსაც განაპირობებს ენის მატარებლის ცნობიერებაში არსებული წარმოდგენა ამ საგნის შესახებ. როგორც ტერ-მინასოვა აღნიშნავს, გზა რეალური სამყაროდან ცნებამდე და შემდეგ მისი სიტყვიერ გადმოცემამდე ყველა ხალხთან განსხვავებულია, რაც ამ ხალხთა ისტორიის, გეოგრაფიის, ცხოვრების თვისებებით და, შესაბამისად, მათი

საზოგადოებრივი ცნობიერების განსხვავებულობითაა განპირობებული (Тер-Минасова 2002: 40).

ეთნიკური კულტურა-ნაციონალური კულტურის საწყისია. მაგრამ ნაციონალური კულტურა მხოლოდ ეთნიკურით არ შემოიფარგლება. მისი სიმდიდრე განათლების, დამწერლობის საფუძველზე ყალიბდება და აისახება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში. ურთიერთმიმართება ეთნიკურ და ნაციონალურ კულტურას შორის. ეთნიკური კულტურა წარმოადგენს ხალხური ენის, სიუჟეტების წყაროს. მაგრამ ეთნიკური კულტურა კონსერვატიულია, მისთვის უცხოა ცვლილებები, ნაციონალური კულტურა კი, პირიქით, მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. და რაც უფრო გახსნილია ნაციონალური კულტურა სხვა კულტურებთან კავშირისა და დიალოგისათვის, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია იგი. ეთნიკური კულტურები ცდილობენ შეინარჩუნონ განსხვავებები კულტურის ლოკალურ, ადგილობრივ თავისებურებებს შორის; ნაციონალური კულტურები კი განახორციელებენ მათ ნიველირებას. კულტურული პროცესი, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება აახლოებს ხალხებს, განახორციელებს მათი ცხოვრების პირობების უნიფიცირებას.

რას ნიშნავს ნაციონალური ხასიათი? არსებობს თუ არა იგი? მართებულია თუ არა ტიპური თვისებების განზოგადება მთელი ხალხის მასშტაბით, როდესაც ცნობილია, რომ ყველა ადამიანი, - ინდივიდი - განსხვავებული და განუმეორებელია? ინგლისურ ენაში ამ თემასთან დაკავშირებით შემდეგი ანადაზა არსებობს: It takes all sorts to make a world (სამყაროს სხვადასხვა ტიპის ადამიანები შეადგენენ). ქართული ანალოგები ამ ანადაზისა შემდეგია: რამდენი კაცია - იმდენი აზრია; კაცია და ხასიათი.

თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერებისათვის, ლინგვისტიკისათვის საინტერესოა ადამიანის როგორც გარკვეული ნაციონალური მენტალობისა და ენის მატარებლის შესწავლა. ენა - ის ერთადერთი საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ჩაეწვდეთ ადამიანის მენტალობას, რადგან იგი წარმოაჩენს ამა თუ იმ კულტურაში სამყაროს დაყოფის, სამყაროს სურათის თავისებურებას; იგი ადამიანზე მოგვიტოვრობს იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე ამ ადამიანს წარმოუდგენია.

კულტურულ და ენობრივ თავისებურებათა საკითხის ფარგლებში მიზანშეწონილია, სტერეოტიპის ცნების განხილვა. სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები სტერეოტიპში იმ თვისებებს გამოყოფენ, რომლებიც მათი კვლევის სფეროსათვისაა საინტერესო, ამიტომ გამოიყოფა სოციალური სტერეოტიპები, კომუნიკაციური სტერეოტიპები, მენტალური სტერეოტიპები, აზროვნების სტერეოტიპები და პიროვნების ქცევის სტერეოტიპები. ეთნოკულტურული სტერეოტიპები - ეს არის განზოგადებული წარმოდგენა რომელიმე ხალხის ტიპური ნიშან-თვისებების შესახებ... ქართველთა ტოლერანტობა, გერმანელთა მოწესრიგებულობა, ინგლისელთა ჯენტლმენობა, ფინელთა სიჯიუტე, ჩინელთა ცერემონიები, აფრიკელთა ტემპერამენტულობა, იტალიელთა ემოციურობა, სიფიცხე, პოლონელთა გალანტურობა, ესტონელთა სიდიხჯე - ეს არის სტერეოტიპული წარმოდგენები მთლიანად ხალხის შესახებ და ეს წარმოდგენები ამა თუ იმ ხალხის ყველა წარმომადგენელზე ვრცელდება. სპეციალისტები ეთნიკური ფსიქოლოგიის დარგში, რომლებიც შეისწავლიან ეთნოკულტურულ სტერეოტიპებს, თვლიან, რომ ერები, რომლებიც ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეზე იმყოფებიან, საკუთარ თავში ისეთ ნიშან-თვისებებს აღნიშნავენ, როგორცაა: ჭკუა, საქმიანობა, მოქნილობა, ხოლო ერები, რომელთაც ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აქვთ - სიკეთეს, გულითადობას, სტუმართმოყვარეობას.

სტერეოტიპის ცნება 1922 წელს პირველად გამოიყენა უ. ლიპმანმა, რომელიც თვლიდა, რომ ეს არის კულტურის დეტერმინირებული მოწესრიგებული, სქემატური „სამყაროს სურათები“ ადამიანის თავში“, რომლებიც ზოგავენ, „ეკონომიას უკეთებენ“ მის ძალისხმევას სამყაროს რთული ობიექტების აღქმისას. სტერეოტიპის ასეთი გაგება გულისხმობს მისი ორი მნიშვნელოვანი თვისების ხაზგასმას - იგი ყოველთვის დეტერმინირებულია კულტურით და წარმოადგენს ძალისხმევის, შესაბამისად, ენობრივი საშუალებების დაზოგვის, ეკონომიის საშუალებას.

ამრიგად, სტერეოტიპი წარმოადგენს სამყაროს კონცეპტუალური სურათის ერთგვარ ფრაგმენტს, მენტალურ ხატს, მყარ კულტურულ-ნაციონალურ წარმოდგენას საგნის ან სიტუაციის შესახებ. ეს არამარტო მენტალური ხატია, არამედ მისი ვერბალური გარსიც. სტერეოტიპი - ენისა და მეტყველების ისეთი მოვლენაა, რომელიც ერთი მხრივ, იძლევა მოცემული კულტურის დომინანტური

შემაღგენლების შენახვისა და ტრანსფორმაციის, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი თავის შეცნობის, „თავისიანის“ და „უცხოს“ გარჩევის საშუალებას.

სიტყვებს „სტერეოტიპი“ და „სტერეოტიპული“ ნეგატიური შეფერილობა აქვთ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაშიც, რადგანაც განისაზღვრებიან „შაბლონურის“ მეშვეობით, რაც, თავის მხრივ „ჩვეულებრივს, ორიგინალობასა და გამომსახველობას მოკლებულს“ ნიშნავს. ეს მთლად მართებული არ უნდა იყოს ზოგადად სიტყვასთან „სტერეოტიპის“ მიმართებაში, და განსაკუთრებით კულტურათმორისი კომუნიკაციის პრობლემათა კონტექსტში. სქემატიზმისა და განზოგადებულობის მიუხედავად, სტერეოტიპული წარმოდგენები სხვა ხალხებისა და სხვა კულტურათა შესახებ ადამიანს ამზადებენ უცხო კულტურასთან შესახვედრად და არბილებენ მოსალოდნელ „კულტურულ შოკს“.

კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ეთნოლინგვისტიკაში ტერმინი სტერეოტიპი მოიაზრება როგორც მენტალური სტერეოტიპი, რომელიც კორელირებს „სამყაროს მიამიტ სურათთან“. სტერეოტიპის ასეთ გაგებას ვხვდებით ე. ბარკტიმნსიკსა და მის მიმდევართა შრომებში; სამყაროს ენობრივი სურათი და ენობრივი სტერეოტიპი ამ ნაშრომებში განიხილება როგორც ნაწილისა და მთლიანის მიმართება; ენობრივი სტერეოტიპი მოიაზრება როგორც დასრულებული აზრის მქონე გამონათქვამი ან რამდენიმე გამონათქვამი, რომლებიც ეხება არაენობრივი სამყაროს გარკვეულ ობიექტს, საგნის სუბიექტურად დეტერმინირებული წარმოდგენა, რომელშიც შეერთებულია აღწერითი და შეფასებითი ნიშნები და რომელიც წარმოადგენს სინამდვილის აღქმის რეჟულტატს სოციალურად შემუშავებული შემეცნებითი მოდელების ფარგლებში. ვ.ა. მასლოვა ენობრივ სტერეოტიპად მიიჩნევს არა მარტო მოსაზრებას - გამონათქვამს (ან რამდენიმე მოსაზრება-გამონათქვამს), არამედ ნებისმიერ მყარ გამონათქვამს, რომელიც რამდენიმე სიტყვისგან შედგება, მაგალითად, მყარი შედარება, კლიშე და ა.შ.: "лицо кавказской национальности", "седой как лунь", "новый русский". ასეთი გამოთქმების - სტერეოტიპების გამოყენება აადვილებს და ამარტივებს ურთიერთობას, ზოგავს კომუნიკანტთა ძალებს (Маслова 2001: 111).

ი.ა. სოროკინი სტერეოტიპს განსაზღვრავს როგორც პროცესს, გარკვეული სემიოტიკური მოდელების შესაბამისი ურთიერთობის (ქცევის) შედეგს. სემიოტიკური მოდელის რეალიზაცია ხდება სოციალურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეებზე (სტანდარტი) ან ენობრივ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ

დონეებზე (ნორმა). სტანდარტი და ნორმა ორი სახით არსებობს: როგორ შტამპი ან როგორც კლიშე (Сорокин 1985: 216).

არსებობს ავტოსტერეოტიპები, რომლებიც ასახავენ იმას, თუ რას ფიქრობენ ადამიანები საკუთარ თავზე, და გეტეროსტერეოტიპები, რომლებიც სხვა ხალხს ეხება - სწორედ გეტეროსტერეოტიპებია უფრო კრიტიკული. მაგალითად, ის, რასაც ხალხი თავის თავში მომჭირნეობას, დაკვირვებულობას უწოდებს, სხვა ხალხში შეფასებულია როგორც სიძუნწის გამოვლინება. ადამიანები ეთნოკულტურულ სტერეოტიპებს აღიქვამენ როგორც ნიმუშებს, რომლებსაც უნდა მიბაძონ. ამიტომ სტერეოტიპები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ადამიანებზე, სტიმულირებენ მათში ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, რომლებიც აისახება სტერეოტიპში (Маслова 2001: 112).

ამრიგად, სტერეოტიპი წარმოადგენს სამყაროს კონცეპტუალური სურათის ფრაგმენტს, მყარ კულტურულ-ნაციონალურ წარმოდგენას საგნის ან სიტუაციის შესახებ. ეს არის ერთგვარი კულტურით დეტერმინირებული წარმოდგენა საგნისა, მოვლენის, სიტუაციის შესახებ. მაგრამ ეს არის არა მხოლოდ მენტალური ხატის სახე, არამედ მისი ვერბალური გარსიც. კონკრეტული კულტურისადმი მიკუთვნება ხდება სწორედ ცოდნის საბაზისო, სტერეოტიპული ბირთვის არსებობის საფუძველზე, რომელიც მეორდება პიროვნების სოციალიზაციის პროცესში, ამიტომ სტერეოტიპები პრეცედენტულ ერთეულებად ითვლებიან ყველა ხალხის კულტურაში.

ეთნიკური ცნობიერებისა და კულტურის ფორმირება ადამიანის ქცევის რეგულატორების სახით საფუძველად უდევს როგორც თანდაყოლილი, ისე სოციალიზაციის პროცესში შექმნილი ფაქტორები-კულტურული სტერეოტიპები, რომელთა შეთვისება ხდება იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანი იწყებს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას გარკვეულ ეთნოსთან, გარკვეულ კულტურასთან.

ეთნოსის მენტალური სტერეოტიპების ერთობლიობა ცნობილია თითოეული მისი წარმომადგენლისათვის. გარკვეული ეთნოსის კულტურა შეიცავს სტერეოტიპული ხასიათის ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც, როგორც წესი, არ აღიქმებიან სხვა კულტურის მატარებელების მიერ. ი.ა. სოროკინი და ი. ი. მარკოვინა ასეთ ელემენტებს ლაკუნებს უწოდებენ: ყველაფერი, რასაც უცხო კულტურის ტექსტში რეციპიენტი ამჩნევს, მაგრამ ვერ გეგულობს, რაც უცნაურად ეჩვენება და საჭიროებს „ინტერპრეტაციას, მიგვანიშნებს ტექსტში იმ



კულტურის ნაციონალურ-სპეციფიკური ელემენტების არსებობას, რომელშიც არის შექმნილი ტექსტი; ეს არის ლაკუნები (Сорокин 1985: 219).

კულტურის სიმტიცე, მისი სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია იმით, თუ რამდენად განვითარებულია ის სტრუქტურები, რომლებიც განსაზღვრავენ მის მთლიანობას, ერთიანობას. კულტურის მთლიანობა გულისხმობს კულტურის სტერეოტიპების - მიზანდასახულობის, ქცევის, აღზრდის, გაგების, ურთიერთობისა და სხვ. ანუ სამყაროს საერთო სურათის სტერეოტიპების გამომუშავებას. სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის, თუ რა სიხშირით გვხვდება გარკვეული ობიექტები, მოვლენები ადამიანთა ცხოვრებაში. ქცევის სტერეოტიპი-უმნიშვნელოვანესია სტერეოტიპებს შორის, იგი შეიძლება გადავიდეს რიტუალში. და საერთოდ, სტერეოტიპები ძალიან მჭიდრო კავშირში არიან ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, მითებთან, რიტუალებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან იმით გამოირჩევიან, რომ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს ახასიათებს ობიექტივირებული მნიშვნელობა, გახსნილობა უცხოელისათვის, სტერეოტიპები კი იმ დაფარულ გონება-განწყობილებათა დონეზე რჩებიან, რომლებიც „თავისიანთა“, ანუ მოცემული ეთნიკურ-კულტურული ერთობის შიგნით არსებობს (Сроленко 2004: 54).

ამრიგად, სტერეოტიპი კულტურის წარმომადგენლის ცნობიერებისა და ენის მახასიათებელია; იგი კულტურის ერთგვარი ღერძია და ამიტომ პიროვნების დასაყრდენია კულტურათშორის დიალოგში. თანამედროვე ცხოვრების პირობები განაპირობებენ ცხოვრების სტანდარტიზაციას, ცივილიზაციასთან დაახლოება და მასში ჩართვა იწვევს ნაციონალური სპეციფიკის გაფერმკრათელებას. მით უფრო მნიშვნელოვანია ხელოვნების, მხატვრული კულტურის განვითარება, სადაც მხატვრულ სახეებში ხდება ნაციონალური ტრადიციების, ნაციონალური ხასიათის განსახიერება.

სამყაროს სურათის ელემენტები ენის მატარებელთა ცნობიერებაში ორ ტიპად შეიძლება დაიყოს: ის, რაც რეალურად ან სავარაუდოდ არსებობს (არსებობდა, შეიძლება არსებობს ან არსებულყო და ა.შ.) და ის, რაც ზემოთაღნიშნულიდან მიეკუთვნება ფასეულობებს, ანუ ისეთ ცნებებს, რომლებიც ხალხის, საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს (მიწა, ოჯახი, სიყვარული, ბედნიერება, შვილები, სიკეთე, სიმამაცე,

წარმატება და ა.შ.). თითოეული ფასეულობა ყალიბდება როგორც ადამიანის ინტერესის, დაინტერესების პროდუქტი.

ობიექტური სამყაროს ასახვის პროცესში ადამიანი სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ამ ცოდნის ერთობლიობა წარმოადგენს იმას, რასაც სხვადასხვა კოეფიციენტებში ეწოდება „ენობრივი შუალედური სამყარო“, ან „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“, ან „სამყაროს ენობრივი სურათი“. უმეტესად სწორედ ეს უკანასკნელი ტერმინი გამოიყენება. სამყაროს სურათის (მათ შორის ენობრივი) ცნება ეფუძნება სამყაროს შესახებ ადამიანის წარმოდგენათა შესწავლას. თუკი სამყარო მოიაზრება როგორც ადამიანი და გარემო მათ ურთიერთქმედებაში, სამყაროს სურათი წარმოადგენს გარემოსა და ადამიანზე არსებული ინფორმაციის გადამუშავების შედეგს. სამყაროს სურათი არის არა სამყაროს სარკისებური ასახვა, არამედ სამყაროს ერთგვარი ინტერპრეტაცია, რომელსაც განახორციელებს ცალკეული სუბიექტები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ სამყაროს სურათი - დინამური მოვლენაა, რომელიც გამუდმებით იცვლება (Гудков 2002: 148). კოგნიტური ლინგვისტიკის წარმომადგენლები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც სამყაროს ენობრივი სურათის სახით აისახება, დამოკიდებულია ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებაზე და უშუალოდ კავშირშია მასთან.

სამყაროს სურათის სტრუქტურულ ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურულ, ძირითად საკვანძო კონცეპტებს. ეს არის კულტურით განპირობებული ბირთვული (საბაზისო) ერთეულები, რომლებთაც გააჩნიათ ეგზისტენციალური მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისათვის, ასევე მთლიანად ლინგვოკულტურული ერთობისათვის. კულტურის საკვანძო კონცეპტებს მიეკუთვნება ისეთი აბსტრაქტული სახელები, როგორიცაა: თავისუფლება, ბედი, სიკეთე, ბოროტება, კანონი, სინდისი, ღალატი, სიყვარული და ა.შ.

კონცეპტები ადამიანის ცნობიერებაში წარმოიქმნება არა მარტო როგორც მინიშნებები შესაძლო, პოტენციურ მნიშვნელობებზე, არამედ აგრეთვე, როგორც მთლიანად ადამიანის წინა ენობრივი გამოცდილების - პოეტურის, პროზაულის, სამეცნიერო, სოციალურის, ისტორიულის - გამოძახილი.

კულტურის კონცეპტები, პ.ს. გურევიჩის მიხედვით, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: კოსმიური, ფილოსოფიური კატეგორიები, ანუ კულტურის უნივერსალური კატეგორიები (დრო, სივრცე, მიზეზი, ცვლილება, მოძრაობა) და სოციალური, ეგრეთ წოდებული კულტურული კატეგორიები (თავისუფლება, სამართალი, სამართლიანობა, შრომა, სიმდიდრე, საკუთრება). მიზანშეწონილია კიდევ ერთი ჯგუფის გამოყოფა, რომელიც უშუალო კავშირშია ჩვენს ნაშრომთან, - (ქართული კულტურისთვის ესენია, მაგალითად, - სტუმართმოყვარეობა, კეთილშობილება, თავდადება და ა.შ.) უნდა განვასხვაოთ ცნებები: „კულტურის სტერეოტიპი“ და „კულტურის კონცეპტი“, კულტურის სტერეოტიპი შეიცავს სუბიექტურ შეფასებას, ხოლო კულტურის კონცეპტი გამოხატავს ობიექტურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. იმისათვის, რომ სიტყვა ჩაითვალოს კულტურის კონცეპტად, მას უნდა ახასიათებდეს ხშირი გამოყენება (Гуревич 2006: 47).

გარესამყაროს მოვლენები და საგნები ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენილია შინაგანი სახით ფორმით. ა.ა. ლეონტიევის აზრით, არსებობს განსაკუთრებული „მეხუთე კვაზიგანზომილება“, რომელშიც ადამიანის წინაშე წარმოდგება მისი გარემომცველი სინამდვილე: ეს არის „აზრობრივი ველი“, მნიშვნელობათა სისტემა. მაშასადამე, სამყაროს სურათი შეიძლება განისაზღვროს როგორც სახეთა სისტემა (Леонтиев 2001: 92).

სამყაროს სურათს როგორც რეალური სამყაროს ასახვასა და სამყაროს ენობრივ სურათს როგორც ამ ასახვის ფიქსაციას შორის რთული ურთიერთმიმართება არსებობს. სამყაროს სურათი შეიძლება წარმოდგენილ იქნას სივრცითი (მარჯვენა-მარცხენა, აღმოსავლეთი-დასავლეთი, შორს-ახლოს და ა.შ.), დროითი (დღე-ღამე, ზამთარი-ზაფხული, დილა-საღამო და ა.შ.), რაოდენობით, ეთიკური და სხვა პარამეტრების მეშვეობით. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ენა, ტრადიციები, ბუნება და ლანდშაფტი, აღზრდა და სხვა სოციალური ფაქტორები.

ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობა დინამიურია; სამყაროს კონცეპტუალური სურათი იცვლება, ხოლო სამყაროს ენობრივი სურათი უფრო სტაბილურია, იგი დიდხანს ინარჩუნებს სამყაროს შემეცნების სხვადასხვა ეტაპზე არსებულ სახეებს, წარმოდგენებს. ამიტომ ხშირად ადამიანი თავის მეტყველებაში იყენებს ისეთ ერთეულებს, რომელთა წარმოშობა მის წინაპართა განსხვავებულ მსოფლმხედველობას, მათ მიერ სამყაროს განსხვავებულ ხედვას

ეფუძნებოდა. მაგალითად, ხშირად გამოიყენება ფრაზეოლოგიზმი „გულზე ხელი დაიდუ და ისე თქვი“, რომლის მნიშვნელობაც განისაზღვრება როგორც „გულწრფელად სიმართლის თქმა“. ცხადია, მოსაუბრე ამ ფრაზეოლოგიზმის წარმოთქმისას არ აცნობიერებს, რომ ეს გამოთქმა სიმბოლურად უკავშირდება უესტს, რომელიც ძველად გამოიყენებოდა როგორც ფიცის, გულწრფელობაში დარწმუნების ნიშანი.

სამყაროს ენობრივი სურათი აყალიბებს ადამიანის სამყაროსადმი (ბუნების, ცხოველებისადმი, საკუთარი თავის, როგორც სამყაროს ელემენტისადმი) დამოკიდებულების ტიპს. იგი განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, მისი ქცევის ნორმებს. ყველა ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზების („კონცეპტუალიზაციის“) გარკვეულ ხერხს. ენაში გადმოცემული მნიშვნელობები გაერთიანებულია შეხედულებათა ერთიან სისტემაში, თავისებურ კოლექტიურ ფილოსოფიაში, რომელსაც ენის ყველა მატარებელი იზიარებს.

სწორედ ენის შინაარსობრივ მხარეში (ნაკლებად - გრამატიკაში) აისახება მოცემული ეთნოსის სამყაროს სურათი, რომელიც წარმოადგენს ყველა კულტურული სტერეოტიპის საფუძველს. მისი ანალიზი გვეხმარება გამოვარკვიოთ, თუ რით განსხვავდებიან ნაციონალური კულტურები, როგორ ავსებენ ისინი ერთმანეთს მსოფლიო კულტურის დონეზე. ცხადია, ყველა სიტყვის მნიშვნელობა რომ კულტურულად სპეციფიკური იყოს, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა კულტურულ სხვაობათა შესწავლა. ამიტომ კულტურულ-ნაციონალური ასპექტების შესწავლისას დასაყრდენს წარმოადგენს ენობრივ ერთეულთა უნივერსალური თვისებები.

ამრიგად, სამყაროს კულტურული და ენობრივი სურათები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მუდმივად ურთიერთქმედებენ და ორივე დაკავშირებულია სამყაროს რეალურ სურათთან, უფრო სწორად კი, რეალურ სამყაროსთან, რომელშიც ადამიანი არსებობს.

ცხადია, სამყაროს ნაციონალური კულტურული სურათი პირველადია ენობრივ სურათთან მიმართებაში. იგი უფრო მდიდარი, უფრო მრავალფეროვანი და სავსეა, ვიდრე ენობრივი. მაგრამ სწორედ ენა ახდენს სამყაროს ნაციონალური სურათის რეალიზებას, მის ვერბალიზაციას, ინახავს მას და გადასცემს თაობიდან თაობას. ენა ვერ აფიქსირებს ყველაფერს, რაც სამყაროს ნაციონალურ ხედვას ახასიათებს, მაგრამ მას აქვს უნარი ყველაფერი აღწეროს.

საჭიროების შემთხვევაში ენაში შემოდის და მკვიდრდება ნასესხები სიტყვები - ისეთ ცნებათა გადმოსაცემად, რომლებიც სხვა ხალხის ენობრივი აზროვნებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, რადგან ქართულენოვან სამყაროში არ არსებობს ისეთი სასმელები, როგორცაა ვისკი და ელი, ხოლო ინგლისურენოვან სამყაროში არ არსებობს ისეთი კერძები, როგორცაა ჩახობილი და ხაჭაპური, ამ შემთხვევაში ეს ცნებები გადმოიცემა შესაბამისი ენის სიტყვებით და მკვიდრდება ენობრივ სისტემაში ნასესხები სიტყვების სახით. ეს შეიძლება იყოს სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ნაციონალური კულტურის საგნებს (რაგბი, ვისკი, სენდივიჩი...), პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამეცნიერო ტერმინები (იმპინემენტი, ლიზინგი, დილერი; ფაილი, კომპიუტერი).

უფრო რთული სიტუაციაა, როდესაც ერთი და იგივე ცნება განსხვავებულად გამოიხატება სიტყვიერად სხვადასხვა ენაში.

განვიხილოთ, მაგალითად, ქართულ და ინგლისურ ენებში არაენობრივი რეალობის ისეთი ფაქტის გამოსატყვის საშუალებები, რომელიც ქართულ ენაში აღინიშნება სიტყვით „თითი“. იმისათვის, რომ ინგლისურად დავასახელოთ ეს საგანი, საჭიროა დავაზუსტოთ, თუ რომელი თითი გვაქვს მხედველობაში: ხელის თითი, თუ ფეხის, თუ ხელის თითზეა საუბარი, უნდა დაკონკრეტდეს, თუ რომელი თითი გვაქვს მხედველობაში, რადგან ცერის გარდა, ინგლისურ ენაში ხელის თითებს ეწოდება fingers, ცერს კი thumb, ფეხის თითებს - toes. ასევეა გერმანულში - ხელისა და ფეხის თითების აღსანიშნავად სხვადასხვა სიტყვა გამოიყენება: der Finger და die Zehe.

ეტალონებისა და სიმბოლოების შერჩევა სამყაროს მიაბიტ სურათში, როგორც წესი, მოტივირებულია. ეს მოტივაცია დამოკიდებულია მთელი კონცეპტუალური სისტემის ხასიათზე და შეიძლება ზოგ შემთხვევაში გამოვლენილ იქნას სამყაროს ენობრივი სურათის დონეზე. ენის როლი მდგომარეობს არა მარტო ინფორმაციის გადმოცემაში, არამედ პირველ რიგში გადმოსაცემი ინფორმაციის, ანუ იმის შინაგანად ორგანიზებაში, რისი გადმოცემაც უნდა მოხდეს. წარმოიქმნება ერთგვარი „მნიშვნელობათა სივრცე“, ანუ ენაში დამკვიდრებული ცოდნა სამყაროს შესახებ, რომელსაც დაერთვის კონკრეტული ენობრივი ერთობის ნაციონალურ-კულტურული გამოცდილება. ყალიბდება მოცემულ ენაზე მოსაუბრეთა სამყარო, ანუ სამყაროს ენობრივი სურათი, როგორც სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ერთობლიობა, რომელიც ფიქსირდება ლექსიკაში, ფრაზეოლოგიაში, გრამატიკაში. ამის

შესახებ ა.ა. პოტებნია აღნიშნავდა, რომ ენა წარმოადგენს საკუთარი თავის აღქმის საშუალებას. საკუთარი თავის აღქმა სხვადასხვანაირად არის შესაძლებელი; რასაც საკუთარ თავში ვერ ვამჩნევთ, ის ჩემთვის არ არსებობს, და, ცხადია, არც სიტყვით იქნება გამოხატული. ამიტომ არავის აქვს უფლება ჩადოს ხალხის ენაში ის, რასაც ეს ხალხი თვითონ თავის ენაში ვერ ნახულობს (Потенция 1960: 48).

სამყაროს ენობრივი სურათს სხვადასხვა ელემენტები წარმოქმნიან, რომელთა შორის ყველაზე მკაფიოა მითოლოგიები, მეტაფორული სიტყვები, კონოტაციური სიტყვები და სხვ. ჩვენი მსოფლმხედველობა ნაწილობრივ სამყაროს ენობრივი სურათის ტყვეობაში იმყოფება. ყოველი კონკრეტული ენა მოიცავს ნაციონალურ, თვითმყოფად სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ენის მატარებელთა მსოფლმხედველობას და აყალიბებს მათი სამყაროს სურათს.

კოსტომაროვი და ვერეშაგინი აღნიშნავენ, რომ ენა, კუმულაციური ფუნქციის წყალობით, შეიცავს უამრავ ინფორმაციას მოცემული ხალხის ისტორიის, კულტურის, ყოფის შესახებ. ასეთი კულტურული ინფორმაციის ტექსტობრივ „გამტარებლებს“ წარმოადგენს ლექსები, ფრაზეოლოგიზმები, შედგენილი სახელები, კლიშირებული გამოთქმები.

სამყაროს სურათს ბევრად განაპირობებს ენა - მისი წყობა და თავისებურებები. ეს კავშირი შეიძლება ორმხრივად იქნას ახსნილი: ერთი მხრივ, ხალხის ცხოვრების პირობები (გეოგრაფიული, სოციალური, ყოფითი, პოლიტიკური და ა.შ.) ამა თუ იმ ფორმით აისახება ადამიანთა ცნობიერებაში და ფიქსირდებიან გარკვეულ სიტყვებში და ენის გრამატიკულ კონსტრუქციებში; მეორე მხრივ, ენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის მატარებელთა შემეცნებაზე, წარმართავს სამყაროს კატეგორიზაციას გარკვეული მიმართულებით, რომელიც სპეციფიკურია ყოველი ეთნიკური ენისათვის.

ჯერ კიდევ ვ. ფონ ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ ენის არსი არ ამოიწურება გრამატიკული წყობითა და გარეგნული სტრუქტურით: ენის ჭეშმარიტი ბუნება ამყარებს რაღაცას, რაც გაცილებით უფრო იდუმალია და ნაკლებად ექვემდებარება ანალიზს. ჩვენი აზრით, ეს არის ხალხის მენტალიტეტი, მისი კულტურული კონსტანტები. ენა როგორც ნიშანთა სისტემა ორ „განზომილებაში“ არსებობს - როგორც მოღვაწეობის, მოქმედების პროდუქტი (ergon) და როგორც მოღვაწეობა (energeia) (ჰუმბოლდტი), ან,

სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც ენა და მეტყველება (ფ. დე სოსიური). ენის სისტემის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ვითარდება თანდათან, და არა ნახტომისებური ცვლილებების გზით. ენის სისტემის სტაბილურობის წყალობით ხდება კულტურის საფუძვლის შენარჩუნება. ენა საკუთარ თავში ინახავს კულტურულ კონსტანტებს, ეთნოსის მენტალიტეტის საფუძვლებს.

ენასა და კულტურას შორის არსებული მიმართება შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწილისა და მთლიანის ურთიერთ მიმართება. ენა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კულტურის კომპონენტი და კულტურის იარაღი. მაგრამ ამავდროულად ენა ავტონომიურია კულტურასთან მიმართებაში, და შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური სემიოტიკური სისტემა, ანუ კულტურისაგან დამოუკიდებლად, რაც ხორციელდება კიდევ ტრადიციულ ლინგვისტიკაში.

კულტურას ქმნის ადამიანი, პიროვნება; სწორედ პიროვნებაში წამოიწვევს წინა პლანზე ადამიანის სოციალური ბუნება, ხოლო ადამიანი წარმოადგენს სოციოკულტურული ცხოვრების სუბიექტს.

პიროვნება უნდა იქნეს განხილული ხალხის, ეთნოსის კულტურული ტრადიციის პერსპექტივაში, რადგან ადამიანში ადამიანის დაბადებისათვის საჭიროა კულტურულ-ანთროპოლოგიური პროტოტიპი, რომლის ჩამოყალიბებაც კულტურის ფარგლებში ხდება.

ენობრივი პიროვნების შინაარსში ჩვეულებრივ მოიაზრება შემდეგი კომპონენტები:

1) ა) ფასეულობითი, ბ) მსოფლმხედველობრივი, გ) აღზრდის შინაარსის კომპონენტი, ანუ ღირებულებების, დ) ცხოვრებისეული საზრისის სისტემა. ენა უზრუნველყოფს თავდაპირველ და სიღრმისეულ შეხედულებას სამყაროზე, წარმოქმნის სამყაროს ენობრივ ხატს და ზნეობრივ წარმოდგენათა იერარქიას, რომელიც საფუძვლად უდევს ნაციონალური ხასიათის ფორმირებას და რომლის რეალიზება ხდება დიალოგიური ენობრივი ურთიერთობის პროცესში;

2) კულტუროლოგიური კომპონენტი, ანუ კულტურის როგორც ენისადმი ინტერესის ამაღლების ეფექტური საშუალების ათვისების დონე. შესასწავლი ენის კულტურის ფაქტების მოშველიება, რომლებიც დაკავშირებულია სამეტყველო და არასამეტყველო ქცევის წესებთან, ხელს უწყობს ენობრივი მასალის ადეკვატური გამოყენებისა და კომუნიკაციის პარტნიორზე ეფექტური ზემოქმედების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებას;

3) პიროვნული კომპონენტი, ანუ ინდივიდუალური, სიღრმისეული საწყისი, რომელიც ყველა ადამიანში არსებობს (Виноградов, 1996).

ამრიგად, ლინგვოკულტუროლოგიური პიროვნება შეიძლება განისაზღვროს როგორც გარკვეული ენის მატარებლის საბაზისო ნაციონალურ-კულტურული პროტოტიპი, რომელიც დამკვიდრებულია ენაში (უპირატესად, ლექსიკასა და სინტაქსში) და რომელიც შეადგენს პიროვნების სტრუქტურის ინვარიანტულ ნაწილს.

ადამიანი ყოველთვის ეყრდნობა იმას, რაც მას რეალურად გააჩნია. სიღრმისეულ კვლევას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ნებისმიერი იდეა, რომლის აღმოცენება ან განხორციელება ადამიანების მისწრაფებებს ახალ ასპარეზს უჩვენებს. თავისი განვითარების უკვე ადრეულ ხანებში ადამიანი ტოვებს მიმდინარე მომენტის საზღვრებს და არ კმაყოფილდება მხოლოდ მგრძნობიარე ტკობით. სულიერი ძალის გასაოცარი მოქმედება არ შემოიფარგლება აზრის არეალით თუ რაიმე წარმოსახვით. ის დიდ ზეგავლენას ახდენს ხასიათის ფორმირებაზე. ადამიანური სულის და ხასიათის სწრაფად მზარდ სიახლოვეს, რაც ზოგად მნიშვნელოვანი ქმედითობის წყარო არის, შეუძლია აამაღლოს ადამიანთა მოდგმა მის უმაღლეს ღირსებამდე და სწორედ ენა, რომლითაც ადამიანები უზიარებენ ერთმანეთს გარეგან ჩანაფიქრებს თუ შინაგან გულისტკივილს, აერთიანებს სულ სხვადასხვა ინდივიდუალობებს და მჭიდრო ცხოველ კავშირში დგას ხასიათთან. სწორედ ენას, მთელი თავისი გაუგებარი ჰარმონიით ძალუძს ხორცი შეასხას სულიერი მოქმედების იერსახეს (ნათაძე 1995).

ენა ადამიანის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს აჩვენებს. ყოველი ენის წარმატება მისი პირველადი შინაგანი ჩარჩოს მონაცემებიდან არის შესაძლებელი. ცივილიზაცია ხალხური წიაღიდან შეიძლება აღმოცენდეს, რომელიც მის სულიერ აღმავლობას მოწმობს და რომელიც თავისთავად ამოუხსნელი. (Натадзе 1970).

ერის სულიერი თვისებები და ენა იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ თუ არის ერთი, მაშინ აუცილებლად მეორეც უნდა იყოს. ენა თითქოს ერის სულის გამომხატველია. ერის ენა არის მისი სული, ხოლო მისი სული, მისი ენაა. ენა და სულიერი ძალები ერთად ვითარდებიან და ისინი ინტელექტუალური შემოქმედების ერთობლიობაა (Гумнолдт 1969. 97)



ამდენად, სამყაროს სურათის ამა თუ იმ ფრაგმენტის ნაციონალურ-კულტურულ სპეციფიკას მეცნიერები განსხვავებული პოზიციებიდან იკვლევენ: ზოგი მეცნიერი ამოსავალ წერტილად იღებს ენას, ანალიზებს ენებს შორის გამოვლენილი მსგავსება-განსხვავების ფაქტებს ენობრივი სისტემურობის ჭრილში და საუბრობს სამყაროს ენობრივი სურათის შესახებ; სხვა მკვლევართათვის ამოსავალი ასპექტია კულტურა, გარკვეული ლინგვოკულტუროლოგიური ერთობის წარმომადგენელთა ენობრივი ცნობიერება, ხოლო ყურადღების ცენტრში ექცევა სამყაროს სახე.

## თავი II

### სომატური ელემენტები ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

#### 2.1 ფრაზეოლოგიზმი და იდიომი

ეროვნული თვითშეგნების შესწავლაში პრიორიტეტულ მიმართებას წარმოადგენს სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათის კვლევა, რადგან იგი წარმოადგენს ეთნოსის მიერ სამყაროს ხედვის კომპონენტს, ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობაში ხდება ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ფაქტების ფიქსირება, ამა თუ იმ სოციუმის მორალური, ეთნიკური და ესთეტიკური ორიენტაციის ასახვა. სხვადასხვა ტიპის ფრაზეოლოგიზმებს გააჩნია: „მრავალგანზომილებიანი“ სტრუქტურა, რომელიც ცნებითი საფუძვლის გარდა, შეიცავს სოციო-ფსიქოკულტურულ ნაწილს, რომელიც მოიაზრება და განიცდება ენის მატარებლის მიერ და რომელიც მოიცავს ემოციებს, შეფასებებს, ნაციონალურ სახეებსა და კონოტაციებს, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ კულტურისათვის (Маслова 2004; 236).

ახალი პარადიგმის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ლინგვოკადიგნიტური მეთოდების გამოყენებას ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზისათვის, ეს უკანასკნელნი განიხილება როგორც ენობრივი ინფორმატიული ნიშნები, რომლებიც წარმოაჩენენ ხალხის კულტურის თავისებურებებს, როგორც მენტალური ლექსიკონის ერთეულები, რომლებიც ადამიანთა ერთობის მესხიერებაში ინახება. ენის სწორედ ფრაზეოლოგიური სუბდონე ასახავს ყველაზე ექსპლიციტურად ეთნოსის შემეცნებითი და ემოციური გამოცდილების სპეციფიკას, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის ნიშნებს.

ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიის ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს იგი შეისწავლის სიტყვათა ჯგუფებს, რომლებიც სტრუქტურის სტაბილურობითა და გადატანითი მნიშვნელობით ხასიათდებიან.

თანამედროვე ენის ფრაზეოლოგია მკვლევარების მიერ მთელი რიგი პრინციპების მიხედვით არის სისტემატიზირებული. მიუხედავად ამისა, იგი მაინც საჭიროებს არსებით დაზუსტებებს.

ამას განაპირობებს ფრაზეოლოგიის თეორიის განვითარება და ახალ-ახალი კანონზომიერებების შეცნობა, რომლებიც დამახასიათებელია ამ ენობრივი სისტემისათვის, აგრეთვე ფრაზეოლოგიის კვლევის მეთოდების დაზუსტება.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება, აგრეთვე ამ ენობრივ ერთეულებში აირეკლება ერის ეროვნული და სოციალური თავისებურებანი და ვლინდება ერის პოეტური სული. ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ მისწრაფებებს, კულტურას.

ფრაზეოლოგიზმები რთულ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემავალ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი წარმოადგენენ მყარ გამოთქმებს.

ენის გამომსახველ საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ფრაზეოლოგიზმებში შემჭიდროებული სახით გადმოიცემა გრძნობებისა და აზრების რთული კომპლექსი. ამიტომ მათთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ორგანიზაცია ყველა დონეზე. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც პირველი მწერლის, პუბლიცისტის, პოლიტიკოსის მიერ წარმოიქმნება, ან ადამიანთა ყოველდღიური, ჩვეულებრივი ყოფის პირობებში იქმნება, როგორც გარესამყაროსათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა, მიმართებათა გადმოცემის შედეგი, იძენენ ფრაზეოლოგიურობის სტატუსს, თუკი დაცულია ფრაზეოლოგიურ ფონდში მათი ჩართვის აუცილებელი პირობა - ისინი ენის მატარებლებისათვის ფართოდ გამოყენებად, ხატოვან ერთეულად იქცევიან. კომუნიკაციურ აქტში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისათვის ადრესატი და ადრესანტიც უნდა ფლობდეს კულტურულ და ენობრივ კოდს, რაც იძლევა ფრაზეოლოგიური ერთეულის ამოცნობის, შემდეგ კი მისი მნიშვნელობის გაგების, სწორად გაშიფვრისა და ინტერპრეტაციის საშუალებას.

ფრაზეოლოგიზმების კვლევა დასავლურ ენათმეცნიერებაში ხდება რთული ენობრივი გამონათქვამების ინტერპრეტაციის ძირითადი პრინციპებზე, უფრო კონკრეტულად კი კომპოზიტურობის პრინციპზე (principle of compositionality) დაყრდნობით. ისმის შეკითხვა: რა უნდა იცოდეს ენობრივმა სუბიექტმა, რათა შეძლოს ზუსტი ინტერპრეტაცია იმ ენობრივი გამონათქვამისა, რომელიც მას პირველად ესმის? უდავოა, რომ ყოველი ენა შეიცავს გრამატიკული

წინადადებების უსასრულო რაოდენობას და ადამიანის გონება ვერ შეძლებდა ყველა ამ წინადადების მნიშვნელობის დამახსოვრებას. ენობრივი გამონათქვამის ინტერპრეტაციას შესაძლებელს ხდის მხოლოდ მათი მნიშვნელობის კომპოზიტურობა ანუ ის ფაქტორი, რომ გამონათქვამის მნიშვნელობა მიიღება მისი ნაწილების მნიშვნელობათა გარკვეული წესების მიხედვით კომბინირების შედეგად. გასერი კომპოზიტურობას ენის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად მიიჩნევს შემდეგნაირად განსაზღვრავს მას, როგორც „თვისებას, გამოვიყვანოთ ფრაზის მნიშვნელობა მისი შემადგენელი სიტყვების და მათი შემაკავშირებელი გრამატიკული მიმართებების მნიშვნელობათაგან“ (Gasser 2001; 1). ჩვენ არ შეგვხვებით კომპოზიტურობის სხავდასხვა ტიპებს, რადგან ეს სცდება ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს. საკმარისია განვიხილოთ მარტივი მაგალითი, ფრაზის წითელი ქუდი ექსტენსიონალი მოიცავს ქუდის კლასისა და წითელი ნივთების კლასის თანაკვეთას ანუ ყველა საგანს, რომელიც არის წითელი და ამავე დროს არის ქუდი.

აბსოლუტური კომპოზიტურობა ყველაზე ადვილად ხელოვნურ, მაგალითად კომპიუტერულ ენებში დასტურდება, რადგან მათ „სემანტიკას“ არ ახასიათებს რაიმე გამონაკლისები. ბუნებრივ ენებში კი მნიშვნელობათა კომბინირების შემთხვევაში მრავალი მოულოდნელი ცვლილება, მნიშვნელობის შეზღუდვა ან გავრცობა ხდება. სწორედ ამიტომ ვუდი სრულ კომპოზიტურობას მიიჩნევს ერთგვარ იდეალიზაციად, რასაც ესა თუ ის ენობრივი გამონათქვამი მეტნაკლებად უახლოვდება (Wood 1986; 6). მაშასადამე, კომპოზიტურობა შეიძლება აღვიქვათ როგორც ერთგვარი შკალა, რომლის ერთ ბოლოში განლაგებულია აბსოლუტურად კომპოზიტური ფრაზები, ხოლო მეორე ბოლოში გამონათქვამები, რომელთა მნიშვნელობა სრულიად არა-კომპოზიტურია ანუ არ გამოდინარეობს მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათაგან. სწორედ არა-კომპოზიტურობა წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმების ერთერთ ძირითად მახასიათებელს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ გამონათქვამს შეიძლება ეს თვისება მეტ-ნაკლები ხარისხით ჰქონდეს. მაგალითისთვის, განვიხილოთ რამდენიმე გამონათქვამი<sup>1</sup>:

1. Don't forget to buy the wine for the party – it really would *queer the pitch* if we had nothing to drink.

---

<sup>1</sup> ქვემოთმოყვანილ წინადადებებში ფრაზეოლოგიზმი განსხვავებული შრიფტითაა გადმოცემული.

გამოთქმა *queer the pitch* აბსოლუტურად გაუგებარია თანამედროვე ინგლისურში, რადგან ზმნა *queer* შეცდომაში შეყვანის, გაფუჭების მნიშვნელობით ისტორიულადაც არასალიტერატურო ენის კუთვნილება იყო და ახლა სრულიად გამოსულია ხმარებიდან, ხოლო *pitch* კარვის ან დახლის გასაშლელი ადგილის მნიშვნელობით, უაღრესად იშვიათად გამოიყენება. ამდენად, ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა თანამედროვე ინგლისურ ენაში აბსოლუტურად არაკომპოზიტურია მისი შემადგენელი ელემენტების პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობების თვალსაზრისით.

2. Jerry can't come – his old man *kicked the bucket* last week.

*kicked the bucket* (სიკვდილი) ხშირად მოჰყავთ, როგორც მეტაფორული იდიომის ტიპური მაგალითი, რამდენადაც ითვლება რომ ეს ფრაზა აბსოლუტურად არა-კომპოზიტურია. თუმცა აქ უნდა გავიხსენოთ რულის თვალსაზრისი, რომ ზმნა *kick* ინგლისურ ენაში სისტემურადაა დაკავშირებული სიკვდილის მნიშვნელობასთან (Rhul 1975). ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი ადასტურებს ამ თვალსაზრისს, რადგან აქ *kick* ზმნის სლენგურ მნიშვნელობად მოყვანილია სიკვდილი და ეს დადასტურებულია შემდეგი ფრაზებით: *kick it, kick up, kick one's heels, kick the bucket, kick out*. ეს თვალსაზრისი შეიძლება სადავო იყოს, მით უმეტეს, რომ მას ყველა ლექსიკონი როდი იზიარებს (მაგ. Longman Dictionary of Language and Culture 1992), და ფრაზას *kick the bucket* კომპოზიტურს რა საკვირველია ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ჩვენს მიერ განხილულ პირველ იდიომასთან შედარებით მისი მნიშვნელობა მეტად „გამჭვირვალეა“.

3. ა. I *take exception* to that sort of treatment.

ბ. I *take offense* at that sort of treatment.

*exception* არ მოწონების, ანტიპათიის, პროტესტის მნიშვნელობით თანამედროვე ინგლისურ ენაში აღარ გამოიყენება გარდა ამ ერთადერთი ფრაზისა. თუმცა მისი გამოყენება გამონაკლისის, ნორმიდან გადახვევის მნიშვნელობით საკმაოდ ხშირია და შეიძლება ითქვას, სიტყვის ძველი და ახალი მნიშვნელობები შეთავსებადია ერთმანეთთან. 3ბ მაგალითში სიტყვა *offense* მისი საკმაოდ გავრცელებული მნიშვნელობით გამოყენება, ხოლო ზმნას *take* იმდენი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა სიტყვათშეთანხებაში, რომ ჩვენ მიერ განხილულ ორივე შემთხვევაში იგი

შეიძლება სემანტიკურად ცარიელ ერთეულად მივიჩნიოთ. მაშასადამე, *take offense* გაცილებით უფრო კომპოზიტურია ვიდრე *take exception*, რადგან მის შემადგენელ ერთეულთა კავშირი ფრაზის საერთო მნიშვნელობასთან უფრო აშკარა და პირდაპირია.

4. The women's institute heard an interesting talk on how to *run the London marathon/a diesel engine/a hot bath/the National Theatre/the taps in the kitchen sink/the economy*.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონტექსტუალურად განპირობებულ პოლისემიასთან, რასაც ვხვდებით ზმნებთან, რომლებიც ბევრი სხვადასხვა ტიპის ობიექტს შეიწყოფს. ამ ზმნებს აქვთ კონკრეტული ვიწრო მნიშვნელობების დიდი რაოდენობა, რომელთაგანაც ერთერთის შერჩევა ხდება ობიექტის მახასიათებლებიდან გამომდინარე. Run ამგვარი ზმნების ყველაზე ტიპური მაგალითია. ასევე სხვადასხვა სახის ქმედებას გულისხმობს cut ფრაზებში cut bread/ paper/ heroin/ a lecture/ a tunnel/ a film/ sandwiches ან draw ფრაზებში draw a picture/ a plough/ a bow/ wire/ water/ money/ a curtain. ზმნის ასეთი პოლისემიურობა ქმნის გარკვეული ბუნდოვანების საფუძველს. მაგალითად, run a race შეიძლება ნიშნავდეს როგორც რბოლაში მონაწილეობას, ისე მის ორგანიზებას; draw a curtain არის ფარდის დახატვაც და მისი გადაწვევაც და ა. შ. თუმცა სემანტიკაში ამ ტიპის ფრაზების ფუნქციონირების ახსნა სხვადასხვა თეორიაზე დაყრდნობით ხორციელდება, უდავოა, რომ აქ საქმე გვაქვს ერთი ელემენტის პირდაპირი მნიშვნელობის და მეორე ელემენტის გარკვეულწილად სპეციფიკური მნიშვნელობის კომბინირებასთან. ამასთან კომპოზიტურობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.

5. Would you rather drink milk, tea, or scotch?

შეიძლება საუბარი გარკვეულ განსხვავებაზე drink ზმნის მნიშვნელობაში, როცა იგი გვხვდება სხვადასხვა ტიპის სასმელთან, იმის მიხედვით იქნება ეს ცხელი თუ ცივი, ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელი. თუმცა ეს განსხვავება მინიმალურია და ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მაქსიმალურად სრულ კომპოზიტურობას, რაც კი შესაძლებელია ბუნებრივ ენებში არსებობდეს.

კომპოზიტურობის კვლევის თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ტიპის მაგალითები:

6. *Invest in land/ short-term gilts / coffee/ your children's future and you will never regret it.*

თავად ზმნა *invest* იმდენად გამოკვეთილი და ძლიერი მნიშვნელობის მატარებელია, რომ ზემომოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, იგი ახერხებს თავისი მახასიათებლები გადაადოს თავის ობიექტს. რა ობიექტიც არ უნდა შეგვხვდეს მასთან, მაგ. *land* ან *coffee*, ისინი განიხილება, ფინანსური თვალსაზრისით როგორც საბაზრო საქონელი. თავად მომავალიც (*children's future*) იგივე სემანტიკურ ველში ექცევა. მაგალითად, წინადადებაში *invest your time in your children's future* დროც განიხილება, როგორც ფული. ამ მაგალითებში საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როცა კომპოზიტურობის პრინციპის ძალა არღვევს ფრაზის შემადგენელი კომპონენტების ინდივიდუალურ სემანტიკას.

ჩვენ განვიხილეთ მაგალითები, რომლებიც ადასტურებს რომ კომპოზიტურობის ხარისხი შეიძლება განვიხილოთ, როგორც შკალა სრული კომპოზიტურობიდან სრულად არა-კომპოზიტურ ფრაზებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემომოყვანილი შემთხვევა წარმოადგენს ერთიდაიგივე სინტაქსურ კონსტრუქციას გარდამავალი ზმნა + ობიექტი. ამის გარდა, სემანტიკაში კომპოზიტურობის თვალსაზრისით განიხილება სხვა სინტაქსური კონსტრუქციებიც, მაგალითად, ლუისი განიხილავს შემდეგი ტიპის კონსტრუქციას (Lewis 1972):

გარდაუვალი ზმნა + ქვემდებარე –სრულიად არა-კომპოზიტურიდან (*a pig in a poke*) – აბსოლუტურად კომპოზიტურამდე (*square book*).

ფრეიზერი ყურადღებას ამახვილებს კონსტრუქციაზე ზმნას + ნაწილაკი და ერთმანეთისგან გამოიჯნავს შემთხვევებს, როცა ნაწილაკი იწვევს ზმნის მნიშვნელობის სტაბილურ ცვლილებას (მაგალითად, *bolt/ drink/ gulp/ swig/ swallow down, cache/ bank/ store/ stow away*) და ყველა დანარჩენ შემთხვევას, რომელთაც მისი აზრით გადატანითი მნიშვნელობა (*figurative meaning*) აქვს (Fraser 1976). აქაც შეიძლება გამოვეყნოთ სხვადასხვა ხარისხის კომპოზიტურობის მქონე ფრაზები:

სრულიად არა-კომპოზიტური – *sally forth, egg on, eke out, water down* და ა. შ.

ნაკლებ კომპოზიტური – *take off* (e.g. *an aeroplane*)

აბსოლუტურად კომპოზიტური – *fly away*

ფრაზეოლოგიზმების და მათი კომპოზიტურობის განხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ რთულ ლექსიკურ ერთეულებს ანუ რთულ

სიტყვებს. სიტყვების windmill/ sawmill/ flourmill ერთი შეხედვით ერთგვარია აგებულებით, მაგრამ მათ შემადგენელ ნაწილებს შორის სხვადასხვა მიმართებაა. სიტყვაში windmill პირველი კომპონენტი არის ქარი, რომელიც ამუშავებს წისქვილს, sawmill – პირველი კომპონენტი არის ფუნქცია ანუ ხერხვა, ხოლო flourmill – კი ეს ნაწილი არის პროდუქტი, რომელსაც წისქვილი აწარმოებს. ეს განსხვავებები ადასტურებს, რომ მათი დეკოდირება არ არის მარტივი და ერთგავროვანი პროცესი და ისინიც შეიძლება განლაგდეს შკალაზე კომპოზიტურობის ხარისხის მიხედვით, მაგალითად:

სრულიად არა-კომპოზიტური – alewife (თევზის სახეობა)

აბსოლუტურად კომპოზიტური – flatfish (ბრტყელი ფორმის თევზის სახეობა)

რა თქმა უნდა, რთულ სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების კომპოზიტურობა არ არის სრულად იდენტური, მაგრამ ამ საკითხის დეტალურად განხილვა სცდება ჩვენი კვლევის სფეროს.

ზემოგანხილული მაგალითებიდან ნათელია, რომ კომპოზიტურობის პრინციპი არ არის უნივერსალური, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მისი გააქტიურება ავტომატურად ხდება (Cruse 2000). ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი გამონათქვამის თუ კომბინაციის პირველად გაგონებისას ენობრივი სუბიექტი ცდილობს მის გადამუშავებას კომპოზიტურობის პრინციპის გათვალისწინებით. ამას მოელის ადრესატისაგან ადრესანტიც. თუ ეს პრინციპი არ მოქმედებს, ამის ახსნა შეიძლება იმ ფაქტორით, რომ არსებობს ისეთი გრამატიკული კომპონენტები, რომლებსაც ფრაზის მნიშვნელობაში არ შეაქვთ გამოკვეთილი წვლილი. კრუზი გვთავაზობს კომპოზიტურობის პრინციპის შემდეგ განსაზღვრებას: „რთული გამონათქვამის მნიშვნელობა წარმოადგენს მისი სემანტიკური შეადგენლების მნიშვნელობათა კომბინირების შედეგს, ანუ იმ შემადგენლებისა, რომლებიც ზუსტად ახდენს მთელი ერთეულის დაყოფას და რომელთა მნიშვნელობებიც, ადექვატურად კომბინირების შემთხვევაში, ქმნის საერთო (გლობალურ) მნიშვნელობას“. თავად ავტორი განმარტავს, რომ შემოთავაზებული დეფინიცია ერთი შეხედვით ტავტოლოგიას შეიცავს, თუმცა ეს შთაბეჭდილება გაქრება, როცა სემანტიკური შემადგენლის ცნების განსაზღვრას შევძლებთ. იგი ამტკიცებს, რომ სემანტიკური შემადგენლის იდენტიფიკაცია შესაძლებელია ე.წ. „განმეორებითი კონტრასტულობის ტესტით“.



იდეალურ შემთხვევაში, სემანტიკურ შემადგენლებს უნდა ჰქონდეს შემდეგი თვისებები:

1. მათი ჩანაცვლება შესაძლებელია სხვა ერთეულით (რომელიც იგივე გრამატიკულ კლასს მიეკუთვნება), რაც შეცვლის მნიშვნელობას.

აქ იგულისხმება პრინციპი, რომ მნიშვნელობა გულისხობს არჩევანს. მაშასადამე, გამონათქვამს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი არჩეულია სავარაუდო ალტერნატივათა რიცხვიდან. თუ ელემენტი სავალდებულოა, არ შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა *cat* წინადადებაში *The cat sat on the mat* აკმაყოფილებს ამ პირობას, რადგან იგი შეიძლება ჩაანაცვლოს სიტყვამ *dog*, რაც ქმნის სემანტიკურად განსხვავებულ წინადადებას *The dog sat on the mat*. ამისგან განსხვავებით, *to* წინადადებაში *I want to eat* არ აკმაყოფილებს პირველ კრიტერიუმს, რადგან ის გრამატიკულად სავალდებულო და ერთადერთია. ეს კრიტერიუმი მკვლევართა აზრით ზედმეტად მკაცრია და მხოლოდ პროტოტიპული თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს ვალიდურად.

2. ერთ კონტექსტში ჩანაცვლების შედეგად მიღებული მნიშვნელობის კონტრასტები ნაწილობრივ მაინც განმეორდება სხვა კონტექსტში იგივე ერთეულის გამოყენებისას.

ეს პრინციპი ასახავს იმ მარტივ აზრს, რომ ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა მუდმივი უნდა იყოს კონტექსტის ცვლილების შემთხვევაშიც კი. განვიხილოთ ამ ტესტის ოპერირება შემდეგ მაგალითებში:

(mat/box) The cat sat on a \_\_\_.

(mat/box) The \_\_\_ is dirty.

აქ გამოყენებული ორი ერთეული *mat* და *box* მნიშვნელობის ერთიდაიგივე კონტრასტს ქმნის ორ განსხვავებულ კონტექსტში. მაშასადამე, ორივე აკმაყოფილებს სემანტიკური შემადგენლის იდენტიფიკაციის კრიტერიუმებს და შეიძლება წინადადების შესაბამის ადგილას მოთავსების შემთხვევაში ამ წინადადების სემანტიკურ შემადგენლად ჩაითვალოს. მართალია, ზემომოყვანილმა ტესტებმა დაადასტურა, რომ *mat* არის წინადადების *The cat sat on the mat* სემანტიკური შემადგენელი, მაგრამ ეს ტესტები არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ იგი მინიმალური სემანტიკური შემადგენელია ანუ მისი შემდგომი დაშლა უფრო მცირე სემანტიკურ შემადგენლებად

შეუძლებელია. ამ მიზნით საჭიროა სიტყვის mat ნაწილების „განმეორებითი კონტრასტულობის ტესტით“ გამოცდა.

(-mat/-oss) The cat sat on the m—. = (?)(-mat/-oss) He has a new b—.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ტესტის პირველი ნაწილი დაკმაყოფილებულია: -at შეიძლება ჩანაცვლდეს -oss და მივიღებთ წინადადებას The cat sat on the moss, რომლის მნიშვნელობაც განსხვავდება წინადადებისგან The cat sat on the mat. დაუკმაყოფილებელი რჩება ტესტის მეორე ნაწილი, რადგან შეუძლებელია ისეთი კონტექსტის პოვნა, სადაც -oss შეიძლება ჩაისვას -ატ ნაცვლად და მივიღოთ მნიშვნელობის ისეთივე კონსტრასტი, როგორც წინადადებაში The cat sat on the mat. უდავოა, რომ კონტრასტი წინადადებებს The cat sat on the mat და The cat sat on the moss არ არის იგივე, რაც წინადადებებს He has a new bat და He has a new boss შორის. აღნიშნულის ექვივალენტური კონტრასტი არც ერთ კონტექსტში არ მეორდება -at და -oss შორის.

ეს ტესტი საკმაოდ საინტერესო შედეგებს იძლევა. მაგალითად, dis- სიტყვაში disapprove, სემანტიკურ შემადგენელს წარმოადგენს, რადგან აპრეფიქსის არსებობა-არარსებობას იგივე სემანტიკური ეფექტი აქვს approve-ის კონტექსტში, როგორც სიტყვის like კონტექსტში. იგივე dis- არ წარმოადგენს სემანტიკურ შემადგენელს სიტყვისა disappoint, რადგან მისი ჩამოშორებით გამოწვეული სემანტიკური ეფექტი არ მეორდება არც ერთ სხვა ძირთან მიართებაში (dis- დამატება არ ქმნის სიტყვის ანტონიმს განსხვავებით სიტყვებისგან approve, mount). ანალოგიურად, re- სიტყვაში re-count (ხელახლა დათვლის მნიშვნელობით) სემანტიკური შემადგენელია, თუმცა ამგვარად ვერ ჩაითვლება re- სიტყვებში recount (თხრობა), report, receive, revolve და ა. შ. ეს შედეგები ემთხვევა ენობრივი სუბიექტის ინტუიციასაც. შედარებით ნაკლებ აშკარაა ინტუიტიურად ის ფაქტი, რომ არც straw- და არც -berry სიტყვიდან strawberry და არც black-, არც -bird სიტყვიდან blackbird არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სემანტიკური შემადგენლები, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებს „განმეორებითი კონტრასტულობის ტესტს“. რა თქმა უნდა blackbird ანუ შაში შავი ფრინველია, მაგრამ ტესტი აჩვენებს, რომ კონტრასტი წინადადებებს A blackbird was singing და A bird was singing შორის არ არის იდენტური კონტრასტისა John was wearing a black suit და John was wearing a suit წინადადებებს შორის. ცალკე

სიტყვების black და bird მნიშვნელობების შეკრება იძლევა ფრაზის black bird მნიშვნელობას, რაც არა შაშვს, არამედ შავ ჩიტს აღნიშნავს.

სემანტიკური შემადგენლის ცნების ამ საკმაოდ დეტალური განხილვის შემდეგ შესაძლებელი ხდება საუბარი ისეთ გრამატიკულად რთულ გამონათქვამებზე, რომლის ყველა გრამატიკული შემადგენელი არ წარმოადგენს სემანტიკურ შემადგენელს. სწორედ ამ ტიპის გამონათქვამებს უწოდებს კრუზი იდიომას. თუმცა მისეული განმარტების მიხედვით სიტყვა blackbird იდიომატურად უნდა ჩაითვალოს, უფრო მიღებულია ამ ტერმინის გამოყენება ფრაზული ერთეულების მიმართ.

ფრაზული იდიომების განხილვისას აუცილებლად უნდა გაეუსვათ ხაზი იმ ფაქტორს, რომ მათი წინადადებაში გამოყენებისას მთელი წინადადება როდი ხდება იდიომატური. მაგალითად,

Jane pulled Martha's leg about her boyfriend.

განმეორებითი კონტრასტულობის ტესტი ავლენს შემდეგ სემანტიკურ შემადგენლებს: Jane, -ed, Martha, about, her, boyfriend (სავარაუდოდ boy და friend), pull –'s leg. ჩამოთვლილთაგან მხოლოდ უკანასკნელი შეიძლება ჩაითვალოს იდიომად. სემანტიკურად იგი ექვივალენტურია ერთი ლექსემისა. წინადადების ყველა დანარჩენი შემადგენელი გარდა იდიომისა შეიძლება შეიცვალოს ისე, რომ არ დაირღვეს ფრაზის იდიომატურობა, მაგრამ pull და leg ერთეულთა შეცვლა გამოიწვევდა იდიომატური მნიშვნელობის დაკარგვას.

ჩვენ მიერ განხილული მაგალითებიდან ნათელია, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპოზიტურობის ხარისხი შეიძლება მკვეთრად განსხვავებული იყოს. თუმცა კომპოზიტურობა არ არის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელზე დაყრდნობითაც ხდება იდიომების და ზოგადად ფრაზეოლოგიზმების იდენტიფიკაცია. ასევე მნიშვნელოვანია ე. წ. პროდუქტიულობის კრიტერიუმი ანუ რამდენად თავისუფლადაა შესაძლებელი ფრაზის შემადგენელი ელემენტების ცვლა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ა. ჰილის მიერ შემოთავაზებული იდიომების იდენტიფიკაციის ტესტი (Healey 1968). უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს სავარაუდო იდიომის დაყვანა მის მინიმალურ ფორმამდე. შემდეგ მისი შემადგენელი თითოეული მორფემისთვის უნდა მოიძებნოს სხვა კოლოკაციები, სადაც ისინი ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება. თუ ეს ძებნა ნაყოფიერი აღმოჩნდა, ანუ თუ ვიპოვეთ კოლოკაცია, სადაც მოცემული მორფემა იგივე მნიშვნელობისაა, როგორც შესასწავლ სავარაუდო იდიომაში, მაშინ ჰილის

აზრით ეს ფრაზა იდიომად ვერ ჩაითვლება, თუმცა ჩვენ ვეცნობით ამ ერთეულის ნაკლებად გავრცელებულ გამოყენებას (Healey 1968; 72). ამ ჯგუფს ავტორი კვაზი-პროდუქტიულ ფორმებად მიიჩნევს, მაგალითად, კვაზი-პროდუქტიული ფორმების კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ *take offense/umbrage/exception*. ვუდი არ კმაყოფილდება მხოლოდ სამი ჯგუფის – პროდუქტიული, კვაზი-პროდუქტიული და არა-პროდუქტიული ფორმების გამოყოფით და მიიჩნევს, რომ როგორც კომპოზიტურობის შემთხვევაში, აქაც საქმე გვაქვს ხარისხობრიობის შკალასთან (Wood 1986). განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. We were counting on a big drop in interest rates, so Sir Geoffrey has really *cooked our goose*.

ფრაზა *cook x's goose* მისი პირდაპირი მნიშვნელობით, რა საკვირველია, პროდუქტიულია. როგორც ზმნა, ისე არსებითი შეიძლება ჩავანაცვლოთ სხვა ერთეულებით, მაგ. *roast our goose, cook x's chicken* და ა.შ. იდიომატური მნიშვნელობით კი ეს ფრაზა აბსოლუტურად არა-პროდუქტიულია, რადგან მისი არცერთი ელემენტი სხვა ერთეულებთან არ მონაცვლეობს. მართალია, ზმნა იცვლის ფორმას დროის, პირის და რიცხვის მიხედვით ისევე, როგორც პირდაპირი მნიშვნელობის შემთხვევაში, ხოლო *x* ელემენტი შეიძლება ნებისმიერი პირის ფორმით იყოს წარმოდგენილი, ეს ვერ ჩაითვლება პროდუქტიულობად, არამედ გრამატიკულ ფორმათა შეთანხმებად უნდა განვიხილოთ. გამონათქვამს შეიძლება თან ახლდეს მსახდვრელები, როგორიცაა *thoroughly, yesterday*, ის შეიძლება შეგვხვდეს ვნებითი ფორმითაც, მაგალითად, *They were hoping to reach New York in three days, but their goose was cooked when the wind dropped*. ყოველივე ეს არ უარყოფს ფაქტს, რომ ფრაზას *cook x's goose* ნულოვანი პროდუქტიულობა ახასიათებს ანუ მის მოდელზე განხორციელებული ლექსიკური ვარიაციით შეუძლებელია ახალი გამონათქვამის მიღება.

2. It's nearly eleven – time to *hit the road*.

*hit the road* შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამერიკული კოლოქვიალური ფრაზების მცირე ჯგუფის (*hit the road /trail/pike/grit*) (OED 1976) ერთერთი წარმომადგენელი, რომელთა საერთო მნიშვნელობაა წავიდა, გზას გაუდგა. ამ ფრაზოლოგიური ერთეულის პროდუქტიულობა ნაკლებად შეზღუდულია. ამას ადასტურებს როგორც ჩვენ მიერ უკვე მოყვანილი მაგალითები, ისე ის ფაქტორიც, რომ ზმნა *hit* საკმაოდ მსგავსი მნიშვნელობით სხვა კოლოქვიალურ

ფრაზეოლოგიებშიც გამოიყენება. მაგალითად, *hit the sack/hay, hit the bottle/booze, hit the books* და სხვ.

3. Europeans who go to the Congo are likely to *catch Malaria*.

*catch malaria* საკმაოდ პროდუქტიულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მაღარია შეიძლება ჩაანაცვლოს ნებისმიერმა სხვა გადამდებმა დაავადებამ. თუმცა ეს პროდუქტიულობა შემოსაზღვრულია ერთი სემანტიკური ველით. ეს შეზღუდვა იმდენად მყარია, რომ სხვა შესაძლო არსებითი სახელებიც განიცდიან გარკვეულ სემანტიკურ გავლენას. ზმნა *catch* შეიძლება შეგვხვდეს მდგომარეობის, ძირითადად კი ემოციური განწყობის მქონე სიტყვებთან და ყველა ამ შემთხვევაში გარკვეული პარალელი გაივლება ავადმყოფობასთან. ზოგჯერ ეს მსგავსება ექსპლიციტურადაცაა გამოხატული, მაგალითად:

*They've all caught the mood of excitement/ this passion for collecting / election fever.*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზმნა *catch* თავისთავად უაღრესად პროდუქტიულია მისი სხვა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობებით.

4. You can *see the river* from our top window.

აქ ისეთი მცირე შეზღუდვაც არ მოქმედებს, როგორც ფრაზის *catch malaria* შემთხვევაში. *see* ზმნასთან შეიძლება შეგვხვდეს სახელი, აღწერა ან სხვადასხვა ტიპის მინიშნება ნებისმიერ პოტენციურად ხილულ საგანსა თუ მოქმედებაზე. შეიძლება წარმოვიდგინოთ ფანტასტიკური კონტექსტი, სადაც არსებობს გამონათქვამები:

*see a blue donkey against the white sky/ a unicorn/ a thought, etc.*

გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება გამოთქმები:

*I can see the point/ idea/ objection/ reason.*

ზოგადად, არ არსებობს ლექსიკური ერთეული, რომლის კომბინირების უნარი გარკვეულ შეზღუდვებს არ ექვემდებარებოდეს, თუმცა *can see* ალბათ მაქსიმალურად ახლოსაა ბუნებრივ ენებში შესაძლო სრულ პროდუქტიულობასთან.

მაშასადამე, შესაძლოა ვისაუბროთ სხვადასხვა ხარისხის პროდუქტიულობაზე, რაც ჩვენ განვიხილეთ სინტაქსური კონსტრუქციის ზმნას + ობიექტი მაგალითზე. ანალოგიურ შედეგებს გაჩვენებს სხვა სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზი. ამ თვალსაზრისს ადასტურებს ნაგი, რომელიც საუბრობს პროდუქტიულობის შკალაზე და ხაზს უსვამს ამ შკალაზე სხვადასხვა კონსტრუქციების განლაგების, მათი პროდუქტიულობის ხარისხების

გამიჯვნის სირთულეს (Nagy 1978). სინტაქსური თვალსაზრისით განსხვავებულია შემდეგი კონსტრუქციები, რომელთა შორისაც შეიძლება გამოიყოს პროდუქტიულობის სხვადასხვა ხარისხის მქონე ერთეულები:

ა) ზედსართავს + არსებითი სახელი -

სრულიად არაპროდუქტიული – runcible spoon

შეზღუდული პროდუქტიულობის მქონე – exorbitant taxes (და ვიწრო სემანტიკური ველის შემადგენელი არსებითი სახელები, რომელთაგან ყველა დაკავშირებულია ფულსა და გადახდასთან მაგ. prices, fees, wage claims)

მაღალპროდუქტიული - white rose (ზედსართავი white ადვილად წარმოქმნის როგორც პირდაპირი მნიშვნელობის მქონე ფორმებს (მაგ. white paper, paint), ისე სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე კოლოკაციებს (white wine, magic, lies, noise)

ბ) ზმნა + ნაწილაკი -

სრულიად არა-პროდუქტიული – eke out, sally forth

შეზღუდული პროდუქტიულობის მქონე - send forth (სადაც forth უაღრესად შეზღუდულია პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ხოლო send მართალია მაღალპროდუქტიულია დამოუკიდებლად, მაგრამ საკმაოდ მცირე რაოდენობით კოლოკაციებს ქმნის).

მაღალპროდუქტიული – go away (fly/ run/ walk/ move back/ sideways/ up...

აშკარაა, რომ როგორც კომპოზიტურობის, ისე პროდუქტიულობის განხილვისას რთული გამონათქვამების განლაგება შკალაზე ხარისხის ცვლილების მიხედვით არ იღებს მოწესრიგებულ, ერთგვაროვანი სისტემის სახეს. განსხვავება სხვადასხვა ერთეულის კომპოზიტურობის ან პროდუქტიულობის ხარისხებს შორის ჩვეულებრივ არათანაბარია, ზოგჯერ კი იმდენად მინიმალური, რომ იერარქიის ორგანიზაციას არღვევს (Wood 1986)

სწორედ ჩვენს მიერ გახილულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ვუდი გეთავაზობს იდიომის შემდეგ განმარტებას: „იდიომა არის რთული გამონათქვამი, რომელიც სრულიად არა-კომპოზიტურია მნიშვნელობის თვალსაზრისით და სრულად არა-პროდუქტიულია ფორმის თვალსაზრისით“ (Wood 1986; 2). ეს დეფინიცია იდიომატურობის უფრო მკაცრ კრიტერიუმებს გეთავაზობს, ვიდრე კრუზის მიერ შემოთავაზებულ ზემოგანხილული დეფინიცია,

რომელიც გრამატიკული და სემანტიკური შემაღგენლებს შორის თანხვედრის არარსებობას ეფუძნება.

იდიომატურ ფრაზებს ახასიათებს გარკვეული გრამატიკული თავისებურებები, რაც შეიძლება მიეწეროს იმ ფაქტს, რომ მათ შემაღგენლებს არა აქვს მნიშვნელობა ან რომ ეს მნიშვნელობა არ არის დამოუკიდებლად აქტიური. აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

ა) იდიომის ცალკეულ ელემენტთა განსაზღვრა იწვევს იდიომატური მნიშვნელობის დაკარგვას, მაგალითად:

She pulled her brother's legs.

She pulled her brother's left leg.

She pulled her brother's leg with a sharp tug.

შესაძლებელია მხოლოდ იდიომის, როგორც ერთი მთლიანის განსაზღვრა, მაგალითად:

She pulled her brother's leg mercilessly.

ბ) იდიომის ელემენტები არ შეიძლება მაერთებელი კავშირით დაუკავშირდეს ჭეშმარიტ სემანტიკურ შემაღგენლებს, მაგალითად:

She pulled and twisted her brother's leg.

She pulled her brother's leg and arm.

თუმცა აბსოლუტურად მისაღებია წინადადება, სადაც მხოლოდ სემანტიკური შემაღგენლები უკავშირდება ერთმანეთს, მაგალითად:

She pulled her brother's and her father's leg.

გ) იდიომის ელემენტებზე არ შეიძლება მოდიოდეს კონტრასტული მახვილი ან მოხდეს მათი ტოპიკალიზაცია, მაგალითად:

It was her brother's **leg** that she pulled.

მახვილი არ შეიძლება მოდიოდეს სიტყვაზე leg, მაგრამ იგი სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, მაგალითად სიტყვაზე brother's:

It was her **brother's** leg that she pulled.

დ) იდიომის ელემენტები არ შეიძლება გახდეს ანაფორული რეფერენციის ობიექტი.

Mary pulled her brother's leg; John pulled it too.

მაგრამ მისაღებია წინადადება

Mary pulled her brother's leg; John did too.

ე) იდიომი იკარგება მისი ნებისმიერი ელემენტის სინონიმით ჩანაცვლების შემთხვევაში, მაგალითად ნაცვლად ფრაზისა pulled his leg არ შეიძლება შეგვხვდეს

She tugged his leg about it.

She pulled his lower limb about it.

კრუზი მიიჩნევს, რომ ყველა ამ შემთხვევაში იდიომთა თითქოსდა ანომალიური თვისებები სრულიად ბუნებრივი შედეგია იმ ფაქტისა, რომ მათი ცალკეული ელემენტები ფაქტიურად არავითარ მნიშვნელობას არ ატარებენ (Cruse 2000). მაგალითად, ზედსართავი სახელის ფუნქციას წარმოადგენს იმ არსებითი სახელის მნიშვნელობის განსაზღვრა, მოდიფიკაცია, რომელსაც ის ერთვის. შესაბამისად, თუ არსებით სახელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს, მასთან ზედსართავის გამოყენება ანომალიურია. იგივე მიზეზით აიხსნება იდიომის ელემენტთა მნიშვნელობის აქცენტირების საშუალებების ან მათი სინონიმების გამოყენების დაუშვებლობა.

ვ) გრამატიკის ზოგიერთი ასპექტი (მაგ. გვარი) შეიძლება წარმოადგენდეს იდიომის ნაწილს, თუმცა ეს ყოველთვის არ ხდება. მაგალითად:

His leg was pulled by the other boys.

ამ წინადადებაში ვნებით გვარის გამოყენება არ არღვევს ფრაზის იდიომატურობას. მაშასადამე, მოქმედებითი გვარი ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს იდიომის განუყოფელ ნაწილს. თუმცა ზოგ სხვა შემთხვევაში გვარის ცვლილება არღვევს იდიომატურ მნიშვნელობას. მაგალითად:

The bucket was kicked by him.

რუსი ენათმეცნიერების დიდი ნაწილი იზიარებს თვალსაზრისს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის მთავარ ნიშანს, რომელიც განსაზღვრავს მის სტატუსს, წარმოადგენს მისი სემანტიკური სტრუქტურა. სემანტიკურ სტრუქტურას, როგორც ა.ვ. კუნინი აღნიშნავს, წარმოქმნის არამარტო ენობრივი წარმონაქმნის მნიშვნელობა, არამედ მისი გრამატიკული გაფორმებაც და სისტემური ენობრივი კავშირებიც.

ამჟამად, როდესაც გაგვაჩნია უფრო ზუსტი კრიტერიუმები, საჭიროა შევამოწმოთ ფრაზეოლოგიის არსებული კლასიფიკაციები მოცემული მეცნიერების თანამედროვე დონესთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით.

თუკი გამოვრიცხავთ ფრაზეოლოგიური ერთეულების სპეციალურ სტილისტიკურ დიფერენციაციას (ე. გ. რიზელი, ი.ა. შრუკინა), მაშინ საუბარი



ეხება ორ კლასიფიკაციას, რომლებმაც უკანასკნელი 12-15 წლის მანძილზე ფართო გავრცელება ჰპოვა, ესენია: სემანტიკური (ვ.ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაციის საფუძველზე). და ფუნქციონალური კლასიფიკაციები.

რადგანაც სემანტიკური კლასიფიკაციის სადავო მომენტები უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მრავალმხრივი კრიტიკული ანალიზის საგანს წარმოადგენდა როგორც ინგლისური, ისე ქართული ენის მასალასთან მიმართებაში, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფრაზეოლოგიის განხილვა ფუნქციონალური სისტემატიზაციის თვალსაზრისით.

ფუნქციონალური კლასიფიკაცია შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც ვ.ვ. ვინოგრადოვის ფუნქციონალურმა გამოკვლევებმა უჩვენა ენათმეცნიერებს ენის მყარი შესიტყვებების განხილვის მნიშვნელობა არა მარტო როგორც გამომსახველობითი საშუალებისა. სწორედ ფუნქციონალური კრიტერიუმის საფუძველზე მოხდა მყარი შესიტყვებების და ისეთ სიტყვათა შეთანხმებების „წართმევა“ სინტაქსისათვის, რომლებსაც გააჩნიათ ნომინაციური მთლიანობა. მანამდე ასეთი შესიტყვებები განხილვებოდა სინტაქსში, და სიტყვათწარმოებაში, რადგანაც მთელი რიგი შესიტყვებებისა მეცნიერთა მიერ მიჩნეული იყო რთულ სიტყვებად. ეს ერთეულები - ანუ ერთეულები, რომლებმაც ახასიათებთ წმინდა ნომინაცია და აღინიშნებიან, როგორც ლექსიკური მთლიანობა (გოროდნიკოვა, შრუკინა, რიხელი), ნომინაციური ფრაზეოლოგიზმები (ჩერნიშევა) პირველად გამოკვლეულ იქნა როგორც შემადგენელი ნაწილი მოძღვრებისა თანამედროვე ენის მყარი შესიტყვებების შესახებ.

მოცემულმა გარემოებამ შესაძლებელი გახადა ამ ჯგუფის მყარი სიტყვათშეთანხმებების ფუნქციისა და სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების აგრეთვე, მათი განმასხვავებელი თავისებურებების დეტალური გამოკვლევა - სიტყვათშეთანხმებებთან მიმართებაში, რომლებიც ენაში ასრულებენ ნომინაციურ - ექსპრესიულ ფუნქციას. ამრიგად, ენის ყველა მყარი შესიტყვების განხილვა, რომელთაც გააჩნიათ მთლიანი, ერთიანი ნომინაცია და ასრულებენ ენაში ნომინაციურ ან ნომინაციურ-ექსპრესიულ ფუნქციას. ამრიგად, ძალიან ნაყოფიერი იყო და ხელი შეუწყო თანამედროვე ენაში მათი ფუნქციონირების მექანიზმის გარკვევას.

ჩვეულებრივ გამოიყოფა მყარი შესიტყვებების ორი დიდი ჯგუფი:

- I ჯგუფი - ლექსიკური მთლიანობანი ანუ ნომინაციური ფრაზეოლოგიზმები;

## II ჯგუფი - ნომინაციურ-ექსპრესული ფრაზეოლოგიზმები.

მყარი შესიტყვებების ამ ორი ჯგუფის შემადგენლობის კონკრეტიზაცია კონკრეტიზაცია უჩვენებს, რომ ფუნქციონალური განსხვავებანი, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია სტრუქტურულ-სემანტიკური ხასიათის თავისებურებებთან.

ამ განსხვავებათა ხასიათი ყველაზე კარგად ჩანს მყარ შესიტყვებათა თითოეული ჯგუფის სტრუქტურისა და სემანტიკის ანალიზის დროს, თუმცა ზოგადად უნდა აღინიშნოს შემდეგი: I ჯგუფი – ინგლისური და ქართული ენის ე.წ. ნომინაციური ფრაზეოლოგიზმები - მოიცავს, ჯერ-ერთი მყარ შესიტყვებას, რომელთაც გააჩნიათ ერთიანი სემანტიკური ნომინაცია კომპონენტთა საკუთარ ლექსიკურ მნიშვნელობათა საფუძველზე, ამ კომპონენტთა ყოველგვარი სემანტიკური ცვლილებების გარეშე.

მათ უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ატრიბუციული შესიტყვებები: განსასაზღვრი - განსაზღვრება, რომლებიც გამოიყენება როგორც სხვადასხვა ტიპის სახელწოდებები: გეოგრაფიული დასახელებანი, სხვადასხვა სახელმწიფო, პოლიტიკური თუ საერთაშორისო დაწესებულებების სახელწოდებები, წოდებათა დასახელება, რთული ტერმინები და ა.შ.

ყველა ეს სიტყვათაშეთანხმება, რომლებიც ენაში ნომინაციის ფუნქციას ასრულებენ, ძალზე ახლოს არიან რთულ სახელებთან, განსხვავდებიან ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ იმით, რომ მათში სიტყვები ცალ-ცალკე იწერება. ამასთან არის დაკავშირებული მათი გადასვლის პროცესი რთულ-შემოკლებულ და შეკვეცილ სიტყვათა კატეგორიაში, რაც აბრევიაციის გზით ხორციელდება.

ლექსიკურ მთლიანობათა (ანუ ნომინაციური ფრაზეოლოგიზმების) მეორე ჯგუფს წარმოადგენენ სიტყვათაშეთანხმებები, რომლებიც წარმოიქმნება ერთ-ერთი კომპონენტის გადატანითი მნიშვნელობის საფუძველზე. ეს არის გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა სხვა სიტყვებთან შეზღუდული შეთანხმების ტიპური მაგალითები, ვ.გ. ვინოგრადოვის კლასიფიკაციაში მათ ეწოდება ფრაზეოლოგიური შესიტყვება. ასეთ ერთეულებში გადმოცემული მნიშვნელობა ვ.გ. ვინოგრადოვის მიერ განისაზღვრება, როგორც ფრაზეოლოგიურად შეკავშირებული, ნ.ნ. ამოსოვას მიერ - როგორც უზუალურად შეკავშირებული, ვ. შმიდტის მიერ - როგორც არა საკუთარი, ანუ გადატანითი.

აღნიშნული ტიპის ერთეულების სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებების დასადგენად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ

1. სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის საფუძველზე წარმოიქმნება მისი არა ერთეული შეთანხმება სხვა კომპონენტებთან, არამედ მთელი სერია. მყარი შესიტყვებები შეზღუდულია სიტყვათა გარკვეული სემანტიკური ჯგუფებით.

2. მოცემული ტიპის სიტყვათშეთანხმებები არ წარმოადგენენ ცალსახა, უპირობო სემანტიკურ მთლიანობებს. ისინი ანალიტიკური ერთეულებია. სიტყვები - კომპონენტები, მართალია, წარმოქმნიან მთლიანობას, ამავდროულად მათ გააჩნიათ ცალ-ცალკე მნიშვნელობა.

იმ ერთეულთა ბოლო ჯგუფს, რომლებიც შედიან ე.წ. ნომინაციური ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში, წარმოადგენენ ზმნური მყარი შესიტყვებები, რომლებიც ჩვენს და უცხოენოვან ლიტერატურაში ცნობილია როგორც „ანალიტიკური კონსტრუქციები“.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის II ჯგუფი - ნომინაციურ-ექსპრესული ფრაზეოლოგიზმები - შეიცავს სემანტიკურად გარდაქმნილ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთაც გააჩნიათ სიტყვათა შეთანხმებებისა და წინადადებების სტრუქტურა.

ამრიგად, ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში კონცენტრირებულია მყარ შესიტყვებათა ყველა სახესხვაობა. აქ წარმოდგენილია შეთანხმებები, რომლებიც წარმოიქმნება კომპონენტთა სემანტიკური გარდასახვის გარეშე (ლექსიკური მთლიანობა), მოდელირებული წარმონაქმნები (ანალიტიკური და სტილისტიკურ-გრამატიკული კონსტრუქციები), სერიული წარმონაქმნები. ფრაზეოლოგიზმებთან შედარებით ისინი ყველანი ავლენენ პრინციპულ განსხვავებებს. მათი ერთი კლასიფიკაციური სქემით განხილვა არ იქნებოდა მართებული.

ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების კომპლექსის გამოიყენებამ საშუალება მოგვცა უფრო ზუსტად განგვესაზღვრა ფრაზეოლოგიური ერთეულების არსი, აგრეთვე მათი ახალი სტრუქტურულ- სემანტიკური კლასიფიკაცია.

ფრაზეოლოგიური ერთეულები, წარმოადგენენ სიტყვათა მყარ შეთანხმებებს, რომელთა მნიშვნელობა წარმოიქმნება მათი კომპონენტების სემანტიკური ცვლილებების, „გარდასახვის“ შედეგად.

გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება წარმოადგენდნენ სიტყვათშეთანხმებებს, პრედიკატიულ შეთანხმებებს და წინადადებებს. მათი მნიშვნელობა წარმოიქმნება კომპონენტური

შემადგენლობის სტრუქტურის, შეთანხმების და სემანტიკური ცვლილების ურთიერთმოქმედების შედეგად. ამ მნიშვნელობის მიხედვით გამოიყოფა ფრაზეოლოგიური ერთეულების შემდეგი ტიპები:

1. ფრაზეოლოგიური შენაზარდი,
2. ფრაზეოლოგიური შენაერთი,
3. ფრაზეოლოგიური შესიტყვება.

**ფრაზეოლოგიური შენაზარდის** მოტივაცია სინქრონიული თვალსაზრისით უცნობია. მისი მნიშვნელობის დადგენა ხერხდება მხოლოდ დიაქრონიული თვალსაზრისით (ისტორიული ფაქტების მოშველიებით) ან ზოგჯერ საერთოდ ვერ ხერხდება მისი წარმოშობის დადგენა. ასეთი შენაზარდი სინტაქსური თვალსაზრისით წინადადების ერთ წევრს წარმოადგენს. იგი სიტყვის ეკვივალენტურია თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ეს მნიშვნელობა დაკავშირებული არ არის ფრაზეოლოგიზმის შემადგენელ კომპონენტებთან და მათგან არ გამოიყვანება ანუ იგი სრულიად არა-კომპოზიტურია და ამასთანავე არა-პროდუქტიული. მაგალითად, *out of the mouth of babies and sucklings - ტუჩებზე დედის რძე არ შემოიპოვება*. ნიშნავს ჯერ არ გაზრდილა. აქ თამამად შეგვიძლია ასეთ გამოთქმას იდიომი ვუწოდოთ.

**ფრაზეოლოგიური შენაერთის** მნიშვნელობა არ უდრის თვითონ ფრაზეოლოგიზმის შემადგენელი კომპონენტის მნიშვნელობის ჯამს, მაგრამ ეს მნიშვნელობა მოტივირებულია (განსხვავებით ფრაზეოლოგიური შენაზარდისაგან) მოცემული კომპონენტებით. ფრაზეოლოგიური შენაერთის დროს, თითქოს და არ ხდება აზრობრივი კავშირის გაწყვეტა მის შემადგენელ კომპონენტებთან. ჩვეულებრივ, ასეთი ტიპის ფრაზეოლოგიზმები გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობის მქონე ტროპებად გვევლინება. მაშასადამე, მათ ფრაზეოლოგიურ შენაზარდთან შედარებით კომპოზიტურობის მაღალი ხარისხი ახასიათებთ. ისინი თავიანთი გრამატიკული სტრუქტურით წარმოადგენენ სიტყვათა პრედიკატიულ შესიტყვებებს და წინადადებებს. კომუნიკაციური დანიშნულების მიხედვით:

1. საყოველთაო (საზოგადო) გამოყენების ანდაზები:  
„წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“,  
„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“...
2. შემდეგი ტიპის ანდაზები: „აი, სად მარხია ძაღლის თავი“.

### 3. მყარი შორისდებულები და მოდალური გამოთქმები...

ფრაზეოლოგიური შენაერთების, ანუ გამოთქმების, პირველი და მეორე ჯგუფების შემადგენლობა შეიძლება შევსებულ იქნეს ერთეულებით, რომლებიც უკავშირდებიან ანტიკურ ლიტერატურას. მაგალითად: აქილევსის ქუსლი, არიადნეს ძაფი, . . .

ასეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს ტრადიციულად უწოდებენ „ფრთიან გამონათქვამებს" და ყველა კლასიფიკაციაში გამოყოფენ ცალკე ჯგუფად. მაგრამ ფრაზეოლოგიური სისტემისა და ამ სისტემაში ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ფუნქციონირების სინქრონული აღწერისათვის ამ ფრაზეოლოგიზმების განხილვა ცალკე ჯგუფად არ არის მართებული, რადგანაც სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით ისინი არ განსხვავდებიან სხვა ფრაზეოლოგიური გამოთქმებისაგან.

ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ყველა ზემოთ მოყვანილი ჯგუფი ავლენს ფრაზეოლოგიურობის ორ ძირითადი თვისებას: მათ კომპონენტებს შორის მხოლოდ ერთადერთი კავშირის, შეთანხმების არსებობა; სემანტიკური გარდაქმნის, ხელახალი გააზრების სპეციფიკური ნაირსახეობა. ასე, მაგალითად, ანდაზებისთვის დამახასიათებელია დიდაქტიკური აზრი, რომელიც ვლინდება შესაბამისი სახის ახალახალი გააზრებით.

ფრაზეოლოგიური შენაერთის ერთერთი კომპონენტის ჩანაცვლება თუნდაც სინონიმური ერთეულით იწვევს მისი მეტაფორული მნიშვნელობის დაკარგვას. ფრაზეოლოგიური შენაზარდის მსგავსად ფრაზეოლოგიური შენაერთი ლექსიკურად განუყოფელია, მისი შემადგენელი გრამატიკული ფორმები და სინტაქსური წყობა მკაცრადაა განსაზღვრული. განსხვავებით ფრაზეოლოგიური შენაზარდისაგან იგი მოტივირებულია თანამედროვე ენობრივი რეალიებით და უშვებს მის კომპონენტებს შორის გარკვეული სიტყვების ჩართვას, მაგალითად

*ეს ჩემს/ მის/ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.*

**ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას** ჩვენ ვუწოდებთ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც წარმოიქმნება ერთი სემანტიკურად სახეცვლილი კომპონენტის ცალკეული კავშირის (ბმის) შედეგად. სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვება წარმოადგენს მყარ შესიტყვებას, რომლის მნიშვნელობაც, განსხვავებით ზემოგანხილული ფრაზეოლოგიური

ჯგუფებისაგან, გამომდინარეობს მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათაგან, ანუ კომპოზიტიურია.

ფრაზეოლოგიური შესიტყვებები შეიძლება იყოს ტერმინოლოგიური, აგრეთვე არატერმინოლოგიური ხასიათისა. მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკისთვის დამახასიათებელია ანალიტიკურობა და კომპონენტთა სემანტიკური დამოუკიდებლობის (ცალკეობის) შენარჩუნება. განსხვავებით ფრაზეოლოგიური შენაზარდებისა და შენაერთებისაგან, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ერთერთი ელემენტის სინონიმური ერთეულებით ჩანაცვლებას (რა თქმა უნდა, შეზღუდული რაოდენობით). ამ დროს ფრაზეოლოგიური შესიტყვების ერთი ელემენტი უცვლელია, მყარია, ხოლო მეორე ცვლადად გვევლინება. მაგალითად:

*Burn with anger/ desire/ indignation*

ასეთი ფრაზეოლოგიზმები მრავალრიცხოვანი არ არის, რადგანაც ნებისმიერი ენისთვის არ არის დამახასიათებელი და ტიპურია გადატანითი მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთი კომპონენტის ცალკეული, ერთეული შეთანხმება. როგორც წესი, სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა ქმნის სერიულ შეთანხმებას ამა თუ იმ სემანტიკური ჯგუფის სიტყვებთან.

აქედან გამომდინარე ზემოთმოყვანილი ფრაზეოლოგიური ტიპები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები, რომელთა გაგება ყველა ენაში, გარდა ცალკეული სიტყვებისა, ლინგვისტური ერთეულების სახით გამოიყენება. მათ უბრალოდ ფრაზეოლოგიზმები ეწოდება. მაგალითად, **სულით ღარიბი.**

ამასთან, ენათმეცნიერთა ნაწილის აზრით, ზემოგანხილული სამი ჯგუფიდან მხოლოდ ფრაზეოლოგიური შენაზარდები მიიჩნევა სუფთა სახით იდიომებად. ფრაზეოლოგიური შენაერთები კი ამგვარად ვერ ჩაითვლება, რადგან ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა, მართალია არ უდრის ფრაზეოლოგიზმში შემავალი სიტყვების ჯამს, მაგრამ ისინი მაინც მოტივირებული ფრაზეოლოგიზმებია, რადგანაც აზრობრივი კავშირი მის შემადგენელ კომპონენტებთან ერთგვარად შენარჩუნებულია.

რაც შეეხება ტერმინოლოგიას, თუ რა ტერმინით შეიძლება განვსაზღვროთ მთელი რიგი გამოთქმები, რომელთაც არ გააჩნიათ ერთეული შეთანხმებადობა, აფერხებს ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. თუმცა მათ ზოგადად შეგვიძლია ვუწოდოთ ფრაზეოლოგიზმები. აუცილებელია განვასხვავოთ

ფრაზეოლოგიზმები ერთის მხრივ, სიტყვათა თავისუფალი შეთანხმებისაგან, და მეორეს მხრივ, განცალკავებული სიტყვებისაგან.

ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია, პირველ რიგში ენაში ფუნქციონირებს ისევე როგორც ცალკეული სიტყვები, მეორე მხრივ, კი თავისი სტრუქტურით იგი გვევლინება როგორც რთული მთლიანობა, რომლის შემადგენელი კომპონენტები განიხილება, როგორც დამოუკიდებელი სიტყვები.

თუ გავითვალისწინებთ ფრაზეოლოგიური კონსტრუქციის, როგორც ლინგვისტური ერთეულის დიფერენციალურ მახასიათებლებს, იგი შეიძლება ასე განვსაზღვროთ: ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია - ეს არის რთული ხასიათის მქონე ორი ან მეტი კომპონენტისაგან შემდგარი კვლავწარმოებადი ერთეული ენისა, რომელსაც აქვს ერთიანი, მთლიანი მნიშვნელობა და თავისი შემადგენლობით და სტრუქტურით არის მდგრადი. ფრაზეოლოგიური კონსტრუქციის ძირითად თვისებას, რომელიც მას ძირეულად განასხვავებს სიტყვათა თავისუფალი შეთანხმებისგან და ამასთანავე აახლოებს მას სიტყვებთან, წარმოადგენს კვლავწარმოება. ფრაზეოლოგიზმები არ წარმოიქმნება ურთიერთობის პროცესში. ისინი აღიქმება, როგორც გამზადებული მთლიანი ერთეულები, რომლებიც მესხიერებიდან გამოდის გამზადებული მთლიანი ნიმუშების სახით, ზუსტად ისე, როგორც დამოუკიდებელი სიტყვები.

ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა **შეცდომაში შეყვანა, ზღვაში წვეთი**, არ წარმოიქმნება მისი შესატყვისი სიტყვებისაგან, ანუ არ უდრის მასში შემავალი სიტყვების ჯამს. ისინი გონებაში წარმოიშობა მთლიანი ერთეულის სახით როგორც სინონიმები სიტყვებისა - მოტყუება, ცოტა და ა.შ.

ფრაზეოლოგიზმების მთავარი ნიშან-თვისებებია შემადგენლობის მდგრადობა, მისი სტრუქტურა და მნიშვნელობის მთლიანობა.

აზრობრივი თვალსაზრისით ფრაზეოლოგიზმები გამოდიან, როგორც ერთიანი, მთლიანი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი სემანტიკა ასახავს მისი წარმომქმნელი სიტყვების მნიშვნელობას.

ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები შედგებიან ისეთი კომპონენტებისაგან, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც მთლიანის ნაწილები და განლაგებული არიან ერთმანეთისგან მკაცრად განსაზღვრული წესით. შემადგენლობის მდგრადობა და ფრაზეოლოგიზმების შემადგენელი კომპონენტების ადგილმდებარეობა ატარებს ისეთსავე ხასიათს, როგორც

შეიძლება აღინიშნოს სიტყვის მორფემული შემადგენლობის დახასიათებისას. კომპონენტების რიგის ნებისმიერი ცვლილება მოლაპარაკის მიერ აღიქმება, როგორც ახლის წარმოქმნა, რომელიც ჯდება ენის სისტემის საზღვრებში. თუ გავითვალისწინებთ ორმაგი ხასიათის ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებს, როგორიცაა მაგალითად: **მთელი სულით - მთელი გულით, თავიდან ფეხებამდე - თავიდან ქუსლამდე**. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცალკეულ შემთხვევებში ფრაზეოლოგიზმების შემადგენელ კომპონენტებს შეუძლიათ შეიცვალონ, თუმცა ეს მთლად ასე არ არის. სინამდვილეში ასეთი ტიპის კონსტრუქციები არიან დამოუკიდებლები ერთმანეთთან მიმართებაში და ამასთან, ცალკე წარმოიქმნება ერთეულები სინონიმური სიტყვების მსგავსად.

ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებს, რომელთა შემადგენლობაში შედის ზმნა, აქვთ უნარი ორგვარად განაღვინონ კომპონენტები თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათში კომპონენტების განლაგება არის არამდგრადი: და ასეთ ფრაზეოლოგიზმებში მისი წარმოქმნილი სიტყვების ადგილმდებარეობა არის მუდმივი და ფიქსირებული, მაგრამ არა ერთგვაროვნად. იგი ქმნის ორ ერთნაირ შესაძლო ვარიანტულ ფორმას.

ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების უმეტესობას გააჩნია წმინდა სიტყვისათვის დამახასიათებელი თვისება მათში, როგორიცაა შეუვალობა, შეუძლებელია რაიმეს ჩამატება. მაგალითად: - **თვალის ჩინი, გულის დარდი, გულის მურაზი** და ა.შ.

ძირითადი განსხვავება ფრაზეოლოგიზმებისა თავისუფალი სიტყვათა კავშირისაგან საკმაოდ ნათელია. „ლაკმუსის ფურცლების“ მსგავსად აქ შეიძლება გამოყენებული იქნეს ორი ფაქტი: სტრუქტურული თავისებურებანი და გრამატიკული გაფორმების ხასიათი.

პრინციპში „კლასიკური“ სიტყვები ითვლება წარმოქმნილებად, რომელიც შედგება ისეთი ნაწილებისაგან, რომლებსაც დამოუკიდებლად სიტყვის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. ისინი იყოფა მორფემებად (თუ რა თქმა უნდა არ წარმოადგენენ ძირეულ სიტყვებს, რომლებსაც არ აქვთ ახალი სიტყვის წარმოქმნის უნარი). ეს მორფემები რეალურად მხოლოდ სიტყვებში არსებობენ. რაც შეეხება ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების უმეტესობას, ისინი შედგებიან არა მორფემებისაგან, არამედ მთლიანი სიტყვებისაგან მათი ფორმებისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებებით. მაგალითად:

to hold one's tongue



## ენას კბილი დააჭირე

ისინი ენაში ფუნქციონირებენ როგორც განცალკევებულად გაფორმებული წარმონაქმნები.

რამდენადაც სიტყვები, რომლებიც ქმნიან ფრაზეოლოგიზმებს, სემანტიკურად და მორფოლოგიურად დამოუკიდებლები არიან, ამდენად ფრაზეოლოგიზმების გამოყოფა ცალკეული სიტყვებისაგან უმეტეს შემთხვევაში სიძნელეს არ წარმოადგენს. სირთულე თავს იჩენს მაშინ, როცა განხილვის საგანია ფრაზეოლოგიური შენაერთი. ასეთი კონსტრუქციები თავის მხრივ ქმნის სიტყვის არამოტივირებულ ეკვივალენტს, რომელთა შემადგენელი კომპონენტები სემანტიკურად აბსოლუტურად განცალკევებული არიან.

ფრაზეოლოგიურ შენაერთში არ არის ისეთი სიტყვები, რომელთაც შეიძლება მივანიჭოთ დამოუკიდებელი სემანტიკა. ფრაზეოლოგიური შენაერთები ქმნიან ლინგვისტური ერთეულის შუალედურ ჯგუფს. სიტყვებისაგან ფრაზეოლოგიური შენაერთები განსხვავდება მხოლოდ გარეგანი ფონეტიკური გაფორმებით.

ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია წინადადებაში ყოველთვის გვევლინება მისი ამა თუ იმ წევრის სახით. სწორედ ამ ფუნქციით ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმის გამოყენების უპირატესობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ურთიერთობაშია იგი განსაზღვრულ მეტყველების ნაწილთან. კერძოდ, მის ლექსიკო-გრამატიკულ მნიშვნელობასთან. თავიანთი ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობით გვევლინებიან ზმნიზედის ანალოგიებად და აქედან გამომდინარე, წინადადებაში წარმოდგენილი არიან გარემოებებად; ფრაზეოლოგიზმი იწარმოება ზმნასთან მიმართებაში და ამიტომაც წინადადებაში გვევლინება შემასმენლის სახით.

ფრაზეოლოგიური კონსტრუქციის ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა მიმართებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკულად მთავარი სიტყვის ხასიათს. თუმცა მთავარი/ძირითადი სიტყვის ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა ყოველთვის არ ემთხვევა ფრაზეოლოგიზმის ლექსიკურ-გრამატიკულ მნიშვნელობას.

განხილული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ფრაზეოლოგიური ერთულების იდენტიფიკაციისთვის კრიტერიუმების კომპლექსის გამოყენება იძლევა ფრაზეოლოგიზმების გამოყოფის საშუალებას უფრო ობიექტური ენობრივი, და არა მარტო ფუნქციონალურ-სტილისტიკური მახვენებლების ბაზაზე.

2. ფრაზეოლოგიურობის კრიტერიუმებს უფრო თანმიმდევრულად ავლენენ ისეთი ფრაზეოლოგიური მთლიანობები, რომელთაც წარმოადგენენ ქვეწყობილი კავშირის მქონე სტრუქტურულ-სინტაქსური შესიტყვებების ტიპები.

3. ფრაზეოლოგიური გამოთქმები პასუხობენ ფრაზეოლოგიურობის კრიტერიუმებს კომპონენტური შემადგენლობის ცალკეული, ერთეული შეთანხმების მხრივ.

ფრაზეოლოგიის შიგნით კლასიფიკაციაში დიდი როლი უჭირავს იდიომს, რომელიც, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ერთეული, თავისი თვისებებით ფრაზეოლოგიზმების მწვერვალს წარმოადგენს. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო საკითხია. მეცნიერთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „ფრაზეოლოგიზმი“ ვიდრე „იდიომი“ ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ის სრულყოფილად ვერ გამოხატავს ცნებას, ხოლო ფრაზეოლოგიზმები ფართო ცნებაა და ის აერთიანებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებს. იდიომი უფრო და უფრო იჭერს ადგილს ენის ფრაზეოლოგიაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი უმეტესწილად გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეულების განსაზღვრულ ტიპთან მიმართებაში, რასაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით.

ენა არ წარმოადგენს ცალკეული ადამიანის თვითნებურ ქმნილებას, არამედ ის ხალხს ეკუთვნის, თუმცა, ენა გამოხატავს ცალკეული ადამიანის მსოფლმხედველობას. ამ აზრს ავითარებს ვ. ჰუმბოლდტი. იგი ხაზს უსვამს იმ დებულებას, რომ ენა ერთდროულად ეკუთვნის ცალკეულ ადამიანსაც და მთელ საზოგადოებასაც. ჰუმბოლდტი ამბობს, რომ ენა ჭეშმარიტ არსებობას იღებს მხოლოდ ადამიანთა მიერ ურთიერთშორის ხმარების დროს. ყოველი ენა გადაიშლება მთლიანად თავისი თავისებურებებით, თავისი განსაკუთრებულობით მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში (ჰუმბოლდტი). მნიშვნელოვანია ის, რომ იმ დროს, როდესაც მეცნიერები გატაცებული იყვნენ მკვდარი კლასიკური ენის შესწავლით, შემეცნებით, უკვე წინა პლანზე წამოიწია ცოცხალი ენის, ხალხური სიტყვათხმარების შესწავლის აუცილებლობამ.

ენა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთხელ და სამუდამოდ გამზადებულ მასალად, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს. თავისი არსის მიხედვით, ენა არის რაღაც მუდმივი, ამასთან ერთად ყოველ მოცემულ მომენტში გარდამავალი. ენა არის მოღვაწეობა, მოქმედება, ამიტომ მისი განსაზღვრა შეიძლება იყოს მხოლოდ გენეტიკური. „მშობლიური ენა მჭიდროდ და მრავალმხრივ არის დაკავშირებული საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან. ეს დებულება სამართლიანია ყველა ხალხისა და ყველა ენის მიმართ“.(გამყრელიძე 2003; 461)

უცხო ენის შესწავლის დროს ხშირად გაოცებას იწვევს ის განსხვავებები, რომლებიც ახასიათებს ახალ ენას მშობლიურ ენასთან შედარებით. ამის მიზეზია განსხვავებები სხვადასხვა ენობრივი საზოგადოების გამოცდილებაში, რაც მრავალგვარი ენობრივი საშუალებებით შეიძლება იყოს გამოხატული.

ინგლისური ენა წარმოადგენს ბიზნესის პოლიტიკის და კულტურის საერთაშორისო ენას. ის უკვე გახდა საკომუნიკაციო ენა სხვადასხვა ქვეყნისა თუ ეროვნების ხალხებისათვის. როდესაც უცხო ენაზე ვსაუბრობთ, ხანდახან ხდება, რომ მსმენელი ვერ გაიგებს და ხშირად სვამს შეკითხვას „რა?“, „კიდევ ხომ ვერ გაიმეორებ?“, ან უფრო უარესიც, მსმენელი იბნევა და საერთოდ წყვეტს საუბარს. თითოეულ ამ შემთხვევას შეიძლება ვუწოდოთ ინტერვალი კომუნიკაციაში. ეს ინტერვალი შეიძლება იყოს „პატარა ან დიდი“. ეს შემთხვევა შეიძლება შევადაროთ ელექტრონულ წრედში ელექტროენერჯის ნაკადის მოძრაობას. თუ კი ნაკადი წრედის ნებისმიერ ადგილას შეჩერდა, ჩერდება მთელი სისტემა. ე.ი. როდესაც რაღაც აფერხებს იდეების, აზრების ნაკადს, საუბარიც წყდება. ზოგი ინტერვალი კომუნიკაციაში გამოწვეულია ლექსიკური ან გრამატიკული, ზოგიც კი იდიომატური გამონათქვამებისა და შვებულებების გამო.

ამგვარად, სავსებით აუცილებელია, რომ ნებისმიერი უცხო ენის შესწავლისას ამოსავალ წერტილად მივიჩნიოთ ჩვენთვის შესასწავლ ენაზე მოსაუბრე ხალხთა კულტურა, რომელიც ადამიანთა ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროა, რომლის აშკარად გამოხატულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს ენა შეადგენს.

თ. გამყრელიძე საფუძვლიანად განმარტავს იდიომს და აღნიშნავს, რომ: „იდიომა ანუ იდიომატური გამოთქმები ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს, მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა, აზრობრივად

გარდაქმნილია. მათთვის დამახასიათებელია ერთიანი (ბმული) მნიშვნელობა, ლექსემის მსგავსი სინთეზური ფუნქცია” (გამყრელიძე 2003; 376)

ტერმინი „იდიომი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან idioma რაც „თავისებურებას“ ნიშნავს. ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ტიპი – იდიომები, ხოლო სომატური იდიომების არსებობა ენაში ამ დებულების ერთ-ერთი დამადასტურებელია, თუმცა სომატური იდიომების საკითხს ჩვენ დეტალურად შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ.

ცოცხალი ენა მეტად მდიდარი, მოქნილი, ფერადი და ხმოვანია. მრავალი სიტყვა და გამოთქმა კვდება, იბინდება, ისვენებს და შემდეგ ხელახლა ბრუნდება. თითოეულ იდიომში კარგად ჩანს ამა თუ იმ ერის განსაკუთრებული ლექსიკა, ფრაზეოლოგია, გამოსახვის მხატვრული ხერხები. იდიომატიკა ლექსიკის ორგანული და ამავე დროს თავისებური ნაწილია.

იდიომები წარმოადგენენ ენის ლექსიკის მარაგის ყველაზე უფრო თვალწარმტაც, ფერადოვან და ხატოვან ნაწილს, მათ სხვადასხვა ლექსიკური დატვირთვა აქვთ ამა თუ იმ ტიპის კომუნიკაციაში, ამიტომ მათი სწორი გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ენის ფილოსოფია გულისხმობს, რომ ნებისმიერი ინდივიდის მიზანია, გააგებინოს მეორე მხარეს და გაიგოს ნათქვამი, ენის გამოყენებისას ადგილი აქვს შემდეგ სამ მოვლენას.

-ვამბობთ რაიმეს;

-ვანიშნებთ, თუ როგორ უნდა მიიღოს მსმენელმა ჩვენი ნათქვამი

-შედეგად, მსმენელზე ვახდენთ კონკრეტულ გავლენას

ჩვეულებრივ, საუბრისას ჩვენ სამივე ამ მოთხოვნას ვასრულებთ ან ვცდილობთ შევასრულოთ, რადგანაც ნებისმიერი შემთხვევა, როცა მთქმელის განზრახვა მსმენელისთვის გაუგებარი რჩება, კომუნიკაციის მარცხად ითვლება. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას უშლის ხელს ენაში არსებული კლიშეები, მეტაფორები, იდიომატური გამოთქმები და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ცალკეულ ენაში თავისებურად არიან წარმოდგენილნი და შეიძლება ითქვას, რომ თავის წყაროს ხალხური მეტყველების ყველაზე უფრო მიუწვდომელი სიღრმიდან იღებს.

მეტყველების იდიომატურობა სასაუბრო სტილის მუდმივი და უმთავრესად მნიშვნელოვანი თავისებურებაა. არსებობს სხვადასხვა გზები და საშუალებები იმისათვის, რომ ჩვენი მეტყველება უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ნებისმიერი

ენა იძლევა უამრავ საშუალებას, რათა ჩვენს აზრებსა და შეგრძნებებს სრულიად ემოციური გამომსახველობა მიენიჭოს.

ყოველდღიური მეტყველების ჩვეულებრივ და სპონტანურ დიალოგებში მოსაუბრენი არა მარტო ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აზრებსა და იდეებს, ან ერთმანეთში ცვლიან სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ ისინი ჩვეულებრივ ენის საშუალებებით გადმოცემენ თავიანთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც გამოსახავენ ადამიანთა იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

ენა, როგორც მთლიანი, წარმოგვიდგება სიტყვათა სიუხვეში. სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას კი წარმოადგენს ის განმარტება, რომელიც ენობრივ კოდშია დაფიქსირებული, როგორც აბსტრაქტული ცნების იოლად შესაგრძნობი ნიშანი, რომელიც თავის მხრივ, ასოცირდება გარკვეულ საგანთან ან ფენომენტთან. ურთიერთქმედება სიტყვის მსგავს, პირდაპირ მნიშვნელობასა და მის კონტექსტუალურ, მიკრო-კონტექსტის მიერ ნაკარნახევ ინტერპრეტაციას შორის სხვადასხვა დონეზე შეიძლება განხორციელდეს. ლ. ვიგოსტის მიხედვით სიტყვა არის აზრის გარეგანი ფორმა, აზრი კი არ გამოიხატება სიტყვაში, არამედ ხოცრიელდება მასში. ლ. ვიგოსტმა პირველად განსაზღვრა შინაგანი მეტყველების ადგილი გამონათქვამის ჩამოყალიბების დროს. გამონათქვამის რთული პროცესის სათავე ზოგადი ჩანაფიქრია: იგი გაივლის შინაგანი მეტყველების სტადიას და განხორციელდება მეტყველებაში, გამონათქვამში.

ბუნებრივი ენა წარმოადგენს ისეთ ფენომენს, რომელიც თავისი ორი სახით არსებობს: ენა, როგორც საშუალებებისა და მათი შეკავშირების წესების სისტემა, და ენა, როგორც რეალური მანიფესტაცია, რეალიზაცია ცოცხალ მეტყველებაში. ენის მეორე მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მისი ობიექტურ – სუბიექტური ბუნება; ენა საზოგადოებაში იქმნება და საზოგადოებაში ფუნქციონირებს; ენა ობიექტურია, როგორც გარკვეული ენობრივი ერთობის პროდუქტი. ამავდროულად, იგი სუბიექტურია, ინდივიდუალურია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანის ენა დახასიათებულია, როგორც ბუნებრივი ენა, რომლის მეშვეობითაც ხასიათდება ადამიანის აქტივობა. ბუნებრივი ენა ადამიანს საშუალებას აძლევს გადმოსცეს თავისი აზრები და იდეები და აგრეთვე მიიღოს სხვადასხვაგვარი ინფორმაცია. ის ეხმარება ადამიანს, უფრო ნათლად გამოხატოს თავისი განწყობა და დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის ან საგნის მიმართ, ვიდრე სხვა საკომუნიკაციო

არაენობრივი საშუალებები; როგორცაა: უესტი, მიმიკა, რომელთა გამოყენებით შეიძლება ითქვას, მწირ ინფორმაციას ვღებულობთ, ხოლო დუალობა, რომელიც ბუნებრივი ენის სფერციფიკური მახასიათებელია, საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ უამრავი სხვადასხვა სახის გამოთქმა, რომლის წყობა მის შემადგენლობაში შემავალი ერთეულების სხვადასხვაგვარ ერთიერთგანლაგებაზეა დამოკიდებული.

ნებისმიერი ენის შემსწავლელთათვის ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს ფრაზეოლოგიური შენაერთებისა და იდიომატური გამოთქმების შესწავლა. დასავლელი ენათმეცნიერები საყურადღებო კონცეფციას გეთავაზობენ ცალკეულ კომპონენტთა იდიომატურობის ხარისხის შესახებ. იმის მიხედვით, თუ რამდენი კომპონენტი განიცდის იდიომატიზაციას, ხოლო რამდენი ინარჩუნებს დენოტატურ-სიტყვიერ მნიშვნელობას. ისინი ასახელებენ (ცალკეულ) ცალმხრე, ორმხრივ და მრავალმხრივ იდიომებს. ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიზაცია, როგორც მოვლენა, აზროვნების, შემეცნების რთულ პროცესებს უკავშირდება, ამიტომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იდიომატურობის მატარებელი კომპონენტების დადგენა და მისი დენოტატურობის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია. ცალმხრივ იდიომაში ერთი კომპონენტია იდიომატიზირებული; ორმხრივში - ორი და ა.შ. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იდიომატური ელემენტების გამოყენების ახლებური კლასიფიკაციის თეორიულ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი შეიძლება მიუუსადაგოთ მეტყველების ნაწილებს. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ ფრაზეოლოგიური ერთეულების ჯგუფებზე მეტყველების ნაწილებთან მიმართებაში:

1) ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულები

ინგლისურ ენაში: *to open one's heart*

*to move smb's heart*

*to stir smb's heart*

*to have one's heart set on smth*

*to put one's foot in it*

*to keep one's fingers crossed*

*to give someone a hand*

ქართულ ენაში: *მხედველობიდან დაკარგვა*

*ცხვირის ჩაყოფა*  
*ცხვირის ჩამოშვება*  
*სულით დაცემა*  
*თვალებით ჭამს*  
*თავში უქრის და მრავალი სხვა*

2) სუბსტანტური ფრაზეოლოგიური ერთეულები:

ინგლისურ ენაში: *the apple of one's eye*

*heart failure*

*the brain drain*

*elbow room*

ქართულ ენაში: *თვალის ჩინი*

*გულის ვარდი*

*გულის ხმა*

*ჭკუის კოლოფი*

*პირის გემო*

3) ზმნიზედური ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც მაგალითად;

ინგლისურ ენაში: *head over heels*

*behind the ears*

*back of his hand*

*head and shoulders above the others*

*out at elbows*

*all in my eyes*

*head over ears*

ქართულ ენაში: *თავზე თოვლი*

*თვალწინ*

*ცხვირწინ*

*ზურგს უკან*

*ფეხქვეშ და სხვა.*

4) არსებით სახელთა წყვილების ფრაზეოლოგიური ერთეულები:  
მაგალითად:

ინგლისურ ენაში: *tooth and nail*

*neck and crop*

*flesh and blood*

*life and soul*

ქართულ ენაში: *სისხლი და ხორცი*

*ძვალი და ტყავი*

*სული და გული და სხვა*

5) ზედსართული ფრაზეოლოგიური ერთეულები:

ინგლისურ ენაში: *doubled-faced*

*crocodile tears*

*the green-eyed monster*

*a left handed compliment*

*mealy-mouthed*

*led by the nose*

ქართულ ენაში: *მხარგრძელი*

*თვალწარმტაცი*

*გულმართალი და სხვა*

6) წინდებულიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

ინგლისურ ენაში: *with half an eye*

*down in the nouth*

*from hand to mouth*

*in the teeth of*

*under the thumb of*

*on the face of it*

*up in arms*

რადგანაც ქართულ ენას არ გააჩნია წინდებული, მის ფუნქციას ხან ზმნიზედა, ხან თანდებული ასრულებს.

სემანტიკური ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, არ გულისხმობს ცალკეულ კონსტიტუენტთა უბრალოდ



მნიშვნელობის ცვლილებას. მაგ.: „to have egg on a face“ ნიშნავს „გამოიყურებოდა სულელურად“, „აღმოჩნდა არასახარბიელო მდგომარეობაში“, როცა ამ სომატურ იდიომს ვიყენებთ, სულაც არ ვფიქრობთ ადამიანზე, რომელსაც შეიძლება კვერცხი ჰქონდეს სახეზე.

სწორედ ეს იგულისხმებოდა, როცა ავლნიშნეთ, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები ხასიათდება სემანტიკური ერთობლიობით, ტრადიციული მიდგომით, ფრაზეოლოგიური ერთეულები განმარტებულია როგორც სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ატარებს ერთ მნიშვნელობას, მაშინ როცა თავისუფალ შესიტყვებაში თითოეული მნიშვნელობის მქონე კონსტიტუენტი ატარებს დამოუკიდებელ შინაარსს.

ეს არის თვისება, რაც ამსგავსებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს სიტყვებთან: სიტყვებიც და ფრაზეოლოგიური ერთეულებიც ფლობენ სემანტიკურ ერთობლიობას, თუმცა სიტყვები, აგრეთვე, სტრუქტურული ერთობლიობითაც ხასიათდებიან.

მეცნიერთა უმრავლესობა სემანტიკურ კრიტერიუმს მიიჩნევს ძირითად ფაქტორად რაც ფრაზეოლოგიურ ერთეულებს განასხვავებს თავისუფალ სიტყვათა შენაერთებისაგან; მეცნიერთა ეს ნაწილი აღიარებს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა იმ განმარტებას, რომელსაც პროფესორი ა.ვ. კუნინი გვთავაზობს. იგი განმარტავს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული ეს არის მყარი სიტყვათა ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს მნიშვნელობის ნაწილობრივი და მთლიანი გადატანა, ანუ შეცვლა. (Кунин)

როგორც განმარტებიდან ჩანს, ფრაზეოლოგიურ ერთეულში სემანტიკური ცვლილება შეიძლება იყოს მთლიანი ან ნაწილობრივი, ფაქტიურად, სემანტიკური ცვლილება შეიძლება შეეხოს მთელ წინადადებას ან მის რომელიმე კომპონენტს მაგალითად:

*to wear one's heart on one's sleeve*

*ვინმეს ინტიმური ამბების გამოქვლავნება*

*to have one's heart on one's boot*

*ღრმა დეპრესიაში ყოფნა და ა.შ.*

იდიომატური გამოთქმების შეფასებისას და დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა გამოთქმის გარეგნულ ფორმას ენიჭება და არა მის შინაარსს. თავდაპირველად მათი უმრავლესობა თავისუფალი შესიტყვებების სახით არსებობდა, რომლებმაც ნელ-ნელა დაკარგეს პირვანდელი მნიშვნელობა და

მოხდა არსებული თავისუფალი შესიტყვების ახლებური გააზრება. ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ქართული ენის იდიომები. მაგალითად:

თავზე ნაცრის დაყრა

თავზე ცეცხლის დანთება

ამ იდიომების პირდაპირი მნიშვნელობა იყო „ძველი ჩვეულება - გლოვის ნიშნად ნაცარში გორაობა და თავზე ნაცრის დაყრა. საფუძველი; სიმბოლური დაწვა - ქმრის გარდაცვალებისას მის ცოლს ცეცხლში სწვავდნენ. ამ წერის გადავარდნის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა სიმბოლურმა თვითდაწვამ. აღამიანს სწვავდნენ დანაშაულის დროსაც. შემდეგ ეს წესიც ნაცრის დაყრით შეიცვალა. ხოლო ხატოვნების მნიშვნელობით ეს არის გლოვა, მწუხარება... თავის შერცხვენა, თავის დამცირება..." (ჯორბენაძე 1997; 91).

თავზე შემოვლება - ეს იდიომის პირდაპირი მნიშვნელობით ასე გამოიხატებოდა. „ძველად მძიმე ავადმყოფის საწოლის ირგვლივ შეაოტარებდნენ ხატისათვის აღთქმულ ცხოველს, რომელსაც უნდა ეტვირთა ავადმყოფის სენი და ცოდვა. ეს იყო „განყვანების (განტევების) ვაცი“. ხოლო ხატოვნად ეს არის ხეწნა, პატრონობა, ზრუნვა... ვისიმე ნაცვლად თავის გაწირვა (ჯორბენაძე 1997; 91).

იდიომის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მას რაც უფრო მეტად აქვს დაკარგული კავშირი თავისუფალ შესიტყვებასთან, რაც უფრო მეტად ბუნდოვანია, ანუ არამოტივირებულია, მით უფრო მაღალია იდიომის ხარისხი. იდიომის მთავარი თვისება, მისი ორიგინალურობა და არასტანდარტულობაა. მისი მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მის კომპონენტებს დაკარგული უნდა ჰქონდეთ ძირითადი მნიშვნელობა. მათ არ უნდა ჰქონდეთ შენარჩუნებული თავიანთი ინდივიდუალური და თავისუფალი მნიშვნელობა. რაც უფრო მეტი კომპონენტი იქნება ასეთი იდიომში, მით უფრო მეტია მთლიანი სემანტიკის იდიომატურობა.

სიტყვათა სემანტიკური სტრუქტურა მოიცავს მათი მოტივაციის პრობლემას, ანუ ურთიერთმიმართებას სიტყვის გარეგნულ ასპექტს – ფორმასა და მის მნიშვნელობას შორის.

სემანტიკური მოტივაცია ეფუძნება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობების თანაარსებობას. ის მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხატოვანი ენის გამომხატველობით ძალას.

ძალზედ მნიშვნელოვანია აგრეთვე თუ რომელი კონსტიტუენტის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს უშუალოდ იდიომატური მნიშვნელობა და რომელ კონსტიტუენტს შეაქვს წვლილი თავისი გადატანითი მნიშვნელობით.

ბევრ მკვლევართა შრომებში კონსტიტუენტთა სემანტიკური დატვირთვა განხილულია განსხვავებული კუთხით. კერძოდ, ინტეგრირებული მნიშვნელობის მოტივაციის ხარისხით, ანუ ხერხდება თუ არა იდიომატურ მნიშვნელობაში მისივე ხატის მოტივაცია; თუ ხერხდება მათ მოტივირებული ეწოდება და თუ არა – მოტივაცია დაკარგული. თანამედროვე ქართულ ენაში არსებულ სომატურ იდიომს „*ყურებზე ხახვი არ დამაჭრა*“ – მოტივაცია დაკარგული აქვს, ვინაიდან პირდაპირი მნიშვნელობით „ძველად დამონების ნიშნად დატყვევებულს ყურს აჭრიდნენ, ხოლო დეზინფექციის მიზნით ზედ დაჭრილ ხახვს აყრიდნენ (ყურს ნებითაც იჭრიდნენ...)“ ანუ ეს იდიომი ზუსტად აღწერად არსებულ მოვლენასა თუ ფაქტს, ხოლო დღეისათვის ამ იდიომს ხატოვნების ფუნქცია აკისრია რაც ნიშნავს „ვერაფერს დამაკლებ, ვერ დამიმორჩილებ, ვერ მომერვეი...“ (ბ. ჯორბენაძე, 1997). მაგრამ „*ფეხები დაუბაკუნა*“ ნიშნავს – დაემუქრა. ამ იდიომს თავისი ხატი ფრაზეოლოგიზაციის ამოსავალ თავისუფალ სინტაქსურ შენაერთთან მიმართებაში შენარჩუნებული აქვს. ასევე მოტივირებულია შემდეგი იდიომები ქართულ ენაში. „*ყური აუწია*“ – დასაჯა, „*თვალი ჩაუკრა*“ – ანიშნა. მართალია, ამ იდიომების მნიშვნელობა არ უდრის მათში შემავალი სიტყვების ჯამს, რადგანაც ყურის აწევით, მართლაც შეიძლება დასაჯო ვინმე და თვალის ჩაკვრით რაღაც ანიშნო ვინმეს. ასევე საკმაოდ მრავლად მოიძებნება მოტივირებული იდიომები თანამედროვე ინგლისურ ენაშიც. მაგალითად:

*point the finger at someone*

*დააბრალო, დაადანაშაულო ვინმე*

*Show one's hand*

*გამოააშკარაო ვინმეს განზრახვა*

*throw dust in a person's eyes*

*მოატყუო, გააცურო ვინმე*

ამ იდიომებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ხატი.

და მაინც „რა არის იდიომი? და როგორია მისი მიმართება სიტყვასთან და თავისუფალ შესიტყვებასთან. ჩვენ ზემოთ შემოგთავაზეთ იდიომის რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული დეფინიცია. ამ ცნების განმარტებები მოიპოვება ქართულ ლინგვისტიკაშიც. მაგალითად, ერთი თვალსაზრისით იდიომი არის ამა

თუ იმ ენის თავისებური დაუშლელი გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს (ონიანი ). ქართულ ენათმეცნიერებაში იდიომის ყველაზე მისაღები და სრულყოფილი განმარტება ა. თაყაიშვილმა დააფიქსირა, რომელიც ასე განიმარტება: „იდიომი არის შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს” ( თაყაიშვილი 1961; 40).

იგი არის შესიტყვების ფორმის მქონე თავისებური მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამი, რომლის სტრუქტურის შეცვლა შემადგენელი კომპონენტების შეცვლით თითქმის შეუძლებელია და მზა ფორმას წარმოადგენს. იდიომის გაგება სიტყვა-სიტყვით შეუძლებელია. იდიომი შეიცავს ორ კომპონენტს მაინც, ამდენად, ცალკე აღებული სიტყვა - მარტივი თუ კომპოზიტი, იდიომად არ მიიჩნევა. ეს იმას ნიშნავს, რომ აგებულების მიხედვით იდიომი მკვეთრად განსხვავდება სიტყვისაგან, მაგრამ ემთხვევა ჩვეულებრივ თავისუფალ შესიტყვებას, რამდენადაც იდიომის კომპონენტები მეტწილად ცოცხალი სიტყვებია, რომლებიც დაუბრკოლებლად იხმარებიან მეტყველებაში იდიომთა გარეშე. თავისუფალ შესიტყვებაში მათ აქვთ საკუთარი მნიშვნელობა. იდიომის კომპონენტებს შორის გრამატიკული შეკავშირებაც, ჩვეულებრივ, ემთხვევა თანამედროვე ენის ნორმებს. ამიტომაც იდიომის გვერდით შეიძლება არსებობდეს მისი ომონიმური თავისუფალი შესიტყვება, რომელიც აგებულების მიხედვით არაფრით განსხვავდება იდიომისაგან; მაგ: „თვალების გახელა" ან „თვალების დაბრმავება" შეიძლება ვიხმაროთ როგორც თავისუფალი შესიტყვება (როდესაც გვინდა აღვნიშნოთ თვალების გასვლის ან თვალების დაბრმავების რეალური ფაქტი), ან როგორც იდიომის მნიშვნელობით - რაიმეს გაგება, გამოფხიზლება ან პირიქით.

მაშასადამე, იდიომი თავისუფალი შესიტყვებისაგან აგებულების მიხედვით არ განსხვავდება.

ცნობილია, რომ თავისუფალ შესიტყვებაში (ან წინადადებაში) შემავალ სიტყვებს აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რომელთა ჯამი, გრამატიკულად შეკავშირებული, გვაძლევს შესიტყვებას (ან წინადადების) საერთო შინაარსს. მაგ: „ბიჭი ბურთს თამაშობს", „ბიჭი თამაშობს" ან „ბურთს თამაშობს". ამის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება (სომატურ) იდიომებში. იდიომის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი კომპონენტების ე.ი.


შემდგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამიდან. იდიომებში: „გულიდან ლოდის მოხსნა“ „თვალებიდან ცეცხლის ყრა“ - კომპონენტთა მნიშვნელობა შთანთქმული იდიომის საერთო შინაარსით, ცალკეულ სიტყვას დაკარგული აქვს სემანტიკური თავისთავადობა და განუყოფელი ლექსიკური ერთეულის როლში გვევლინება მთელი გამოთქმა: მაგ: იდიომში „სული კბილით უჭირავს“ კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი არაფერს გვეუბნება იმ მნიშვნელობის შესახებ, რაც ამ იდიომს აქვს: ძლივს ითმენს, ძლივს იკავებს თავს, ცუდ დღეშია. ასეთივე სემანტიკური თავისთავადობით გამოირჩევა ინგლისური ენის სომატური იდიომიც. მაგალითად:

*strengthen one's hand*

*ხელის გამართვა (დახმარება)*

ეს არის ერთი - ყველაზე არსებითი განსხვავება იდიომსა და თავისუფალ შესიტყვებას შორის. საყურადღებოა აგრეთვე მეორე განსხვავებაც: თავისუფალი შესიტყვების აგება სხვადასხვაგვარად ხდება მეტყველების დროს. იდიომები კი მზა ფორმით არსებობენ ენაში. ისინი მეტწილად ერთნაირად მეორდებიან მეტყველებაში, ე.ი. შემადგენელი, ანუ კომპონენტების მონაცვლეობა იდიომებში, ჩვეულებრივ, არ ხდება. მაშასადამე, თავისუფალი შესიტყვებისაგან განსხვავებით, იდიომების შედგენილობა ხასიათდება დაუშლელით ან მყარობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ მოძიებული ყველა იდიომის ზმნას ინგლისურ და ქართულ ენებში მოქმედების შეზღუდული სფერო აქვს და იგივე ზმნა თავისუფალ შესიტყვებაში ბევრად უფრო მეტ სახელთან გამოიყენება. მაგალითად: ზმნა – ჩავარდნა – ქართულ სომატურ იდიომებში გვხვდება შემდეგ სომატურ კომპონენტებთან: გულში, ხელებში, მუხლებში - „*გულში ჩაუვარდა*“ „*ხელებში ჩაუვარდა*“ „*მუხლებში ჩაუვარდა*“. თავისუფალ შესიტყვებაში კი ეს ზმნა გაცილებით უფრო მეტ სახელებთან იხმარება. მაგალითად:



ინგლისურ ენაში ამ სომატური იდიომების აბსოლუტური ეკვივალენტები სხვადასხვა ზმნით არიან გამოხატული, მაგალითად:

*Have the heart on smb*

გულში ჩაუვარდა


*Throw in one's hands*

ხელებში ჩაუვარდა

*Drop on one's knees*

მუხლებში ჩაუვარდა

და პირიქით, ავიღოთ ზმნა – to lose ინგლისურ ენაში, რომელიც შემდეგ სომატურ კომპონენტებთან გვხვდება: ყურები, ფეხები, ჭკუა, გული, ენა, ხოლო თავისუფალ შესიტყვებებში ეს ზმნაც უფრო მეტ სახელთან გამოიყენება, რადგანაც მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობაა – დაკარგვა. მაგალითად:



ამ ზმნის შემცველი ინგლისური სომატური იდიომების ქართული აბსოლუტური ეკვივალენტებიც სხვადასხვა ზმნით გამოიხატება. მაგალითად:

*lose heart*

ყურების ჩამოყრა

*lose one's legs*

ფეხების წართმევა

*lose one's mind on smb*

ჭკუა შეკეტება

*lose one's heart to smb*

გული მისდის ვინმეზე

*lose one's tongue*

ენის წართმევა

მაშასადამე, იდიომს აქვს საერთო ნიშნები როგორც სიტყვასთან, ისე თავისუფალ შესიტყვებასთან. ამავე დროს სიტყვისაგან ის განსხვავდება აგებულებით, მაგრამ უახლოვდება მნიშვნელობის მიხედვით. თავისუფალ შესიტყვებასთან აერთიანებს აგებულება, მაგრამ განასხვავებს მნიშვნელობა; ე.ი. იდიომი ფორმით შესიტყვება - შედგება ორი ან მეტი გრამატიკულად გაფორმებული ელემენტისაგან, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ეს შესიტყვება ერთ სიტყვას უტოლდება - სემანტიკურად ის სიტყვის ეკვივალენტია.

ინგლისური და ქართული ენების ზოგიერთი სომატურ იდიომებს გააჩნიათ როგორც გადატანითი ისევე პიდაპირი მნიშვნელობებიც, რაც ძალიან ამსგავსებს მათ თავისუფალ შესიტყვებებთან.

მაგალითად ინგლისურ ენაში:

*to stand behind smb's back*

*to go red in the face*

*to slip through one's fingers*

*to click one's heels*

*to stick in one's throat*

*to tread on one's toes*

*to draw smb's teeth*

ქართულ ენაში:

*გულზე ხელის დადება*

*გულის არევა*

*ტურზე კბენა*

*ფეხზე წამოდგომა*

*ფეხზე დაბიჯება*

*თავი მოიფხანა*

*ულვაში მოიპარსა*

ამრიგად, იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იდიომატური გამონათქვამების სწორ გამოყენებას.

ინგლისური გამონათქვამების ან იდიომების გამოყენება ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია იმისა, იყენებს მას მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე თუ არა მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე. სწორედ ამით შეიძლება გაიზომოს ენის ცოდნის დონე. თუ იგი შეიძლება იდიომში „to keep an eye on smth“. დაუმატოს ზედსართავი სახელი და თქვას „to keep a watchful eye on smth.“. ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ენის გრძნობა.

იდიომებთან დაკავშირებული სიძნელეებიდან უნდა აღინიშნოს მთავარი: ენის შემსწავლელთაგან ისეთი იდიომატური გამოთქმა, როგორცაა to pull one's leg არ ნიშნავს იმას, რაც ერთი შეხედვით ჩანს. ამ შენაერთის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. თუმცა აქ ბევრი თავისებური ელემენტია. იგი შეიძლება პირდაპირ მნიშვნელობითაც იქნეს გაგებული კონტექსტის გათვალისწინებით.

საბედნიეროდ, შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ იდიომატური და არაიდიომატური გამონათქვამი სემანტიკური კონსტიტუენტების მნიშვნელობათა გათვალისწინებით. ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და იდიომებს ორგვარი ბუნება აქვთ: კონსტიტუენტების მნიშვნელობა ქმნის გარკვეულ სურათს. მაგრამ ფაქტიური მნიშვნელობა ამ ერთეულისა მცირედ, ზოგჯერ კი საერთოდ არაფრით უკავშირდება ამ შექმნილ სურათს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენის კვლევა პრაგმატულ ასპექტში ყველაზე საინტერესოდ მაინც შესაძლებელია სემანტიკის დონეზე, რადგანაც სუბიექტი სიტყვათა მნიშვნელობებს უფრო თავისუფლად ეპყრობა, ვიდრე ფონემებს ან გრამატიკულ მორფემებს, ამიტომაც



ენის პრაგმატული მხარე ძალიან დიდ გავლენას ახდენს სემანტიკაზე: ეს გავლენა კი გამოიხატება სწორედ ისეთ სემანტიკურ პროცესში, როგორცაა - იდიომატიზაცია.

ენის სემანტიკური ანალიზი გვეხმარება გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნეს იმის შესახებ, თუ როგორაა დანახული მოცემულ ენაში გარე სამყარო, რა წესების მიხედვითაა იგი სემანტიკურ მასში, რადგანც ენა კულტურასაც ასახავს, რომელიც მოცემული ენის სემანტიკურ სტრუქტურაშია.

ამგვარად, ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ენის იდიომატიკა შემდეგ ნიშნებს ეფუძნება:

1. გამოყენების მაღალი სიხშირე;
2. უნარს – ერთმანეთს დაუპირისპიროს ნეიტრალური და სტილისტურად შეფერილი სომატური იდიომები;
3. მრავალ მნიშვნელობას;
4. სინონიმებისა და ანტონიმების დონეზე სემანტიკური პარალელების გავლენის უნარს;
5. სამეტყველო პროცესში აქტიური გამოყენების დონეს.

ამ კუთხით ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორაა დანახული სომატური ელემენტები ფრაზეოლოგიურ ერთეულებში და იდიომატურ გამონათქვამებში, რომლებიც საკმაოდ ამდიდრებენ ენას, გვიჩვენებენ თუ როგორ აისახება მოცემულ ენაში გარე სამყარო და მოვლენები. ენა კი მთელი თავისი შიდა სისტემით ემსახურება აზრის ხორცშესხმას. სიტყვათა სწორი ურთიერშეხამება კი ნათლად გამოხატავს ერის ფსიქოლოგიას.

ინგლისური და ქართული ენების სომატური იდიომების შესწავლისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ორი ასპექტის გამოიყენება: ონომასიოლოგიურისა და სემასიოლოგიურის. სემასიოლოგია ენობრივ ერთეულებს განიხილავს მათი შიდა სისტემური მიმართებების თვალსაზრისით, სიტყვის სემანტიკის სტრუქტურული ორგანიზაციის სამივე მიმართულებით, სამივე კუთხით: პარადიგმატიკაში (სისტემური მიმართებანი), სინტაგმატიკაში (კავშირები ხაზოვან რიგში), ეპიდიგმატიკაში – სემანტიკური სიტყვათწარმოების კუთხით სიტყვის მნიშვნელობათა კავშირის მიხედვით. ონომასიოლოგია კი ენობრივ ერთეულებს განიხილავს მათი საგნობრივი მიმართულების თვალსაზრისით.

სომატური იდიომები ასახავენ ნებისმიერი გამოვლენის ხარისხობრივ გრადაციებს და ხშირ შემთხვევაში გაძლიერების ფუნქციასაც ასრულებენ. მინიმალურ ლექსიკურ სინტაგმებში „განმსაზღვრელი – განსასაზღვრი“ აძლიერებენ საგნის, მოვლენის ან სხვა ნიშნის თვისებას, რომელიც ჩაღებულია სინტაგმის განსასაზღვრი წევრის სემანტიკაში. სომატური იდიომების მიერ თვისების გაძლიერება შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი, რაც განხორციელდება მოცემული თვისების ხატოვანი ხელახალი გააზრების გზით. მაგალითად:

*Be in a flood of tears*

*ცრემლების ნიაღვარი*

*Be all eyes*

*ოთხი თვალის გამობმა*

*Go purple in the face*

*სახეზე ალმური ასდის*

*have got nerves of steel*

*რკინის ნერვები*

ორივე ენაში სომატურ იდიომებს თან ახლავს კომბინაციაში ან ცალ-ცალკე სტილისტური კონოტაციური ნიშნები: ემოციურობა, შეფასებითობა, გამომსახველობა, რომლებიც განაპირობებენ მათ ექსპრესიურობას. სომატური იდიომების ექსპრესიული გამომსახველობის ხატოვნებას საფუძვლად უდევს მათი ექსტრალინგვისტური შესაბამისობა, შეფარდება საგნებთან ან თვისებებთან განხორციელებული სხვა საგანზე/თვისებაზე მითითების გზით, რაც გულისხმობს შეპირისპირებას, შედარებას. აქედან გამომდინარე კი – საგნების, მოვლენების შეფასებას იმ მიმართებათა საფუძველზე, რომლებიც არსებობენ რეალურ ან წარმოდგენით სამყაროში.

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე, ნათლად ჩანს იდიომების შინაგანი ბუნება და სპეციფიკა, რასაც განსაზღვრავს ის ოთხი არსებითი ნიშანი, რომლებიც ა. თაყაიშვილმა ჩამოაყალიბა:

1. იდიომი სემანტიკურად დაუშლელია და სიტყვის ეკვივალენტურია.
2. იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.
3. ექსპრესიულობა იდიომის სპეციფიკური მხარეა.
4. იდიომს აქვს შესიტყვების ფორმა.

ეს ოთხი ნიშანი ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთქმედებენ და ერთმანეთს ავსებენ, რის საფუძველზეც ისინი იდიომის საერთო დახასიათებას გვაძლევენ ანუ სწორედ ამ ოთხივე ნიშნის ერთობლიობა ქმნის იდიომს. თუ რომელიმე მათგანი გამოთქმას აკლია, მას იდიომად ვერ ჩავთვლით (თაყაიშვილი 1961; 37). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ იდიომატურობის კრიტერიუმად არ მივიჩნევთ აბსოლუტურ არა-კომპოზიტურობას და სრულ არა-პროდუქტიულობას. მით უფრო რომ, როგორც ზევით მოყვანილმა მაგალითებმა დაადასტურა, ორივე ეს მახასიათებელი ფრაზეოლოგიზმებს მეტ-ნაკლები ხარისხით აქვთ და ამ შემთხვევაში გამოკვეთილი საზღვრების გავლება პრაქტიკულად შეუძლებელია.

იდიომები ინგლისურ და ქართულ ენებში საკმაოდ მრავალფეროვან ჯგუფს წარმოადგენენ, როგორც შინაარსით, ისე გამოყენებითა და გამოხატვის ფორმით – ეს ლექსიკის განსაკუთრებული ფენაა, რომლის საზღვრები დიაა და რომელიც გამუდმებით ივსება.

## 2.2. სომატური იდიომები და მათი კლასიფიკაცია

სომა ბერძნული სიტყვაა – soma – რაც ტანს, სხეულს ნიშნავს. ეს ტერმინი შემოიღო ზოოლოგმა ვაისმანმა. მისი მოძღვრების მიხედვით სომა უპირისპირდება ჩანასახოვან პლაზმას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა სქესობრივი უჯრედების საშუალებით. სომატოლოგია ბერძნულად soma (somaion) სხეული და logos მოძღვრება – ანთროპოლოგიის ნაწილია, რომელიც იკვლევს ცვლილებებს ადამიანის სხეულის აგებულებაში მისი სიცოცხლის დროს, ხოლო სომატური აღნიშნავს სხეულთან დაკავშირებულს, არა ფსიქიკურს.

სომატური ლექსიკა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. თანამედროვე სინამდვილეში გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და კულტურათა ურთიერთგამდიდრების პირობებში აქტუალური გახდა კულტურათაშორისი კომუნიკაციის, მათ შორის იმ ლექსიკის შესწავლის ეფექტურობის ამალღების საკითხები, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყანათმცონეობითი, კულტუროლოგიური ცოდნის გაღრმავებას, რაც შეესაბამება კომუნიკაციური ლინგვისტიკის, უცხო ენის აქტუალური დაუფლების მიზნებსა და ამოცანებს.

რუსი მეცნიერი ი. ნ. კარულოვი აღნიშნავს, რომ ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედებს, მატარებელსა და მომხმარებლებს - ადამიანებს, კონკურენტულ ენობრივ პიროვნებას (Карапов 1987; 7). ადამიანისადმი მიმართვა ვერ იქნება ნაყოფიერი იმ ლექსიკის ანალიზისა და გაგების გარეშე, რომელიც უკავშირდება საკუთრივ მის შეცნობას, პირველ რიგში, სომატური ლექსიკის ანალიზის გარეშე, რომელიც განახორციელებს მისი აგებულების სახელდებას, ანუ მისი სხეულის ნაწილების სახელწოდებათა ჯგუფის გარეშე. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ სომატური ლექსიკა, რომელიც ნებისმიერ ენაში ლექსიკური სისტემის უძველეს ფენას მიეკუთვნება, ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა - სომატიზმების გარესამყაროს რეალიზებასთან ფართო და მრავალფეროვანი კავშირები აიხსნება ადამიანის სხეულის ნაწილების ონთოგენეტიკური ფუნქციონალური თვისებებით და მათი ფართო სიმბოლიზაციით.

ენისა და ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად ინტერესი სომატური ლექსიკისადმი როგორც ენობრივი უნივერსალისადმი სულ უფრო ღრმავდება

და იძენს ახალ შინაარსს - ერთეუბა ახალ-ახალ სამეცნიერო-თეორიულ კვლევათა ორბიტაში.

სომატური იდიომი, რომელიც შეიცავს სომატურ კომპონენტს, ჩვეულებრივ გაიგება როგორც ფრაზეოლოგიზმი, რომლის წამყვან ან დამოუკიდებელ კომპონენტს წარმოადგენს სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ორგანიზმის არა მარტო გარეგნულ ფიზიკურ ფორმებს (თავი, ხელი, ცხვირი და ა.შ.), არამედ მისი გულსისძარღვთა, ნერვულ და სხვა სისტემების ელემენტებსაც (სისხლი, ტვინი, ღვიძლი, გული და ა.შ.). ამ ფრაზეოლოგიზმების არჩევა იმითაა განპირობებული, რომ სფე (სომატური ფრაზეოლოგიური ერთეული) კომუნიკაციურად მეტად მნიშვნელოვანი და ხშირად დამოყენებადი ერთეულებია. ეს ფრაზეოლოგიზმები სპონტანურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიქმნება სხვადასხვა პერიოდსა და სხვადასხვა ენაში. მათ საერთო საფუძველს წარმოადგენს ადამიანის საერთო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები, განვითარების საერთო პირობები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ სომატიზმები ლექსიკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ჯგუფებია, რომლის ბაზაზეც ხშირია ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნა.

მიუხედავად გარკვეული მდგომარეობისა, სომატური ფრაზეოლოგია განუწყვეტლივ იცვლება და ვითარდება. ფ. ვაკი გამოყოფს სომატური ფრაზეოლოგიის შეცვლის სამ გზას:

- არქაული, მოძველებული მასალის ამოვარდნა;
- ახალი ფრაზეოლოგიზმების ან მათი ვარიანტების წარმოქმნა;
- უკვე არსებული მასალის სემანტიკური გარდაქმნა.

ცვლილებას განიცდის როგორც ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფორმა, ასევე მათი შინაარსი.

სომატურ იდიომებს შორის განსაკუთრებით მდიდარია ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც წარმოდგენილია გრძნობის ორგანოების დასახელება, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი აღიქვამს გარესამყაროს, შემეცნებს საკუთარ მეს და საკუთარ თავს ამ სამყაროში. ფრაზეოლოგიზმები კომპონენტებით თავი, თვალი, ცხვირი, ხელი, გული, ყური, ენა შეადგენენ სომატური იდიომების 70%-ს.

ადამიანისა სხეულის ნაწილთა სახელები შეიძლება გავყოთ გარეგანი ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების სახელწოდებებად.

ლინგვისტები ყოველთვის ცალსახად არ განმარტავენ ტერმინს „სომანიზმი“. მაგალითად, ფ. ვაკი ამ ტერმინს განსაზღვრავს როგორც სიტყვათა მყარი კომპლექსების ერთობლიობას, რომელთა შემადგენლობაში შედის ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილების სახელწოდებები, აგრეთვე სხეულში არსებული სითხის („სისხლი“) დასახელებას, და სიტყვებს, რომლებიც არ ასახელებენ სხეულის ნაწილებს, მაგრამ უშუალოდ არიან დაკავშირებული ადამიანის ორგანიზმთან („ნერვები“, „ძვალი“ და ა.შ.) ავტორი აგრეთვე სომატიზმებშივე განიხილავს მყარ შესიტყვებებს, რომლებიც წარმოქმნილია სიმბოლური ქესტებისა და მიმიკის აღწერის შედეგად.

ო. ნაზაროვი სომატურ ფრაზეოლოგიზმებში განიხილავს მხოლოდ ისეთ ერთეულებს, რომელთა შემადგენლობაში შედის ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებები. იგი არ განიხილავს ამ ჯგუფში ქესტურ და მიმიკურ ფრაზეოლოგიზმებს.

ჩვენი აზრით, სომატიზმების შემადგენლობაში მართებულია არა მარტო ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსემების შეყვანა, არამედ იმ სიტყვებისაც, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ადამიანის ორგანიზმთან (ძვალი, კანი, სისხლი, ნერვი, კუნთი და ა.შ.), რადგან ისინი აღნიშნავენ მატერიალური სუბსტანციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებს ცოცხალი ორგანიზმი.

ამრიგად, ფრაზეოლოგიური ერთეულები სომატური კომპონენტებით, ანუ ჩვენს მიერ მოიაზრება როგორც ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შემადგენლობაში შედის სხეულის გარეგანი ნაწილები და ორგანოები, აგრეთვე ცოცხალი არსების სხეულის შინაგანი ორგანოები.

სხეულის ნაწილების სახელწოდებები, როგორც ჩანს, წარმოადგენენ სიტყვათა ისეთ ჯგუფს, რომლებიც საკმაოდ ხშირად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნაში. ამას ადასტურებს სომატური ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი კვლევების მასალები, რომლებშიც შესწავლილია შესაბამისი ფრაზეოლოგიური ერთეულები. მათი მსგავსება განსხვავებანი სხვადასხვა ენის საფუძველზე. მაგალითად, ასეთ ნაშრომებს მიეკუთვნება: ი.ა. დოლგოპოპოვის (რუსული, ინგლისური, გერმანული ენების საფუძველზე), ვ.ფ. სენარის (ინგლისური და უკრაინული ენების საფუძველზე), რ.მ. ვარიანტრაუბის (სლავური ენების საფუძველზე) კვლევები; (აგრეთვე Рахштейн 1980; 113, Моркович 1972; 75)

ამ ნაშრომებში აღნიშნულია, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ **ხელს, თვალს და თავს**. ეს გარემოება, ცხადია, არ აიხსნება შიდა ლინგვისტური მიზეზებით. ეს კომპონენტები პირდაპირ შესაბამისობაშია შემეცნების გრძნობით (თვალი) – *one's eyes deceive*

*თვალი მატყუებს*

და ლოგიკურ (თავი) – *have got a good head on one's shoulders*

*კარგი თავი აბია*

საფეხურებთან, აგრეთვე მისი ჭეშმარიტების საზომთან - პრაქტიკასთან (ხელი).

*- to turn one's hand - ხელი მიჰყო რაიმეს*

სომატური იდიომების ეს კომპონენტები, როგორც დამოუკიდებელი სიტყვები მიეკუთვნებიან ხშირად გამოყენებადი ლექსიკური ზონის შემადგენლობას; ისინი ლექსიკური სისტემის უძველეს და სოციალურად უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ. ჩვეულებრივ, ეს პოლისემანტიკური სიტყვებია, რომელთა ცალკეული გადატანითი მნიშვნელობები ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობებშიც აღიქმება. თუმცა გადამწყვეტ როლს მათი პირველადი, პირდაპირი მნიშვნელობები ასრულებენ.

ა. ბლუმის კვლევის შედეგების თანახმად, სომატური ფრაზეოლოგიზმები თანამედროვე ინგლისურ ენაში მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს. განსაკუთრებული სიხშირით ხასიათდება სომატიზმი *hand*. მას აქტიურობის მიხედვით მოსდევს შემდეგი სიტყვები: *head, eye, face, foot, nose, finger, heart*. დანარჩენი სომატიზმები (*leg, arm, back, bone, brain, ear, tooth, skin, shulder, neck, tongue*) ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ მათი ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ მაღალია (ГЛУХОВ 2001;1). ჩვენი კვლევის შედეგად კი ქართულ ენაში განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება სომატიზმი – გული, რომელსაც აქტივობის მიხედვით მოჰყვება შემდეგი სომატიზმები: **თავი, თვალი, ხელი, პირი, ფეხი, ყური**.

სხეულის ნაწილების სახელწოდებები არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით ფიგურირებენ სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში მათ სიმბოლური ხასიათიც გააჩნია.

ინგლისური სომატური ლექსიკის შესწავლის მხრივ ცნობილია ნ.ა. ვლასოვას, ე.ა. ბელიჩენკოს, E.S.Andersen, D.L. Nilsen და სხვა მეცნიერთა ნაშრომები.

ნომინაციის ობიექტის მიხედვით სომატური ლექსიკა იყოფა შემდეგ ჯგუფებად (Mygy 2003; 81-82)

1. სომონიმიური ლექსიკა, რომელიც ემსახურება ადამიანის სხეულის ნაწილების აღნიშვნას (ბერძნ. soma-სხეული+onim - სახელი, სახელწოდება);
2. ოსტეონიმიური ლექსიკა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის სხეულის ძვლებს და მათ შეერთებებს (ბერძნ. osteon - ძვალი);
3. სპლანხნონიმიური ლექსიკა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის სხეულის შინაგან ორგანოებს (ბერძნ. splanchna - შინაგანი, შიგნეულობა);
4. ანგიონიმიური ლექსიკა, რომელიც ემსახურება ადამიანის ორგანიზმის სისხლის მიმოქცევის სისტემის ნომინაციას (ბერძნ. Angeion - ძარღვი);
5. სენოსნიმიური ლექსიკა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ორგანიზმის გრძნობათა ორგანოებს (ლათ. sensus - გრძნობა);
6. ლექსიკა, რომელიც აღნიშნავს ავადმყოფობებს, სნეულებებს და ადამიანის ორგანიზმის სხვა გამოვლინებებს.

მოცემული კლასიფიკაცია ასახავს ნომინაციის მკაცრად დეტერმინირებულ ობიექტებს, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. იგი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ენას განიხილავს. მაგრამ ლექსიკურ ერთეულთა კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც მათ აღსანიშნავადაა განკუთვნილი, დამოკიდებულია თითოეული ენის თავისებურებებზე და განსხვავებულია როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. [Кочеваякин 1999; Mygy 2003]

სომატური ლექსიკის სწორედ ეს ასპექტი წარმოადგენს ლინგვისტთა ინტერესის საგანს, რადგან სწორედ იგი იძლევა ენაში კულტურულ-ნაციონალური სპეციფიკის გამოვლენის საშუალებას.

მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მხოლოდ 35% გადმოიცემა ენის მეშვეობით. ურთიერთობის სხვა არავერბალურ საშუალებებს წარმოადგენს ეგრეთწოდებული სომატური ენა: უესტების, პოზების, მიმიკის, სახის გამომეტყველების ენა, რომელიც აქტიურად ერთვება ინფორმაციის გადმოცემაში. კომუნიკაციის არავერბალურ



საშუალებებს, რომლებიც ისტორიულად ვერბალურზე ადრე გაჩნდა, გააჩნიათ ადრესატზე ძლიერი ზემოქმედების უნარი - მათი მეშვეობით შესაძლებელია ზოგჯერ ისეთი ინფორმაციის გადმოცემა, რომელთა გამოხატვაც ძნელია ან რაიმე მიზეზთა გამო უხერხულია სიტყვებით. ამიტომ არავერბალური ქცევა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოთქმული სიტყვები.

ქესტების ენა ცალსახად ინტერნაციონალურია მხოლოდ აღწერითი ქესტების (ასანთის ანთება, პირის გაპარსვა და ა.შ.) ფარგლებში, მაგრამ ძირითადად „კომუნიკაცია ქესტების მეშვეობით ისეთივე ნაციონალური ფენომენია, როგორც ვერბალური ენები" [Верещагин, костомаров: 1983, 196]. ამას განაპირობებს სომატური ენის ორმაგი ბუნება: ერთი მხრივ, ბიოლოგიური, თანდაყოლილი (უნებლიე, გაუცნობიერებელი გამოვლინებები: გაფითრება, თვალის გუგების გაფართოება და ა.შ.) და მეორე მხრივ, სოციალური, ადამიანის მიერ სოციალიზაციის პროცესში შექმნილი (გაცნობიერებული, გააზრებული გამოვლინებები: *scratch one's head*

*თავი (კეფა) მოიფხანა (პრობლემაზე დაფიქრებისას);*

*can't take one's eyes from/off*

*თვალს ვერ მოწყვეტ;*

*rub one's hands*

*ხელებს ისრებს (ხიამოვნების, კმაყოფილების გამოხატვა).*

არავერბალური კომუნიკაციის ასეთი „ორმაგი" ბუნება განსაზღვრავს როგორც უნივერსალურ, ყველასთვის გასაგები ნიშნების, ისე სპეციფიკური სიგნალების არსებობას, რომლებიც მხოლოდ ერთი კულტურის ფარგლებში გამოიყენება.

ინფორმაციის გადმოცემის კულტურით განპირობებული არავერბალური საშუალებები, რომლებიც სიმბოლოებს წარმოადგენენ, ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ მათი ცოდნა აუცილებელია კომუნიკაციაში წარმატებული მონაწილეობისათვის, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ არავერბალურ ენას გააჩნია მყარი ვერბალური აღწერა, კერძოდ, ფრაზეოლოგიური ერთეულების ფორმით, რომლებიც ინგლისურ და ქართულ ენებში ვრცელ, მდიდარ ფენას წარმოადგენს.

პრაგმატული თვალსაზრისით სომატური ერთეულები აღწერენ, მაგალითად, მიმიკას ან სხეულის მოძრობას, მაგრამ პროექციული თვალსაზრისით ისინი ასახავენ ემოციებისა და ფსიქიური მდგომარეობის გარეგნულ გამოვლინებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ სემანტიკაში დევს ადამიანის

სულიერ მდგომარეობაზე მინიშნების ჩვეული ნორმები მისი გრძნობების, განზრახვათა, განცდების პროვოცირების გზით მათ გარეგნულ გამოვლინებებზე.

მაგალითად: *sit on one's hand*

*გულხელდაკრეფილი ჯდომა;*

*button/zip one's lips*

*ბოქლომი აქვს პირზე დადებული;*

*make eyes at smb*

*თვალებს უნაბავს (ეპრანჭება);*

*one's face falls*

*სახე ჩამოსტირის;*

ჩვენს მიერ შესწავლილი ფრაზეოლოგიზმები აღწერენ ადამიანის მრავალფეროვან გრძნობებს, ფსიქიკურ მდგომარეობებს, აზრებს, ქცევას, მისი გარეგნობისა და ხასიათის თავისებურებებს და ა.შ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობა შეიცავს ადამიანის სხეულის სახელწოდებებს. ჩვენს მიერ შეგროვილ მასალაში ინგლისურ ენაში გამოვლენილია ადამიანის სხეულის ნაწილთა 40 დასახელება, რომელთა შორის განსაკუთრებით ხშირი გამოყენება ახასიათებს (კლების პრინციპით) შემდეგ სიტყვებს: *head, eye, hand, heart, foot, finger, face, hair, nose, tooth*, რომლებიც შეადგენენ საკვლევი ფრაზეოლოგიური კორპუსის დაახლოებით 70%-ს.

წარმოვადგენთ იმ ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებითი კვლევის შედეგებს, რომლებიც შეიცავენ კომპონენტს *eye(s)* – თვალი/თვალები

თვალები ადამიანის სხეულის მნიშვნელოვანი ორგანოა - სამყაროს შესახებ ინფორმაციის დიდ ნაწილს ადამიანი თვალების, მხედველობის წყალობით იღებს, თვალების - ამ კომპონენტის მეშვეობით ხდება ადამიანის არა მარტო ფიზიკური დახასიათება (**smb's blue - eyed/fair - haired boy** - ვისიმე საყვარელი ადამიანი), არამედ გამოიხატება ადამიანის უნარი, შეიმეცნოს მოვლენები (*have eyes on the back of one's head* - თვალები კეფაზე აქვს, დაკვირვებულია; *open smb's eyes to smth* - თვალები აუხილა (ვინმეს) (რამეზე); *look at smth through smb's eyes* - რაიმეს უყურებდეს სხვისი თვალებით; *do smth with your eyes shut/closed* - რაიმეს კეთება დახუჭული თვალებით), აგრეთვე ადამიანის შინაგანი მზერა, ხედვა, მისი ინტუიცია (*see smth in one's mind's eye* - გონების თვალთ (გულის თვალთ) დანახვა (რაიმესი).

ორივე ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში დაფიქსირებულია თვალების უნარი იმყოფებოდნენ მოძრაობაში, რაც იმაში ვლინდება, რომ სიტყვები eye/თვალი გამოიყენება მოძრაობის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად, როგორცაა: bat, cast, clap, cock, close, lay, open, run, set, shut, take off, turn; ატრიალებს, მოავლებს, აცეცებს; გაუბრბის, გაექცევა, გადაატრიალებს.

ორივე ენაში არსებობს ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აკებულია მეტონიმის საფუძველზე. „თვალი ადამიანი“: an eagle/quick eye - არწივის თვალი, ანუ დაკვირვებული ადამიანი; be all eyes - თვალებად იქცა, ანუ ძალიან ყურადღებითაა; an eye for an eye - თვალი თვალის წილ; an apple of smb's eye - თვალის ჩინი.

ორი ენის სომატურ ფრაზეოლოგიურ სისტემათა შეპირისპირებამ, ჩვენი აზრით, უნდა გამოავლინოს ინგლისურ და ქართულ ფრაზეოსისტემებს შორის არსებული მსგავსება - განსხვავებები; უნდა უჩვენოს, თუ როგორ ვლინდება ისინი ენის სხვადასხვა - ფუნქციონალურ, სემანტიკურ, ფორმალურ-აზრობრივ, სტრუქტურულ ასპექტში; თუ რა შიდაენობრივი და ექსტრალინგვისტური ფაქტორებითაა ისინი განპირობებული, როგორია სომატური ფრაზეოლოგიზმების ეკვივალენტურობის ხარისხი ენებს შორის.

გამოიყოფა სრული და არასრული სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტები. სრული სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტები – ინგლისური და ქართული ენების ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებია, რომელთაც ახასიათებს ერთნაირი მნიშვნელობა, ერთნაირი კომპონენტური შემადგენლობა და მსგავსი სინტაქსური ორგანიზება. მაგალითად:

*welcome someone/something with open arms*

*გაშლილი ხელებით შეხვდა (შეეგება) ვინმეს (რაიმეს);*

*to do something behind someone's back*

*ვიღაცის ზურგს უკან;*

*to turn one's back upon somebody*

*ზურგი შეაქცია;*

*to be up to the ears in something*

*ყურებამდეა - (მაგალითად, შეყვარებული);*

*to stand on one's own two feet*

*მტკიცე (მაგარ) ფეხებზე დგას;*

*to be bound hand and foot*

*ხელ-ფეხი შეკრული აქვს;*  
*to have something in handy to take something in hand*  
*ხელში უჭირავს (ვინმე ან რაიმე);*  
*to take oneself in hand*  
*თავი ხელში აიყვანა;*  
*to wash one's hand of*  
*ხელები დაიბანა;*  
*to lose one's head*  
*თავს კარგავს, თავი დაკარგა;*  
*to come to a head*  
*თავში მოუვიდა;*  
*to poke one's nose into someone else's business/affairs*  
*ცხვირის ჩაყოფა სხვის საქმეში;*  
*to have got one's head screwed on one's shoulders on the right way*  
*საკუთარი თავი აქვს მხრებზე;*  
*cannot see an inch beyond/before one's nose*  
*საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავს და ა.შ.*

სრული სტრუქტურულ-სემანტიკური ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს სესხება მესამე წყაროდან. მაგალითად:

*one's Achilles heel*  
*აქილევსის ქუსლი;*  
*one's own flesh and blood*  
*სისხლი და ხორცი;*  
*all skin and bones*  
*ძვალი და ტყავია;*  
*an eye for an eye, a tooth for a tooth*  
*თვალი თვალის წინ, კბილი კბილის წილ.*

ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურშიც და ქართულშიც მესამე წყაროებიდან – ძირითადად ბიბლიიდან ან ძველი საბერძნეთის და რომის ანტიკური მითოლოგიიდანაა შემოსული.

არასრულ სტრუქტურულ-სემანტიკურ ფრაზეოლოგიურ ეკვივალენტებს წარმოადგენს ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც გააჩნიათ

სრული სემანტიკური მსგავსება, მაგრამ მათი კომპონენტური შემადგენლობა (მოცემული საკვლევი ფრაზეოლოგიური ჯგუფის ფარგლებში) გარკვეულწილად განსხვავებულია. მაგალითად:

*to have something at one's finger-tips*  
(საკუთარი) ხუთი თითივით იცის;  
*to have one's eye on something/someone*  
თვალს არ აშორებს რაიმეს (ვინმეს);  
*to feel/find one's feet*  
ფეხზე დადგა (წარმოდგა);  
*to take something to heart*  
გულთან ახლოს მიაქვს (რაიმე) და ა.შ.

ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ხდება ან ზმნური კომპონენტების ვარირება (ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის ფარგლებში), ან „სხეულის ნაწილის“ აღმნიშვნელი სახელისა. თუმცა ეს განსხვავებანი არ ახდენენ გავლენას ფრაზეოლოგიზმის საერთო სახეობრივ მნიშვნელობაზე და მის ფუნქციონალურ თავისებურებებზე.

ასეთ არასრულ სტრუქტურულ-სემანტიკურ ეკვივალენტებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ სემანტიკური ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური ეკვივალენტები ჩვენს მიერ მოიაზრება როგორც ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც იდენტურია ორ ენაში თავიანთი სახეობრივი მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გამოსატვის მიხედვით – როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით. მაგალითად:

*work one's fingers to the bone*  
ხელებდაკაპიწებული მუშაობს;  
*to be fed up to the back teeth*  
ყელამდეა მაძლარი;  
*out of the mouths of babies and sucklings*  
ჯერ ტუჩებზე რძე არ შეშრობია და ა.შ.

ინგლისური და ქართული ენების ეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულებისგან უნდა განვასხვავოთ სტრუქტურული ფსევდოეკვივალენტები, რომლებიც, მართალია, ერთნაირია სტრუქტურის მიხედვით, მაგრამ გააჩნიათ

განსხვავებული, ზოჯერ კი ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობები. მაგალითად:

*to a hair*

*(ზუსტად) ერთ ბეწვზე (აცლა)*

ასეთი „ეკვივალენტები“ ხშირად ასრულებენ „მთარგმნელის ცრუ მეგობრების“ როლს ფრაზეოლოგიის სფეროში მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გაჩნიათ პირდაპირი მატერიალური იდენტურობა, ისინი სერიოზულ პრაქტიკულ სირთულეს წარმოადგენენ ამ ენების შემსწავლელთათვის, რადგან შეცდომაში შეჰყავთ ისინი ლექსიკური და სინტაქსური მსგავსებითა და მთლიანი სემანტიკური მნიშვნელობის სრული განსხვავებულობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ ადგილი აქვს ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურისა და შინაარსის ასიმეტრიას.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა – რა არის იდიომის თარგმნის აუცილებელი პირობა? თაყაიშვილი განმარტავს რომ იდიომის თარგმნის ელემენტარულ პირობად შეიძლება წამოვაცენოთ ის, რომ ხელშესახები იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის. ანდა, სხვანაირად; ნათლად ჩანდეს გამოთქმის მოტივაციის კვალი (თაყაიშვილი 1961; 109). მაგალითად, ინგლისური იდიომი - *to drop on one's knees* ქართულ ენაში გამოიხატება შემდეგნაირად- მუხლებში ჩავარდნა. ამ სომატური იდიომების შედარების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს ზუსტ თარგმანთან, რაც შესაძლებელია იმიტომ, რომ თვით პირდაპირ მნიშვნელობაშიც ჩანს მნიშვნელობის გადატანის შესაძლებლობა. ინგლისური და ქართული სომატური იდიომების შეპირისპირებითი კვლევისა ნათლად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ზუსტ ინტერპრეტაციას თარგმანში ემორჩილება მეტაფორული ელფერის მქონე სომატური იდიომები, რადგანაც მათი მეტაფორიზაციის საფუძველსა და შედეგს შორის კავშირი გაწყვეტილი არაა. მაგალითად,

*a bloodless revolution* – უსისხლო რევოლუცია

*walls have ears* – კედლებსაც აქვთ ყურები

*break somebody's heart* – გულის გატეხა

*lose one's tongue* – ენის წართმევა

ინგლისური და ქართული იდიომების შეპირისპირებისას აგრეთვე, ძალზედ საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი რომ, გარკვეული ნაწილი სომატური

იდიომებისა ვერ ითარგმნება, ვინაიდან ისინი ძირითადად ერის წეს-ჩვეულებებს და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ კულტურას ასახავს. მაგალითად,

*ნაწლავები დამეხვეწა, ნაწლავები უჩანს, ნაწლავები ჩივიან, ნაწლავებში დაწედომა*

ინგლისურ ენაში გვაქვს შემდეგი სომატური იდიომა – He has left his guts behind him – რაც ნიშნავს – ის სულიერად დაეცა. ამ მაგალითებში კარგად ჩანს, რომ ადამიანის ასეთი უკიდურესად უარყოფითი მდგომარეობა ინგლისურ ენაში გამოიხატა სომატიზმით – guts – ნაწლავები, ხოლო ქართულ ენაში – სული. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სამყაროში არსებულ მოვლენებს სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანები სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ და შეუძლებელია ზუსტი თარგმანი. ამ მოსაზრებას აგრეთვე ადასტურებს შემდეგი სომატური იდიომების არსებობა:

**გვერდები** - *გვერდებში გაჯდომა, გვერდის ავლა, გვერდის აქცევა, გვერდის დამშვენება, გვერდები დაეთვლება;*

**წამწამი** - *წამწამზე უზის (ვინმე), წამწამის დანაყვა;*

**წარბი** – წარბების მოხრა, წარბების გახსნა, წარბების შეკვრა, წარბიც არ შეიხარა, წარბის თამაში;

**ნაღველი** – მწარე ნაღველის გადასხმა, ნაღველი აწევს, ნაღველი მოერიდა, ნაღველის ჩაწურვა გულში, ნაღველმა დაიგდო;

**შუბლი** – შუბლის შეკვრა, შუბლის გახსნა, შუბლმა ღრუბელი დაისხა.

ასევე მოიპოვება მაგალითები ინგლისურ ენაში:

**thumb –ცერა თითი** – twiddle ones thumbs –უსაქმოდ ყოფნა,

have a person under one’s thumb –ვისიმე გავლენის ქვეშ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ სომატური იდიომების თარგმანი ქართულ ენაში კი გაგვაჩნია, მაგრამ მათში სომატიზმი არ არის გამოყენებული.

ამრიგად, დიდი სიფრთხილვა საჭირო იდიომატური გამოთქმების თარგმნისას, რადგანაც „იდიომა ხელახლა იბადება, ოღონდ უკვე სხვა გარემოში, ამიტომ აქაც, ისევე როგორც მშობლიურ ნიადაგზე დამკვიდრებისას, საჭიროა პიდაპირ მნიშვნელობაში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი გამოთქმის განზოგადების საფუძველი“ (თაყაიშვილი 1961; 109).

ერთიანი სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური განსხვავებულობა ინგლისურ და ქართულ ენებში განსაკუთრებით საინტერესოა.

იგი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს სხვადასხვა ენაში ერთიანი ლექსიკური კომპლექსების განსხვავებული გაცნობიერების, გააზრების შედეგს.

თუმცა უმეტეს შემთხვევაში შესაპირისპირებელ ენებში ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ შესაბამისობას თან ახლავს ფუნქციურ-აზრობრივი შესაბამისობა, რადგან სომატური ფრაზეოლოგიზმების სფეროში ფუნქციონირებს ფრაზეოლოგიზმების წარმოების მსგავსი სემანტიკური მოდელები.

შესატყვისი სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების გარდა, ინგლისურ და ქართულ ენებში გვხვდება ისეთი ერთეულებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ ეკვივალენტები მეორე ენაში. ასეთ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს გარკვეული სტრუქტურული თავისებურება (მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება შეიცავდეს არქაიზმს ან შეიძლება შესიტყვებას ჰქონდეს მოძველებული სინტაქსური აგებულება ან სიტყვის ფორმა), რომელსაც არ გააჩნია ანალოგი არც სტრუქტურული და არც შინაარსობრივი, აზრობრივი თვალსაზრისით. ეკვივალენტის არარსებობის მიზეზი შეიძლება იყოს კონკრეტული ფრაზეოლოგიური ერთეულის უნიკალური მოდელი, რომლის მიხედვითაც მოხდა სემანტიკური ცვლილება (მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი წარმოიქმნა რაიმე ხალხური წეს-ჩვეულებების, ამა თუ იმ ერის ტრადიციის საფუძველზე). მაგალითად:

- to have one's eye-teeth cut*  
კეთილგონიერება
- to put one's foot into one's mouth*  
არასახიამოვნო სიტუაციაში მოხვედრა
- to go cap inhand*  
მშვიდად, წყნარად ყოფნა,  
*neck or nothing*
- ყველაფრის მიღების სურვილი*
- to old hand*  
გამოცდილი კაცი
- to show (call) one's hand*  
ჰეშმარიტი განზრახვის ჩვენება
- to have an old head on young shouldrs*  
ბრძენია



*to have one's tongue in one's cheek*

*სისულელეს თავიდან აცილება, სიფრთხილის გამოჩენა*

*a heart of oak*

*მამაცი ადამიანი*

*to show the white feather*

*სიმხდალის გამოვლენა*

ანატომიური თვალსაზრისით სხეულის ნაწილები ძალიან ბევრია. მაგრამ სიმბოლური მნიშვნელობა, ტრადიციული ენობრივი გაგებით, გააჩნია ძირითადად იმ ორგანოებს, რომლებიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც გარეგანი ორგანოები. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს „გული“ და „კუჭი“.

განვიხილოთ ფრაზეოლოგიაში განსაკუთრებული სიხშირის მქონე სხეულის აღმნიშვნელი ზოგიერთი ერთეულის კონოტაციები.

**თავი/head** წარმართავს აზროვნებას, გონებას, აქედან გამომდინარეობს სომატიზმის ძირითადი კონოტაციური მნიშვნელობა, იგი აღნიშნავს გონებას და ჭკუას ან მის არარსებობას, მაგალითად:

*to have a good head for something* – ფხიზელი თავი აქვს

*to have a good head on one's shoulders* – საკუთარი თავი ადგას მხრებზე. ყურადღების, ნებისყოფის მოკრების უნარის მნიშვნელობა გამოიხატება ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, როგორცაა:

*to lose one's head* – თავი ჩაღუნა, ჩაქინდრა;

*to keep one's head* – თავი არ დაუკარგავს; *to bury one's head in the sand*.

ზოგჯერ სიტყვა „თავი“ იძენს მნიშვნელობას „სიცოცხლე“, რადგანაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენს: „თავი დასდო“.

დამატებითი, დიფერენციალური მნიშვნელობა შემოაქვს უპირატესობის სემას, რომელიც ჩადებულია ამ ცნობაში, მაგალითად:

*to carry one's head high* – თავი მაღლა უჭირავს (ანუ ღირსეულად);

*to wash one's head* - (თავის დაბანა ვინმეს – ანუ გალანძღვა, დაამცირა).

**თმები/hair** შეიძლება განხილულ იქნას როგორც თავის ატრიბუტი, ან დამოუკიდებლად ჩვეულებრივ, ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში სიტყვა იძენს რაიმე ემოციის მნიშვნელობას.

მაგალითად: შიშის, one's hair stood on end - თმები ყალყზე დაუდგა  
გაბრაზების, to tear one's hair out – თმებს იგლეჯს.

განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს ერთი თმის, თმის ღერის აღნიშვნა: მას  
გააჩნია მნიშვნელობა: „ძალიან მცირეა, ცოტა, უმნიშვნელოა“. მაგალითად:  
to split hairs (წერილმანს გამოდევნება);  
by a hair (ოდნავ); ქართულში: თმის ღერიც (ბეწვიც) არ ჩამოვარდნია.

**თვალები/eyes** სიმბოლურად იძენენ ინფორმაციის მიღების, მათი  
უტყუარობის მნიშვნელობას: *მახვილი თვალი – sharp eye; to open somebody's eyes to  
something* – თვალები აუხილა (რაიმეზე). თვალები აგრეთვე ემოციისა და  
გრძნობის გამომხატველი მნიშვნელოვანი ორგანოა, ამიტომ ეს კომპონენტი  
გვხვდება საკმაოდ დიდი რაოდენობის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში,  
რომლებიც ადამიანის ემოციურ მდგომარეობას, მასში მომხდარ ცვლილებებს  
ასახევენ.

მაგალითად, გააკვირვების გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში:

an eye – opener – თვალები გადმოკარკლა (გადმოქაჩა); სურვილის:

with an eye to doing something – თვალებს უპრაწავს; თვალები აენტო; თვალები  
ზედ(რაიმეზე) დარჩა;

შურისა და არაკეთილმოსურნეობის:

the envy eye/green eye – ცუდი თვალით შეხედა; ავი თვალით შეხედა; შურის  
თვალით ყურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში გვხვდება ფრაზეოლოგიზმი  
კომპონენტით „თვალი/თვალები“, რომლებიც სიკვდილს, გარდაცვალებას  
აღნიშანვენ: თვალები დაუსუჭა;

თვალები გადაატრიალა;

თვალები სამუდამოდ დახუჭა.

**ცხვირი/nose** – ადამიანის ამ ორგანოს გამორჩეული ნიშანი მისი  
გამოკვეთილობა სახეზე, იგი ყველა ორგანოზე წინაა წამოწეული და სახეზე  
ცენტრში მდებარეობს. ალბათ ამიტომ, რომ ეს სიტყვა ფრაზეოლოგიური  
ერთეულების შემადგენლობაში შემდეგ სიმბოლიკას ავითარებს:

1. არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობა,

მაგალითად: *to stick/poke one's nose into other people's affairs*

*სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა; ყველაფერში ცხვირს ჰყოფს.*

2. სიახლოვე, მცირე მანძილი, რომელიც ხშირად უკავშირდება ინფორმაციის მიღებას. მაგალითად: *not to see beyond the end of one's nose*

*საკუთარი ცხვირის იქეთ ვერაფერს ხედავს*

*to stole something under one's nose*

*ცხვირწინ ააცალა (აწაპნა);*

3. სიამაყე, ამპარტავნება, მაგალითად:

*to turn one's nose up at something*

*ცხვირს სწევს, ცხვირაწეული დადის*

**პირი/mouth** ორივე ენაში ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ძირითადად უკავშირდება ლაპარაკს, საუბარს,

მაგალითად: *to keep one's mouth shut*

*პირში წყალი აქვს დაგუბებული, პირი წყლით აქვს სახსე;*

*to open one's big mouth*

*პირი მოაღო (გააღო)*

ქართულ ენაში სიტყვა „პირი“ ზოგ შემთხვევაში გამოიყენება მნიშვნელობით „სახე“ და შესაბამისად, ამ სემანტიკური მნიშვნელობითაც წარმოქმნის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ემოციის გამოხატვას უკავშირდებიან, მაგალითად: პირი უცინის, პირზე ღიმილი აქვს (უთამაშებს), ასეთივე სემანტიკური დატვირთვა აქვს, სიტყვას – პირი, ინგლისურ ენაში. მაგალითად: *one's face falls* – სახე ჩამოსტირის, ცხვირ-პირი ჩამოსტირის. ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ სომატოზმი - პირი ორივე ენაში აღიქმება, როგორც – სახე.

**კბილები/teeth** – აგრესიული და დამცავი ძალის სიმბოლოა.

მაგალითად: *to show one's teeth*

*კბილი დაახო (ვიხმეს)*

*an eye for an eye, a tooth for a tooth*

*თვალი თვალის წილ, კბილი-კბილის წილ*

*armed to the teeth*

კბილებამდე შეიარაღებული

*to draw smb's teeth*

კბილებს ამოგადრობ

*tooth and nail*

რაც ძალი და ღონე აქვს

*to take the bit between one's teeth*

კბილებში გასცრა

**ყურები/ears** - ისევე როგორც თვალი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც ინფორმაციას აღიქვამს, ისინიც ინფორმაციის მიღებასა და შეცნობას ემსახურებიან, ამიტომ ფრაზეოლოგიაში ერთეულები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ეს კომპონენტი, უმეტესად გამოსატყვევ ცნობისა და მოსმენის უნარს. მაგალითად:

*to prick up one's ears* - ყურების დაცქვეტა

*to be all ears* - ყურის გდება (სმენად ქცევა)

*not play by ears* - ყური(ც) არ ათხოვა; ყურიც არ გააბარტყუნა.

*in one ear and out at the other* - ერთ ყურში შეუშვა, მეორეში გამოუშვა.

ამავდროულად ყურები წარმოადგენენ ერთგვარი საზღვრის სიმბოლოს, მაგალითად: *to be over head and ears in love*

ყურებამდეა შეყვარებული

*to be up to the ear in work*

ყურებამდეა ჩაფლული საქმეში.

*To burn one's ears*

ყურებამდე გაწითლდა

ქართულ ენაში ამ მნიშვნელობით ხშირად გამოიყენება სომატიზმები „ყელი“, „კისერი“: ყელამდე საქმეშია, ყელში ამომივიდა.

**ენა/tongue** - წარმოადგენს ურთიერთობის, ინფორმაციის გადაცემის სიმბოლოს – ეს მისი ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობაა.

მაგალითად: *to lost one's tongue*

ენა გადაყლაპა

*the word is on the tip of one's tongue*

## ენის წვერზე ადგას

ხშირად ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ენა გამოდის იმ ორგანოს როლში, რომელშიც „დამნაშავეა“ ზედმეტ ლაპარაკში, ჭორიკნობაში, რომელიც ზიანს აყენებს სხვასაც და საკუთარ თავსაც. მაგალითად:

*to lose one's tongue-wag one's tongue to*

*ენას ვერ აჩერებს, ენას იფხანს*

*to hold one's tongue*

*ენას კბილი დააჭირა*

*a fool's tongue runs before his wit*

*ენა უსწრებს; ენა მისი მტერია;*

*his tongue is too long for his teeth*

*მას ძალიან გრძელი ენა აქვს*

*to have too much tongue*

*ენაზე არაფერი დაამაგრდება (რაც ენაზე მოადგება იმას ამბობს)*

*to wag one's tongue*

*ენის ტარტარი*

**გული/heart** – წარმოადგენს გრძნობების, ემოციების, განწყობის სიმბოლოს.

მაგალითად: გულწრფელობის - *from the bottom of one's heart*

*მთელი გულით*

*with all one's heart*

*სულითა და გულით*

ტკივილის, ჯავრის - *one's heart is bleed for smb.*

*გული უკვდება*

*to eat one's heart out*

*გულს უჭამს, გულს უკლავს*

მოწონების, მოხიბვლის – *to win one's heart*

*ვისიმე გულის მოგება*

*To obtain smb's heart*

*ვინმეს გულის დაპყრობა*

განცდის - *to take something to heart*

*გულთან ახლოს მიაქვს*

*to touch smb's heart*

*გული აუჩუყა, გული აუტოკა*

სიყვარულის - *to open one's heart*

*გული გაუხსნა, გული გადაუშალა*

*to break one's heart*

*გული მოუკლა; გული გაუტეხა*

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში სიტყვა „გული“ გაცილებით მეტი რაოდენობის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფიქსირდება, ვიდრე ინგლისურში...

**ხელი/hand** პრაქტიკულად უნივერსალურ როლს ასრულებს: ეს სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, რომელთა შორისაც ყველაზე ხშირია შემდეგი: ურთიერთობა, ოსტატობა, საქმიანობა, გაცვლა. განსაკუთრებით ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შეიცავენ მოცემულ სომატიზმებს და გამოსატყვევ მნიშვნელობას ვინმესთვის რაიმეს გამორთმევა, მიღება; „პოვნა“ მაგალითად: *to take something in hand/lay hands on*

*ხელში ჩაიგდო (მოიგდო)*

*to hold well in hand*

*ხელში აქვს (პყავს)*

*to take oneself in hand*

*თავი ხელში აიყვანა*

*hands off!*

*ხელები შორს!*

*to fall get into somebody's hands*

*ხელში ჩაუვარდა (ვინმეს)*

*to lay violent hands on*

*ძალით ხელში ჩავდება*

საქმიანობის, მოქმედების მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფრაზეოლოგიზმებს, მაგალითად:

*to give a free hand*

*ხელები გაუხსნა; ხელები გახსნილი აქვს*

*to be tired/ bound hand and foot*

*ხელ-ფეხი (ხელები) შეკრული აქვს*

*to be hand in glove with smb.*

*ერთ საქმეზე უკიდიათ ხელი (ერთ საქმეში არიან)*  
ოსტატობის მნიშვნელობით ამ სომატიზმების შემცველი ფრაზეოლოგიზმები დამახასიათებელია ქართული ენისათვის:

*ოქროს ხელები აქვს;*  
*ხელებდაკაპიწებული მუშაობს;*  
*ყველაფერი გამოსდის ხელიდან;*  
*ხელი შეაგლო.*

ურთიერთობისა და გაცვლის მნიშვნელობას ავითარებენ ფრაზეოლოგიზმები, მაგალითად: *change-hands*

*ხელიდან ხელში გადადის*  
*at first/second hand*  
*პირველი ხელია, მეორე ხელია (ყიდვის დროს).*

ხელები აღნიშნავს აგრეთვე განზრახვის მატერიალურ განხორციელებას, მაგალითად: *to seek somebody's hand in marriage*

*ხელი თხოვა*  
*to wash one's hands of*  
*ხელები დამიბანია*

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მარჯვენა და მარცხენა ხელების დაპირისპირება, მაგალითად:

*not to let one's left hand what one's right hand does*  
*მარცხენა ხელმა არ იცის, თუ რას აკეთებს მარჯვენა;*  
*smb's right hand*  
*ვისიმე მარჯვენა ხელია*

**„ფეხი“/foot** - ქართულ ენაში ქვედა კიდურის აღმნიშვნელი ძირითადი სიტყვაა, ხოლო ინგლისურ ენაში ქვედა კიდური ორ ზონად იყოფა, რომელთა აღსანიშნად, შესაბამისად, ორ სიტყვას იყენებენ: *leg* (ზედა ნაწილი)

მაგალითად: *to run/walk/smb. off his legs* – *ფეხები უკან რჩება*  
*to get a leg in* – *ერთი ფეხით მოვეუსწარ*  
*to fall on one's legs* – *ვინმეს ფეხქვეშ გართხმა; გაგება*  
*to be/run off one's legs* – *ფეხის შეშლა*

*to lose one's legs – ფეხების წართმევა*

და *foot* (ქვედა ნაწილი, ტერფი)

მაგალითად: *have got one foot in the grave - ცალი ფეხი სამარეში აქვს*

*drag one's feet - ფეხის ათრევა*

*have got both feet on the ground - ფეხი მოიკიდა*

*step off on the wrong foot - მარცხნება ფეხზე (ავდექი) ამდგარა*

*put the right foot - მარჯვენა ფეხი შემოდგი*

სიტყვა „ფეხი“ სიმბოლურად აღნიშნავს მოძრაობას, სინქარეს. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (ინგლისურ ენაში) ეს სომატიზმი ხშირად უპირისპირდება თავს და მისთვის დამახასითებელ მნიშვნელობას – მენტალურ საწყისს, როგორც მოქმედი და მექანიკური ორგანო – გონიერს:

*Little wit in the head makes much work for the feet.*

უტვინო თავმა ფეხებს ჯაფა დაატანა.

სომატიზმები გამოხატავენ სიმტკიცის ან მერყეობის მნიშვნელობას (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) და საკუთარ თავში დარწმუნებულობას: *to stand on one's own two feet*;

ორივე ფეხით მყარად დგას

*to get back on one's feet*;

ფეხზე წამოდგა (გამოკეთება საქმეების)

*to cut the ground from under one's feet*

ფეხქვეშიდან მიწის გამოცლა

*to be with one foot in the grave*

ცალი ფეხი სამარეში აქვს

მარჯვენა და მარცხენა ფეხის (ისევე როგორც ხელის) დაპირისპირება აღინიშნება ორივე ენაში, მაგალითად:

*to put the right foot*

*მარჯვენა ფეხი შემოდგი*

რაც ამ შემთხვევაში წარმატების მომასწავებელია ხოლო,

*to step off on the wrong foot*



მარცხენა ფეხზე ამდგარა.

„მარცხენა“ ამ შემთხვევაში ნიშნავს რაღაც არასწორს, უიღბლოს.

კომპონენტი **მუხლი/knee** ხშირად წარმოადგენს დამცირების, დამორჩილების, მონობის, სიმხდალის სიმბოლოს.

მაგალითად: *to bring somebody to his knees*

*მუხლებზე დააყენა (დაახოქა)*

*to drop on one's knees*

*მუხლებში ჩავარდნა*

*to bend the knees to somebody*

*მუხლის მოდრეკა*

სომატიზმებისთვის დამახასიათებელია გადატანით მნიშვნელობათა რთული სისტემა. სომატიზმების პოლისემიის პრობლემა მრავალი ნაშრომის საკვლევე ობიექტს წარმოადგენს. ჩვენს მიერ შესწავლილი ფრაზეოლოგიზმების ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ გადატანითი მნიშვნელობის წარმოქმნის საფუძველს ხშირად წარმოადგენს ორივე ენაში ნიშან-თვისებათა შედარება.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად ენის მეშვეობით კულტურის შესწავლა იქცა. ლ. ელმსლევი აღნიშნავს: “ენა, როგორც ნიშანთა სისტემა და მყარი წარმონაქმნი, წარმოადგენს ადამიანის გონიერ და ფსიქიკურ ბუნებაში ჩაწვდომის გასაღებს. ენა, როგორც ზეინდივიდუალური სოციალური ინსტიტუტი, ერის ხასიათს წარმოაჩენს”. (Елмслев 1960, 132). ამიტომ ლინგვოკულტუროლოგიაში ენა განხილულია კულტურასთან, ადამიანის აზროვნებასთან, ფსიქიკასთან და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში. ენისა და კულტურის ურთიერთ მიმართებას უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ადამიანი – თავისი მენტალობით, ემოციებით, რომელიც მუდმივად არის ფსიქოლოგთა შესწავლის საგანი. ადამიანი, რომელიც უკვე ფლობს ძირითად სააზროვნო პროცესებს, ნებისმიერი ახალი ენის შესწავლისას აზრის გამოთქმას მხოლოდ სხვა საშუალებებს, სიტყვებს იდიომატურ გამოთქმებს ეუფლება. ადამიანის კონცეპტუალური მნიშვნელობა მრავალმხრივია და ბევრ ასპექტს მოიცავს: ემოციას, მოტივაციას, განცდებს. აქედან გამომდინარე, ლინგვოკულტუროლოგიის ფსიქოლოგიურ ასპექტში განხილვა მეტად მნიშვნელოვანია. სომატური იდიომების ლექსიკის სემანტიკის კვლევა მისი ფსიქოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით ძალზედ საინტერესოა. ამრიგად,

ინგლისური და ქართული მეტყველების იდიომატიკის შესწავლისას გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი, ვინაიდან სომატური იდიომატური გამოთქმების გააზრებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიის მონაცემთა გათვალისწინებას, რადგანაც ამ ფაქტორთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ძალზედ ბუნდოვანი ხდება იდიომატური გამოთქმა და ხშირად გაუგებარია თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაა იდიომატური გამოთქმის შემადგენელ კომპონენტებს შორის.

უპირველეს ყოვლისა, პრიორიტეტი ენიჭება ემოციას, რომელიც ლინგვისტური მეთოდების საშუალებით შეიძლება განხილული იქნეს ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ დონეზე, რომელშიც წინა პლანზე წამოწეულია ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, კულტურა.

ემოცია - ფრანგული სიტყვაა *emotion* – ვაღელვებ, რომელიც ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, გარე სინამდვილესა და თავის თავისადმი ინდივიდის დამოკიდებულების განცდაა. ემოციას მჭიდრო კავშირი აქვს გამომსახველ მოძრაობებთან. მათ გარეშე არ არსებობს სამყარო და თვით ადამიანი ამ სამყაროში. ემოციებია: შიში, რისხვა, სიხარული, სიყვარული, დარდი, სევდა, სიბრაზე და სხვ. თითოეული ემოცია ადამიანის შინაგან დამოკიდებულებას გამოხატავს ამა თუ იმ ობიექტის მიმართ – ანუ როგორ აღვიქვამთ და შევიმეცნებთ. აქ უკვე ჩვენ საქმე გვაქვს ემოციის კოგნიტურ მიდგომასთან, რომელიც პირველად ლეიკოფისა და ჯონსონის შრომებში გამოჩნდა (Lacoff and Johnson 1980) ისინი აღნიშნავენ, რომ ადამიანის ეს ფსიქიკური მოვლენები, თითოეული ერის კულტურის გათვალისწინებით, კონცეპტურ სტრუქტურაში არიან გაერთიანებული, სადაც თითოეული ემოცია თითოეული ენის შესაბამისი იდიომებით გადმოიცემა.

ინგლისური და ქართული ენების სომატური იდიომების შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ენაში ერთი და იმავე ემოცია უმრავლეს შემთხვევაში ერთი და იგივე სომატური კომპონენტით არის გადმოცემული.

განვიხილოთ ემოციათა რამოდენიმე ტიპი და მათი გამომსახველი სომატური იდიომები.

## სიყვარული

„სიყვარული რთული ფსიქიკური მდგომარეობაა. მისთვის დამახასიათებელია:

1. გრძნობების, აზრებისა და მოქმედების აკვიტებული კონცენტრირება სიყვარულის ობიექტზე იმ ზომით, რომ ეს ხშირად სხვა საზრუნავის უგულვებელყოფას იწვევს.

2. უკიდურესი სუბიექტურობა რის გამოც აღიქმება უპირატესად სიყვარულის ობიექტის დადებითი თვისებები, უარყოფითი კი იჩქმალება ნეიტრალიზდება და პოზიტიურადაც კი ფასდება.

3. ეიფორიული ან ამადლებული გუნება – განწყობილება

4. სექსუალური ლტოლვა სიყვარულის ობიექტის მიმართ” (იმედაძე 2007; 223)

**To have get smb. in one’s bones**

ჭკუას კარგავს მისთვის

**Lose one’s head**

თავგზის აბნევა, თავის დაკარგვა

**Put/lay one’s head on the block**

თავს დაედებ შენთვის

**Head over heels in love with**

თავდავიწყებით შეყვარება

**Have one’s heart set on smb.**

თვალი დაადგა ვინმეს

**Have the heart**

გული შეუვარდა ვინმეზე

**Gain smb’s heart**

ვინმეს გულის მოპოვება

**Obtain smb' heart**

ვინმეს გულის დაპყრობა

**Dear to smb' heart**

ვინმეს გულის ვარდი

**One's heart bleed for smb.**

გული უკვდება ვინმეზე

**To fall on one's legs**

ვინმეს ფეხქვეშ გართხმა

**Lose one's own mind on smb.**

ჭკუა შეკეტება

**Enter smb's mind**

გონების არევა

## **სიხარული**

ადამიანში ეს ემოცია მეტად დადებით ზეგავლენას ახდენს. როცა პიროვნება გახარებულია იგი გარეგნულად გამოხატავს ამ ემოციას. მაგალითად: ვიღიმით, გულის ფეთქვა გვიძლიერდება, თვალები გვიბრწყინავს, ანუ ეს გამოხატულება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ამუღავნებს ადამიანის შინაგან მდგომარეობას.

**To make one's blood turn**

სისხლის აჩქროლება

**Move smb's hear**

გულის აძგერება

**Touch smb's heart**

გული აუტოკა

**Gladden smb's heart**

გულის გახარება

**Jump out of one's skin**

სიხარულისგან ფეხზე არა დგას

## შიში

შიშის ემოცია ადამიანში სხვადასხვა ფიზიკურ სისუსტეს იწვევს და მათი ზეგავლენით მისი ქცევა წარუმატებელი რჩება. მაგალითად: მუხლები ეკვეთება და ეცემა, შეშდება, ხმას ვერ იღებს, მუნჯდება.

**To make smb's hair stand on end**

თმის ყალყზე დადგომა

**It makes one's blood run cold**

ძარღვებში სისხლი გაყინა

**It breaks my heart**

გული მისკდება

**To have one's heart in one's boots**

გული წინდებში ჩამივარდა

**To have one's in one's mouth**

ენის ჩავარდნა

**To show a clean pair of heels**

მოქუსვლა, გაქუსვლა

**To drag one's heels**

ქუსლები უკან რჩებოდათ

**Be felt his knees give**

მუხლის მოკვეთა, მუხლის მოჭრა

**To run/walk smb. off his legs**

ფეხები უკან რჩება

**To lose one's legs**

ფეხების წართმევა

**To lose one's tongue**

ენის წართმევა

## სიბრაზე

სიბრაზე ნებისმიერი ეროვნების ადამიანის ბუნებრივი ემოციაა, რომელიც პირველ რიგში, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედებს და შეიძლება სხვადასხვაგვარი გამომხატველობითი (ექსპესიული) გამოვლინებებიც ჰქონდეს. ინგლისურ და ქართულ ენებში გვხვდება აბსოლუტურად მსგავსი სომატური იდიომები, რომლებიც ერთნაირი ფორმითა და შინაარსით გამოხატავენ ადამიანის მდგომარეობის ამ ემოციას.

**To get smb's blood up**

სისხლის ტვინში ავარდნა

**It makes one's blood boil**

გულის (სისხლის) ადუღება

**Rush blood into one's cheeks**

სისხლის ყელში ავარდნა

**Have no blood in veins**

სისხლის გაშრობა

**To speel blood**

სისხლის დაღვრა

**Go purple in the face**

სახეზე ალმური ასდის

**To click one's heels**

ქუსლის დაბაკუნება

**Go on one's nerves**

ნერვებზე თამაშობს

**Set one's nerves on edge**

ნერვებზე მშლის

**Have a lump in one's throat**

ყელში მოწოლა

**Stick in one's throat**

ყელში გაჩხერა

**Grashing of teeth**

კბილების ღრეჭა, კრაჭუნი

## **რისხვა**

ეს ემოცია ადამიანის ძლიერი ემოციაა. იგი ადამიანის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ვეღარ ხერხდება საკუთარი თავის კონტროლი და მისი

ქცევა არაორგანიზებულია. განრისხებული ადამიანი თმებს იგლეჯს, ცოფდება, თვალებიდან ცეცხლს აკვებს.

**A mischievous twinkle in the eyes**

თვალებიდან ცეცხლს აკვებს

**Have a bone to pick**

ხორცის გლეჯა

**Tear one's hair**

თმათა გლეჯა

**A fit of nerves**

ნერვული შეტევა (გაცოფება)

**ღარღი**

ეს ემოცია ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს, მას თან ახლავს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი გამოვლინებები

**To keep one's ears close to the ground**

ყურების ჩამოყრა

**have a long face**

სახის მოღუშვა

**a poker face**

წაშლილი სახე



**one's face falls**

სახე ჩამოსტირის

**to cry one's heart out**

ტირილით გულის მოხება

**with a heavy heart**

დამძიმებული გულით

**lie at smb's heart**

გულზე დაწოლა

**to hip one's nose**

ცხვირის ჩამოშვება

**to dry up one's tears**

ცრემლის შეშრობა

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ინგლისური და ქართული ენის ფრაზეოლოგიზმებში გამოიყენება სომატიზმები და ვლინდება უამრავ ენობრივ უნივერსალიათა, ანუ ისეთ ენობრივ მოვლენათა არსებობა, რომლებიც მსოფლიოს ყველა ან უმეტესი ენისთვის არის დამახასიათებელი. ენაში, ისევე როგორც ზოგადად ბუნებაში, არსებობს შინაგანი წესრიგი, მოწყობა, რომელიც შემეცნებადია. მაგრამ იმისთვის, რომ მოხდეს რაიმე საგნის, მოვლენის სიღრმისეული და გააზრებული შემეცნება, საჭიროა მისი შედარება სხვა საგნებსა თუ მოვლენებთან.

## 2.3 ნომინაცია – როგორც სომატური იდიომების გამოვლენის

### ერთ – ერთი მოდელი

სომატური იდიომების კვლევა მჭიდროდ უკავშირდება ნომინაციის საკითხს, კერძოდ კი იმის შესწავლას, თუ ცნებები როგორ იძენენ თავიანთ სახელებს. სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს. ყოველი ენა საგანთა სინამდვილის თავისებურ კლასიფიკაციას ახდენს. ამა თუ იმ ენის მატარებელ ადამიანებს განსხვავებული მსოფლმხედველობა, ფსიქოლოგია და სამყაროს განსხვავებული აღქმა ახასიათებთ. სამყარო ერთია ყველასათვის, მაგრამ ხალხის მიერ ამ სამყაროს აღქმა და შემეცნება განსხვავებულია და ეს თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, ენაში აისახება, როგორც ერის შემოქმედების პროდუქტში, რადგან ენა თავისთავად ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის დაფიქსირებაა და არა მარტო დაფიქსირება, არამედ თვით ენის საშუალებით ხდება სამყაროს აღქმა, რადგან თითოეული ერი მისივე ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობს (ჰუმბოლდტი).

ნომინაციას, რომელიც ენათმეცნიერებაში იყო და რჩება ერთ-ერთ მარად აქტუალურ პრობლემად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედი კანონზომიერებების გამოსავლენად. მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს იდიომის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებთან.

ნომინაციის ბუნებისა და თვისებების კვლევა, ე.ი. იმის შესწავლა, თუ ცნებები როგორ იძენენ თავიანთ სახელებს, აქტუალურად წარმოებდა და წარმოებს ენათმეცნიერებაში. (ა.ციუნეი, ი.ვახეკი, ვ.გაკი, ა.უფიმცევა, ვ.მარტინოვა, ნ.დმიტრიევა, ს.კარცევსკი და სხვანი)

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია იმიტომ, რომ კვლევის პროცესში ნათელი ეფინება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა კავშირი სიტყვასა და საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებას შორის, კავშირი სიტყვასა და ადამიანის ფსიქოლოგიას შორის. ენაში მათი დამკვიდრება და

სიცოცხლისუნარიანობა მთლიანად განისაზღვრება ენის სტრუქტურით, მატერიალური სამყაროს პირობებით, ერის საერთო ფსიქოლოგიით.

ვგაკი ნომინაციის აქტში შემდეგ მხარეებს გამოყოფს: წყარო, გარეგნული სტრუქტურა, შინაგანი ფორმა და ნომინაციის საშუალება.

ნომინაციის წყაროს მიხედვით ენებში დასტურდება შემდეგი შემთხვევები: მზა ერთეულის გამოყენება (სიტყვათა ხმარება მნიშვნელობებით), ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნა – სესხება მეორე ენიდან. გარეგნული სტრუქტურის მიხედვით ნომინაციაში უნდა განვასხვაოთ მარტივი სიტყვები, წარმოებული სიტყვები, რთული სიტყვები და სიტყვათა კავშირები. სიტყვის შინაგან ფორმად ითვლება ის ნიშანი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ სიტყვის მნიშვნელობას.

კლასიფიკაციის მეოთხე ჯგუფი ითვალისწინებს სახელისა და აღსანიშნის საერთო ხასიათს. ენის ფაქტების შესწავლისას ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ იმაში, რომ მიუხედავად სიტყვის ფორმალური და შინაარსობრივი მხარეების მყარი ერთიანობისა, მაინც არ არსებობს მათ შორის სრული პარარელიზმი, ე.წ. შესაბამისობა ერთისა მეორის მიმართ. ენობრივი ნიშნისა და მისსავე გამოსატულ შინაარსობრივ ოდენობას შორის დარღვეული პარარელიზმი ენათმეცნიერებაში ფორმულირებული იყო, როგორც ლინგვისტური ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით აღმნიშვნელი მიისწრაფვის, რომ გარდა თავისი ფუნქციის, ჰქონდეს სხვაც, აღსანიშნი კი იმისკენ მიიღტვის, რომ გარდა საკუთარი ნიშნისა, გამოსატული იქნეს სხვა საშუალებითაც.

საერთოდ, ნომინაციას ენათმეცნიერები ორი კუთხით, ორი თვალსაზრისით განიხილავენ. განასხვავებენ ნომინაციის ორ სახეს - პირველადსა და მეორადს.

მეორადი ნომინაცია სომატური იდიომების გამოვლენის ერთ-ერთ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. იგი განიხილავს პირველადის შედეგად მიღებული სიტყვისაგან თუ როგორ ხდება ახალი ელემენტების მიღება.

მეორადი ნომინაციის რამოდენიმე სახეს განასხვავებენ. ძირითადად გამოყოფენ ოთხ ტიპს: აღწერითს, კომპოზიტს, სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსებით წარმოებულსა და მეტაფორულს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი: აღწერითის შემთხვევაში ხდება რაიმე მოვლენის აღწერა, ან ეს სიტყვა თავად შეიცავს აღწერას. ამ შემთხვევაში

პირველადი ნომინაციის შედეგად მიღებული სიტყვა თავად ხდება ნაწილი ამ ახალი სიტყვისა.

მაგალითად ქართულ ენაში:

*გაძვალტყავებული, ფესშიშველი, თავშიშველი,  
თავქუდმოქტლეჯილი, ფერღალეწილი,  
თვალდახუჭული, პირღია, ენა გადმოვდებული,*

ასევე მოიპოვება მაგალითები ინგლისურ ენაში:

*doubled-faced, green-eyed; left-handed, mealy-  
mouthed, face-lifting, heavy-heart, long-leg და სხვ.*

მეორე ტიპის, ეს არის კომპოზიტი, ანუ სიტყვები, რომლებიც ორი ან ორზე მეტი ერთეულებისაგან შედგება.

მაგალითად: *ყელ-ყური, ხელ-ფეხი, ტუჩ-კბილი, მხარ-ბეჭი, თვალ-წარბი*  
ინგლისურში - *cut-throat, nose-picking, red-handed.*

რა თქმა უნდა, ცალკე აღებული ეს კომპოზიტები იდიომად არ მიიჩნევა, ვინაიდან ამ კომპოზიტებში შემავალ სიტყვებს აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ხოლო მათი გამოყენება იდიომებში სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაზე მიგვანიშნებს, რამდენადაც იდიომის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი კომპონენტების (ე.ი. შემადგენელი სიტყვების) მნიშვნელობათა ჯამიდან ანუ არ არის კომპოზიტური, მაგალითად:

*თავ-პირის მტვრევა, თავ-პირის გაერთიანება,  
ცხვირ-პირის მტვრევა, ხელ-ფეხის შეკვრა,  
ხელ-ფეხის შებოჭვა, ხელ-ფეხის გახსნა,  
თვალ-წარბის შეკვრა, თვალ-წარბის გახსნა,  
ცხვირ-პირის შელამაზება, მხარ-ბეჭის ჩამოყრა,  
მხარ-ბეჭის აჩეჩვა, სისხლ-ხორცში გაჯდომა,*

ინგლისურში: *cost someone an arm and a leg, bound/tied hand and foot,*

*live (from) hand to mouth, wait on someone hand and foot,*

*to have a good head on one's shoulders, head and shoulders above someone,*

*by the skin of one's teeth, see eye to eye, face to face.*

ამ გამოთქმებში კომპონენტთა მნიშვნელობა შთანთქმულია იდიომის საერთო შინაარსით, ცალკეულ სიტყვას დაკარგული აქვს სემანტიკური თავისთავადობა და განუყოფელი ლექსიკური ერთეულის როლში გვევლინება.

ინგლისური და ქართული სომატური იდომების შეპირისპირებითი კლვევისას აღმოჩნდა, რომ ქართული სომატური იდომების ბოლო კომპონენტი ძირითადად არის ზმნა და მიიღება კომპოზიტები, რომლებშიც ზმნური ელემენტი შენარჩუნებულია და სახეზე გვაქვს გაქვავებული კომპოზიტები, რომლებიც ენაში არსებობენ იმ იდომების გვერდით, რომელთაგანაც ისინი წარმოიქმნა. მაგალითად,

- თავბრუს დახვევა - თავბრუდამხვევი*
- თავის შეკაება - თავშეკაებული*
- გულის აჩუყება - გულაჩუყებული*
- ფეხის მოკიდება - ფეხმოკიდებული*
- ენის ჩაგდება - ენაჩაგდებული*
- კისრის მოგრეხა - კისერმოგრეხილი*
- ყელის მოღერება - ყელმოღერებული*
- სისხლის ღვრა - სისხშლისმღვრელი*
- წელში გამართვა - წელგამართული*
- მუხლის მოდრეკა - მუხლმოდრეკილი.*

ინგლისურ ენაში მოიძებნება ისეთი გაქვავებული კომპოზიტები, რომლებიც იდიომისაგან არის მიღებული, მაგალითად:

- 1. want someone's blood - სისხლი სწყურია*  
ამ იდიომისგან მიღებულია გაქვავებული კომპოზიტი  
*blood thirsty - სისხლმოწყურებული*
- 2. break somebody's heart - გული გაუტეხა, გული მოუკლა.*  
*broken hearted - გულმოკლული*
- 3. with a heavy heart - დამძიმებული გულით*  
*heavy - hearted - გულდამძიმებული*
- 4. to bend the knees to somebody - მუხლის მოდრეკა*  
*knee-bent - მუხლმოდრეკილი*

ინგლისური და ქართული სომატური იდომების შეპირისპირებისას აღმოჩნდა, რომ არის შემთხვევები, უმეტესად ქართულ ენაში, როდესაც სომატური იდიომი გაქრა, ხოლო მისგან მიღებული კომპოზიტი მყარად დამკვიდრდა ენაში. მაგალითად,

- პირშიჩალაგამოვლებული*
- ენაწავარდნილი*

ჭკუადაფანტული  
გულხათხრობილი

სოლო მათი წარმომქმნელი სომატური იდიომები უკვე დაიკარგა და არ გვაქვს. მაგალითად:

- \* პირში ხალა გამოავლეს<sup>2</sup>
- \* ენა ხავარდა//ენა წაუვარდა
- \* ჭკუა დაეფანტა
- \* გულის ხათხრობა

მესამე ტიპის არის სიტყვები ნაწარმოები სიტყვათმწარმოებელი სუფიქსების მეშვეობით. მაგალითად: პირველადი ნომინაციის შედეგად მიღებული სიტყვიდან - „სისხლი“ წარმოიქმნა სიტყვა „სისხლიანი“, უღვაში - „უღვაშიანი“, ტანი - „ტანადი“, ცრემლი - „აცრემლებული“ სული „უსულგულო“. ამის მაგალითები აგრეთვე საკმაოდ მრავლად მოგვეპოვება ინგლისურ ენაშიც.

- მაგალითად: **blood** - *bloody, bloodless,*  
**soul** - *soulful, soulless,*  
**tear** - *tearful, tearless,*  
**head** - *headless, heady,*  
**heart** - *heartless, heartness, hearty,*

მაგრამ ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პირველადი ნომინაციის შედეგად მიღებული სიტყვებიდან წარმოქმნილ ყველა ამ სიტყვას სემანტიკური თავისთავადობა გააჩნია და ცალკეული სემანტიკური დატვირთვა აქვს, თუმცა უამრავი მათგანი მთელ რიგ სომატურ იდიომებში გვევლინება.

- მაგალითად: *გულიანი ადამიანი, უგულო პიროვნება, ერთი მუჭა ხალხი, უპირო ადამიანი.*

ინგლისურ ენაში:

*be quite a handful, be (quite) a tongueless, be bloody;*

მესამე ტიპის ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირველადი ნომინაციის შედეგად მიღებული სიტყვები მრავლად გვხვდება სომატურ იდიომებში.

- მაგალითად: *სისხლი და ხორცი*  
*სული და გული*  
*ძვალი და ტყავი*

<sup>2</sup> სიმბოლო \* გამოიყენება ისეთი იდიომების აღსანიშნავად, რომლებიც თანამედროვე ენაში აღარ გამოიყენება.

*კბილებით და ფრჩხილებით*

*თვალი და ყური*

ინგლისურში: *fresh and blood ,heart and soul, skin and bone, to be in somebody's skin, to change one's skin, to jump out of one's skin, to save one's skin, to have no soul, to make one's blood boil, to make one's blood run cold, to stir blood, be one's blood up, be one's blood warm,scalding tears, crocodile tears,to burst into tears, bite one's tongue off, hold one's tongue, a slip of the tongue, fight tooth an nall, armed to the teeth, lie through one's teeth,break ones' neck, pull someone's leg, keep one's nose clean, pay through the nose,to pick up one's heart, after one's heart, to have the heart to do something, to lose heart, next one's heart*

მეოთხე ტიპი, ეს არის მეტაფორული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც იდიომატურ გამოთქმებს თავისებურ ესთეტიურ ელფერს მატებს. მეტაფორა არის აზროვნების ფორმა, რომელიც ვლინდება ყველგან. კერძოდ, ენაში ხელოვნებაში, სადაც არსებობს ნიშანთა სისტემა. მეტაფორაც თავისთავად ნიშანია. განსხვავება ჩვეულებრივ ნიშანსა და მეტაფორულ ნიშანს შორის ისაა, რომ ჩვეულებრივ ნიშანს აქვს ერთი აღმნიშვნელი და ერთი აღსანიშნი, ხოლო მეტაფორას აქვს ორი აღსანიშნი და ერთი აღმნიშვნელი.

ბერძნული განსაზღვრის თანახმად, ეს არის მხატვრული ეფექტის მომხდენი ფიგურა შექმნილი მნიშვნელობების გადატანით აშკარად ნახსენებიდან ნაგულისხმევზე, ანუ არის ერთ მოვლენაზე მითითება და მეორის გულისხმობა. თანამედროვე დაზუსტებით ესაა მნიშვნელობის „გადანაცვლება“ თანაარსებობა ერთ აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობისა - „პირდაპირისა“ და „გადატანითის“, „ცენტრალურის“ და „გვერდითის“ (ლ.ბლუნფილდი) მნიშვნელობის „აგორება“, „გახლეჩა“ „სემანტიკური პარალელიზმი“ (რ.იაკობსონი)

მეტაფორა არის სემანტიკური პარალელიზმის შემცველი ფორმა, ეს კი იმას ნიშნავს რომ ამბობ ერთს და გულისხმობ მეორეს, მაგრამ ნახსენებსაც ხედავ. სემანტიკური პარარელიზმის განხორციელება ანუ, მეტაფორის გაჩენა, შეიძლება მოხდეს, როცა ამ სემანტიკური პარარელიზმის შემადგენელ ორივე მნიშვნელობას შორის, ორივე მოვლენის აღმნიშვნელს შორის არსებობს, რაღაც საერთო ნიშანი სემა - მნიშვნელობის მცირე ელემენტი, რომელიც შეესადაგება

თვით მოვლენის ნიშნებს. ესთეტიკური ზემოქმედება მეტაფორის დროს უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში.

მაგალითად: „ერთი მუჭა ხალხი“ - ამ იდიომატურ გამონათქვამს მეტაფორის ესთეტიკური ზემოქმედება აშკარად ეტყობა. იდიომატურ გამონათქვამში იგულისხმება „ცოტა ხალხი“, საერთო ნიშანი: „ცოტა ხალხი“, ჰქონდა თავისუფალი ნიშნები - ქუჩასთან, სოფელთან... დაკავშირებული, რომელიც აღარ შერჩა, რადგან ეს თავისუფალი ნიშნები არ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო შემაკავშირებელი ნიშნები ძალიან ცხადად (ობიექტურობის მაღალი ხარისხით) ახასიათებდა მეორე (გადატანით მნიშვნელობას), ეს საერთო კანონზომიერებად გვესახება. ცხადია, ობიექტურად მახასიათებელი ნიშანი მკვეთრად შემოდის ჩვენს ცნობიერებაში და თავისუფალ ნიშნებს, განსაკუთრებით უმნიშვნელო თავისუფალ ნიშნებს ჩრდილავს და უფრო მეტიც, თანდათან თავისუფალი ნიშნების განდევნის პროცესი მიმდინარეობს და შემდეგ სრულიად ქრება. ამგვარად, საბოლოოდ გვრჩება მყარი იდიომატური გამონათქვამი, რომელიც მეტაფორული ელფერით ხასიათდება. ასევე მყარი იდიომატური გამონათქვამი – *ვინმეს გულის ვარდი* მეტაფორულ ხასიათს იძენს. ეს აშკარად მნიშვნელობის გაორების შემცველი იდიომატური გამონათქვამია. მისი მნიშვნელობა წარმოადგენს ნიშანთა (შინაარსთა) კომპლექსს, რომლებიც ახასიათებს მოვლენას რეალურად, რომ ვარდი ყვავილია და ადამიანთა მიერ აღიარებულია, რომ იგი ღამაზია. ასეთი ნიშნები ობიექტურია, მაგრამ ამავე დროს ასეთი ნიშნები, შეიძლება აღიქმებოდეს ცალკეული სუბიექტის მიერ, როგორც ნებისმიერი, მაქსიმალურად მოულოდნელი და ემყარებოდეს მარტო მთქმელისათვის გასაგებ ასოციაციას და მხოლოდ მისთვის იყოს ცხადი და დამაჯერებელი. ამ იდიომატური გამოთქმის მეტაფორული ხატოვანება აშკარა და თვალში საცემია. მისი ხატოვანი ხასიათი უდავოა და ამ ხატოვანების აღქმა სუბიექტურია და დიდად არის დამოკიდებული მსმენელის ან მკითხველის კულტურასა და განათლებაზე.

იდიომატურ გამონათქვამზე მეტაფორის ესთეტიკური ეფექტიანობის ინტენსივობას განსაზღვრავს თავისუფალ ნიშანთა რაოდენობა და ის, თუ რამდენად აქტიურად ეძებს მსმენელი თავისუფალ ნიშნებს, რაც თავისთავად შემაკავშირებელი ნიშნის სიცხადეზე, ანუ ობიექტური მახასიათებლობის ხარისხზეა დამოკიდებული.



მეტაფორის მექანიზმების მეშვეობით ენაში სახელდებული რეალისა და სახელის მისანიჭებელი რეალის ზოგიერთი თვისების მსგავსების საფუძველზე ხორციელდება ახალი იდეალური ობიექტის სინთეზირება. ის ახალი იდეალური ობიექტი წარმოადგენს ამ სახელის მეტაფორულად ხელახლა გააზრებულ მნიშვნელობას ახალი, ფიზიკურად აღქმადი რეალისა თუ მოვლენების დასახელების ან კიდევ გარკვეული ახალი ცნების შესაქმნელად თვით მისი მეტაფორული დასახელების მიზნით. მაგალითად, სომატური კომპონენტი „თავი“ გვხვდება შემდეგ ფრაზაში: ქალაქის თავი, ქართულ ენაში და head of government ინგლისურ ენაში, სადაც ახალმა რეალებმა მხოლოდ სახელი მიიღეს.

ვინაიდან ენა არა მარტო კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ინფორმაციის შენახვის წყაროც არის, ამიტომ ენა აფიქსირებს პრაქტიკულად ყველაფერს, რასაც ხალხის ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობა ჰქვია.

მეტაფორა არსებითად წარმოადგენს ერთგვარ მოდელს, რომელიც ენაში ასრულებს ისეთსავე ფუნქციას, როგორსაც სიტყვათწარმოებითი მოდელი. მაგრამ იგი შეფარულად მოქმედებს ენაში. მეტაფორული პროცესების ხასიათს განსაზღვრავს მისი სუბიექტის მიზანი. მეტაფორის შექმნა ორიენტირებულია არა ნომინაციაზე, არამედ იმ პრაგმატულ ეფექტზეც, რომელსაც მეტაფორა იწვევს. მეტაფორის მოდელი საკმაოდ რთულია, რადგანაც იგი ქმნის სრულიად ახალ ენობრივ ობიექტებს. მაგალითად: *სისხლის ალაზანი*

*a blood bath*

მეტაფორულ გამოთქმებში არეკლილია ხალხის ისტორიული, ეროვნული და სოციალური თავისებურებანი. ერიზელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ხალხის მეტყველება და პოეზია მეტაფორის უმდიდრესი წყაროა. ის შეიცავს ნაირნაირ სურათებს, რომლებიც ხან ხალხის პოეტურ სულს და შემოქმედებით ფანტაზიას ავლენენ, ხან მის იუმორს, კრიტიკასა და სატირის იშვიათ უნარს, ყველა ცალკეულ შემთხვევაში მის უდავო ორიგინალობას“ (ერიზელი). ხოლო ბრინკმანის მოხდენილი განმარტებით, მეტაფორები, „ადამიანის გონების ზემოთაგონების ნაყოფია, მისი შინა და გარე სამყაროს უტყუარი სურათი, მისი ცხოვრების ისტორიის მრავალი ფაქტის მონუმენტი“.

მეტაფორები გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ ფიქრსა და მისწრაფებებს, კულტურასა და ისტორიას. შუასაუკუნეების მანძილზე ხალხში შექმნილ და ჩამოყალიბებულ მეტაფორებს შესატყვისი ეკვივალენტი მოეპოვებათ სხვადასხვა ენებში. მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ეფექტი. ყოველი

მოლაპარაკე, თუკი საქმე განვითარებული ტრადიციისა და ლიტერატურის მქონე ენას შეეხება, ინტუიტურად, მაგრამ მკვეთრად არჩევს განაგონის ან წაკითხულის ემოციურ უღერადობას.

მეტაფორები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც ყველა ენაში გვხვდება. მათი ხმარება, ისე როგორც სიტყვების შერჩევა, დამოკიდებულია ინდივიდზე. აზრის გამოსატყობი ენობრივი საშუალებები და შერჩეული ლექსიკური მასალა ძირითადი პირობაა სტილის განსაზღვრისათვის. კონტექსტთან დაკავშირებული კარგად მოძებნილი სიტყვა წინადადების აზრის სიცხადესა და სიზუსტესთან ერთად სტილისტურ ელფერს და ეფექტსაც მატებს. ცალკედ იზოლირებულად აღებული, კონტექსტისაგან მოწყვეტილი სიტყვა კი მოკლებულია ყოველგვარ ეფექტსა და სილამაზეს, ამასთან ხელს უშლის აზრის აღქმასა და დამახსოვრებას.

სიტყვის ესთეტიკურ – შემეცნებითი ფუნქციის გახსნა და მისგან წარმოშობილი სტილისტური ეფექტი შემოქმედებითი პროცესია. ის გულისხმობს მკითხველის განწყობას და კულტურულ დონეს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ლინგვისტიკაში კოგნიტური მეტაფორის არსებობას, რომელიც ერების ენობრივ ცნობიერებაშია აღმოჩენილი. კერძოდ კოგნიტური მეტაფორა კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კოგნიტური მეტაფორის კონცეფციის ავტორების ჯ.ლეიკოფისა და მ.ჯონსონის აზრით, ამ ტიპის მეტაფორათა კონკრეტული შინაარსი მათი შემქმნელი კულტურის თავისებურების გამომხატველია. „მოცემული კულტურისათვის ყველაზე არსებითი ღირებულებები უშუალო კავშირშია ყველაზე არსებითი ცნებების მეტაფორულ სტრუქტურასთან ენაში” (G.Lakoff) ენაში კოგნიტური მეტაფორის არსებობა თითოეული ერის აღქმა აზროვნებისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

კოგნიტივისტების ჯ.ლეიკოფისა და მ.ჯონსონის თეორია ემყარება იმას, რომ ინგლისურ ენაში ეს მოვლენა არსებობს და მიიჩნევენ, რომ იგი ყველა ენაზე უნდა ვრცელდებოდეს. მათი აზრით, „მეტაფორა შეადგენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამარტო ენაში, არამედ აზრსა და ქმედებაშიც. ჩვენი კონცეფტუალური სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ კიდევაც ვაზროვნებთ და კიდევაც ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით (ჯ.ლეიკოფი და მ.ჯონსონი) და ადამიანებს ახასიათებთ გარემომცველი სამყაროს მოვლენათა მეტაფორული აღქმა, რაშიც აისახება ამა თუ იმ ენის

მატარებელი კულტურის წარმომადგენელთა ეროვნული ფსიქოლოგია. სიყვარული, არის ის, რაც ნებისმიერი ერის ცნობიერებაში არსებობს და სხვადასხვაგვარი გამოთქმების, ფრაზეოლოგიზმების სახით გამოვლინდება თვით ენაში. მაგალითად: *love is blind* - სიყვარული ბრმაა, რომელიც კოგნიტური მეტაფორის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაშიც. ასევე შეიძლება მივიჩნიოთ გამოთქმა *love speaking eye* - სიყვარულის მეტყველი თვალი. რომელშიც გამოყენებულია სომატიზმი „თვალი“ და ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ სომატური იდიომი მეტაფორული ელფერით ხასიათდება.

თავად ის ფაქტი, რომ ადამიანები გარემომცველ სინამდვილეს მეტაფორულად აღიქვამენ, მათი ცნებითი სისტემა შეიძლება ითქვას, რომ მეტაფორულია თავისი არსით. კოგნიტური მეტაფორაც კი, სწორედ ეროვნულ აღქმაში არსებობს და რეალიზდება თავად ენაში. ინგლისური და ქართული ენების სომატური იდიომების განხილვისას ვხვდებით ისეთ სომატურ იდიომებს, რომლებშიც შეიძლება დავინახოთ კოგნიტური მეტაფორის არსებობა. რადგანაც სომატიზმის „გული“ გამოყენება ყველაზე დიდი რაოდენობით გხვდება, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში და რადგანაც **გული** ნებისმიერი ენის მატარებელისათვის გრძნობის გამომხატველია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრძნობა გულია და შემდეგი სომატური იდიომების არსებობა ინგლისურ და ქართულ ენებში კოგნიტური მეტაფორის არსებობის დამადასტურებელია.

მაგალითად: *to with one's whole heart* - მთელი გულით

*to stir smb's heart* - გულის ამღვრევა

*to give one's heart to smb.* - გულის მიცემა

სომატიზმი „ხელი“ ჩვენ უკვე განვიხილეთ, როგორც საქმიანობის, მოქმედების, ოსტატობის, ურთიერთობისა და გაცვლის მნიშვნელობით, აგრეთვე, როგორც განზრახვის განხორციელების ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ იგი ამასთანავე შეიძლება, განვიხილოთ, როგორც ძალაუფლების სიმბოლო მათი გადააზრების მეორადი მნიშვნელობით. საიდანაც მტკიცდება კიდევ მისი კოგნიტურობა. რომელიც არსებობს როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაშიც.

მაგალითად: *to have the whiphand* - ხელში უჭირავს (აკონტროლებს, იმორჩილებს).

მაინც რატომ გამოიყენება ასეთი სიხშირით ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელწოდებები მეტაფორული უნივერსალებების სახით? საქმე ის არის, რომ

ახალი ობიექტის სახელდებისას ადამიანს პირველ რიგში უჩნდება ასოციაცია იმასთან, რაც მისთვის კარგად არის ცნობილი, რაც მასთან ახლოსაა, ანუ ადამიანი გარშემო მყოფ საგნებს ადარებს საკუთარ თავს, საკუთარი სხეულის ნაწილებს.

ამრიგად, მეორადი ნომინაცია მისი ოთხივე ტიპით სომატური იდიომების ფორმირების ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას წარმოადგენს, რომლის სპეციფიკა კულტუროლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტით განისაზღვრება და მასში მონაწილე შინაარსების ასოციაციების თვალსაზრისით ერის ენობრივი აღქმისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო სამყაროს მოვლენების პირდაპირი აღქმა, არამედ ისიც, თუ რა კუთხით აღიქვამს ენა ამა თუ იმ მოვლენას. სწორედ შემეცნებისა და სახელდების ამ თავისებურებას ემყარება მეტაფორული ნომინაცია, რომელშიც ყოველი იდიომა ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვის და ადამიანის საგნობრივი თუ სულიერი სამყაროს ცალკეულ მოვლენათა სუბიექტური შეფასების აქტს წარმოადგენს.

### თავი III

## სპეციფიური კოლოკვიალური სომატური იდიომების ფუნქციობის კანონზომიერებანი

### *3.1. სომატური ენის გამოყენების თავისებურებანი კოლოკაციებთან მიმართებაში*

ენათმეცნიერებისა და ფილოსოფიის შემაერთებელი დისციპლინა აწყდება ისეთ პრობლემას, როგორცაა სხვადასხვა სიტყვების ერთმანეთთან შეკავშირება. ინგლისური გამონათქვამების სწორი და შესაფერისი გამოყენება მკაფიო ნიშანია ენის ბუნებრივი ფლობისა და საიმედო საზომია უცხო ენაზე მოსაუბრის შეფასებისა. სიტყვთა სწორი შეხამება შესანიშნავად გვიჩვენებს ენის ცოდნის დონეს და მოსაუბრის მოხერხებულობა-გაწაფულობას ამ ენაში.

ნებისმიერი უცხო ენის შესწავლის დროს შემსწავლელთათვის ძირითად სიძნელეს არა მარტო ზმნასთან არსებითი თუ ზედსართავი სახელის უკეთ შეწყობა წარმოადგენს, არამედ აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იდიომატური გამონათქვამების სწორ გამოყენებას ამა თუ იმ სიტუაციაში.

ვიდრე შევეხებოდეთ ისეთ პრობლემას, როგორცაა სიტყვათა შეთანხმება, გვინდა შევჩერდეთ ერთ საკითხზე, რა არის ტერმინი სიტყვა? და ვხვდებით თუ არა რაიმე გაუგებრობას ამ ტერმინის გამოყენების დროს. არის თუ არა პირდაპირი კავშირი სიტყვასა და იმ საგანს შორის რომელსაც ის წარმოადგენს? ყოველივე ეს ლინგვისტური კვლევის ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს.

ბევრი რამ არის ცნობილი ენის წარმოშობის შესახებ და შესაბამისად, სიტყვის წარმოშობის შესახებაც, მაგრამ არსებობს რამოდენიმე ჰიპოთეზა. თითქმის არაფერია ცნობილი იმ მექანიზმზე, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე ირჩევს ბგერებს, რომ მიიღოს სიტყვა და შემდეგ, შესაბამისად ირჩევს ლინგვისტურად ურთიერთშესაბამის სიტყვებს. ასევე აუხსნელია პროცესი, რომლის დროსაც მსმენელი ახერხებს აკუსტიკური ფენომენი მოაქციოს აზრად და იდეად, რაც საფუძვლად უდევს კომუნიკაციის ორმხრივ პროცესს.

ლ.ბლუმფილდის განსაზღვრის მიხედვით სიტყვა არის მეტყველების მინიმალური დამოუკიდებელი ერთეული. ლინგვისტური ფორმა, რომელიც ცალკე არ წარმოითქმის, არის არათავისუფალი ბმული ფორმა, ყველა დანარჩენი კი თავისუფალი ფორმებია. თავისუფალი ფორმა, რომელიც ფრაზეოლოგიური ერთეული არ არის, არის სიტყვა.

ესეპირის აზრით, სიტყვა არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე უმცირესი ერთეული, რომელიც წარმოადგენს წინადადების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. სეპირი სიტყვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თვისებაზე მიუთითებს – ესაა სიტყვის ერთიანობა.

სიტყვა და ცნება შეადგენს დიალექტურ ერთობლიობას, რომელიც არ გულისხმობს მათ აბსოლუტურ იდენტურობას. ერთი ცნება შეიძლება ცალკეული სიტყვითაც გამოიხატოს და სიტყვათა ჯგუფითაც.

მაგალითად:

*a blue-eyed girl - ცისფერთვალება გოგონა*

*a girl with blue eyes - გოგონა ცისფერი თვალებით*

დღეისათვის მეცნიერები უკვე შეთანხმდნენ, რომ პირველ რიგში, სიტყვა არის მეტყველების ერთეული, რომელიც ემსახურება კომუნიკაციის მიზანს. აქედან გამომდინარე, სიტყვა შეიძლება განვმარტოთ, როგორც კომუნიკაციის ერთეული. გარდა ამისა, სიტყვა შეიძლება აღვიქვათ, როგორც ბგერათა ერთობლიობა. და ბოლოს, სიტყვა, თუ მას სტრუქტურული თვალსაზრისით განვიხილავთ ფლობს სხვადასხვა მახასიათებლებს.

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა შეიცავს ისეთი პირველადი მნიშვნელობის საკითხებს, როგორებიცაა ლექსიკური მნიშვნელობა, განსხვავებული ტიპები, მკვეთრად გამოხატული მსგავსი თვისებები, ურთიერთ დამოკიდებულება სიტყვასა და ამ ენის მიღმა არსებულ სამყაროს შორის.

ყოველგვარი მიზეზი არსებობს იმისა, რომ განვსაზღვროთ სიტყვის მნიშვნელობა, როგორც ერთეული შედგენილი სხვადასხვა ელემენტებისაგან, რომელთა ურთიერთმიმართება გადაწყვეტს სიტყვის ღირებულებას. ის ორი ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც უპირველესად შეინიშნება სიტყვაში, ეს არის მისი გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობა.

გრამატიკული მნიშვნელობა პერიოდულად მეორდება ინდივიდუალურ ფორმათა მსგავს ჯგუფებში, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული კლასის სიტყვებისათვის, მაგალითად, არსებით სახელებს გააჩნიათ სპეციალური

ფორმები, რომელიც გამოხატავს მსოფლიოთისა და მრავლობითის გრამატიკულ მნიშვნელობას.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა გამოხატავს კავშირს ობიექტთან, რომელსაც ის ასახელებს. ეს ის არსია, რომელიც განსაზღვრავს სიტყვის შინაარსს. ლექსიკური მნიშვნელობა მოიცავს, როგორც ზოგადს, ისე კონკრეტულს.

ლექსიკური და გრამატიკული ასპექტი შეადგენს სიტყვის მნიშვნელობას და არცერთი მათგანი არ არსებობს დამოუკიდებლად. ორგანული კავშირი და ურთიერთმიმართება ლექსიკურსა და გრამატიკულ მნიშვნელობებს შორის არასოდეს არ უნდა გამოვრიცხოთ.

საყურადღებოა, რომ მეცნიერთა ნაწილი ცდილობს განსაზღვროს სიტყვა, როგორც ლექსიკური ფენომენი, მაგრამ სამწუხაროდ, თითქმის არც ერთი განმარტება არის აბსოლუტურად სრულყოფილი. ასევე გასაკვირია, რომ მიუხედავად თანამედროვე მეცნიერების დიდი მიღწევებისა, ჯერ კიდევ არაა შესწავლილი სიტყვის ბუნების ყველა აუცილებელი ასპექტი. ერთი კი ყველა მეცნიერისთვის მისაღებია. სიტყვა ენის ფუნდამენტალური ერთეულია. ავიღოთ სიტყვა – tap.

ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ერთი სიტყვა tap, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად: *to give somebody a tap on the shoulder*

*მხარზე ხელის მოთათუნება*

*a water tap*

*წყლის ონკანი*

მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას ამ გამოთქმებში გამოყენებულია ორი აბსოლუტურად განსხვავებული სიტყვა tap. აქედან გამომდინარე, სიტყვას ხშირად უწოდებენ ლექსიკურ ერთეულს. თუმცა რუდ კემპსონი ინგლისელი ლინგვისტი თვლის, რომ არსებობს ერთი სიტყვა და რამდენიმე ლექსიკური ერთეული. მაგალითად, არსებობს ერთი სიტყვა hand და ორი ლექსიკური ერთეული: ერთი, რომელიც აღნიშნავს ხელს და მეორე, სომატური იდიომი on hand - ხელმისაწვდომი, რომელიც ზუსტად იგივე ფონოლოგიური სიტყვით აღინიშნება.

თუმცა საკითხი არც თუ ისე საკამათაო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. სიტყვის მნიშვნელობის მერყეობა კონტექსტზეა დამოკიდებული და ეს ფენომენი შეიძლება განისაზღვროს ტრადიციული ტერმინით – პოლისემიით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვდგებით ასეთი ალტერნატივის წინაშე: ერთი, რომ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა მუდმივი არ არის და იცვლება კონტექსტის მიხედვით და მეორე, რომ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა მუდმივია და რომ მნიშვნელობით განსხვავებული წინადადებები შეიცავენ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს.

სიტყვის შესწავლის თანამედროვე მიდგომა ემყარება განსხვავებას, რომელიც არსებობს სიტყვის გარეგან და შინაგან სტრუქტურებს შორის. სიტყვის გარეგან სტრუქტურაში იგულისხმება მისი მორფოლოგიური სტრუქტურა. სიტყვის შინაგან სტრუქტურაში კი – მისი მნიშვნელობა, რომელსაც თანამედროვე ლინგვისტიკაში სემანტიკურ სტრუქტურას უწოდებენ, რომელიც ჩვენი აზრით, სიტყვის ძირითადი ასპექტია. აგრეთვე სიტყვის შესწავლის თანამედროვე მიდგომა ხასიათდება ორი მიმართულებით: სინტაგმატური და პარადიგმატული.

სინტაგმატურ დონეზე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა განიხილება მეზობელ სიტყვებთან მისი ურთიერთობის თვალსაზრისით, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიტყვის სემანტიკური მახასიათებლები შეისწავლება და განიხილება კონტექსტის საფუძველზე.

პარადიგმატულ დონეზე კი სიტყვა შეისწავლება ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მისი სხვა სიტყვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. სიტყვა შეიძლება შესწავლილ იქნეს ენის ლექსიკურ მარაგში მისი (სიტყვის) მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებთან შედარებით. მაგალითად: **გულს უწერილებს – გულს უწყალებს** (აწუხებს) ან **შინაარსით მოპირისპირე სიტყვებთან შედარებით. გულს უხარებს – გულს უკლავს**, ან **განსხვავებულ სტილისტურ მახასიათებლებთან შედარებით. სულში ჩაფურთხება – უღვაშში ჩაფურთხება. შესაბამისად, გამოდის რომ, პარადიგმატული შესწავლის ძირითად პრობლემას წარმოადგენს სინონიმები, ანტონიმები და ფუნქციონალური სტილები. ასეთივე მაგალითები მოიძებნება ინგლისურ ენაშიც.**

მაგალითად, სინონიმური წყვილები:

*to move somebody's heart - გულის აძვერება*

*to touch somebody's heart - გულის ატოკება (ახარებს)*



ანტონიმური წყვილები:

*to have a heart of gold - ოქროს გული აქვს*

*to have a heart of stone - ქვის გული აქვს*

ფუნქციონალური წყვილები:

*to have got smb.or smth on the brain - ტვინის აღულება*

*to enter smb's mind - გონების არევა*

გამომდინარე აქედან, სიტყვები რეალიზდება ენაში და რადგანაც ნებისმიერი ენა ერის კულტურის ამსახველია, ეს სინტაგმატური და პარადიგმატული მიდგომა სავსებით სამართიანად შეიძლება განვიხილოთ კულტურასთან მიმართებაში. გ.ღებანიძე აღნიშნავს, რომ: „კულტურა ერთდროულად არსებობს, როგორც ნიშანთა სპეციფიკური სახით ორგანიზებული სისტემა (კულტურული პარადიგმატიცა) და როგორც ამ სისტემის რეალიზაციის გზით მიღებული ტექსტი (კულტურული სინტაგმატიკა)” (.ღებანიძე 2004; 121). თითოეული ტექსტი კი სიტყვათა სწორი ურთიერთშეთანხმების გარეშე კარგავს მის სტრუქტურულ და სემანტიკურ ფუნქციას.

ენის შინაგანი ფორმისა და ბგერის სინთეზი უდიდესი სრულყოფილებით აისახება ენის გრამატიკულ აგებულებაში, წინადადების წარმოქმნაში, აფიქსების საშუალებით სიტყვის წარმოებაში, იდიომატურ გამონათქვამებში, ამიტომ ყოველივე ამის წარმოებას საფუძვლად უდევს სიტყვის სტრუქტურა, რამეთუ „სიტყვა არის ენის სრული, გაშლილი ყვავილი, სიტყვაში ენა იძლევა დასრულებულ ნაწარმოებს" (ჭუმბოლდტი).

ენის გარეშე კი შეუძლებელია ცნების წარმოება. ცნება არ შეიძლება მოწვევტილი იყოს სიტყვისაგან, რომელიც არის ცნების ინდივიდუალური ფიზიონომია. სიტყვა არის ბგერის და ცნების მთლიანობა, რომელიც ქმნის სიტყვასა და ცნებას შორის შესატყვისობას, ამითა და ბგერი სხვა დებულებით მივდივართ იმ განმარტებამდე, რომ სიტყვათა კომბინაციას, რომელიც ამ შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკისათვის ბუნებრივად უდერს, კოლოკაცია ეწოდება, რაც ქართულად ურთიერთგანლაგებას, განრიგებას ნიშნავს.

სიტყვაშეთანხმების სტრუქტურული ანალიზის შესწავლის შედეგად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ასპექტები:

- კოლოკაციის გამოყენება სომატური იდიომების ასაგებად
- თანამედროვე ინგლისურ კოლოკვიალურ სომატურ იდიომებში სიტყვათა განლაგების სტრუქტურა
- კოლოკაციათა იდიომატური ფუნქცია

სომატური იდიომების არსებობა ენაში, გამოსატყულება იმისა, რომ ისინი წარმოადგენენ ენის ლექსიკური მარაგის ყველაზე უფრო თვალწარმტაც, ფერადოვან და ხატოვან ნაწილს. ნებისმიერ ენაში სომატური იდიომები არის ერთგვარი სურათების გაღერვა, სადაც თავმოყრილია ერის ჩვეულებების, თვისებების, ტრადიციების, ცრურწმენების, ზღაპრებისა და ისტორიის ამსახველი ცოცხალი და ნათელი სურათები. მასში თავმოყრილია ციტატები დიდი პოეტებისა და მწერლების გამონათქვამებიდან, სიბრძნის მარგალიტები, მოსწრებული გამოთქმები. ისინი ლექსიკის არა მარტო ყველაზე ხატოვანი, აგრეთვე ყველაზე უფრო დემოკრატიული ნაწილია და თავისი წყარო ხალხური მეტყველების ყველაზე უფრო მიუწვდომელი სიღრმიდან მიეწოდება. ამ გაღერვაში შეიძლება ბევრ უცნაურ კოლოკვიალურ სომატურ გამონათქვამებს წავაწყდეთ.

მაგალითად, ქართულ ენაში: *გულიდან ღოდის ახსნა,*  
*გულის გადაშლა,*  
*თვალეში ნაცრის მიყრა,*  
*თვალი უჭირავს.*  
*(ვინმეზე, რამეზე),*  
*თვალის თვალში გაყრა,*  
თვალის ჩინი,  
ყურებზე ხახვს დააჭრის!  
ყურის თხოვება,  
ყურმოჭრილი ყმა,  
პირში ჩაღის გამოვლება,  
კბილებს იღესავს (ვინმეზე, რამეზე),  
სისხლი სწყურია,  
სისხლი უდუღს,  
სისხლის გაშრობა,

სისხლ-ხორცში გაჯდომა,  
 სულით ხორცამდე გაცლა,  
 სული კბილით უჭირავს,  
 ინგლისურ ენაში: *it make's someone's blood boil,*  
*stain one's hands in blood,*  
*carry sin on one's back,*  
*turn someone's eyes open,*  
*smack in the eye,*  
*up to the eyes in work,*  
*one's heart in one's mouth,*  
*after one's heart, to move smb's heart,*  
*to gain smb's heart,*  
*to have the heart to do something*  
*heart and soul,*  
*keep body and soul together,*  
*life and soul,*  
*save one's own skin,*  
*green-eyed monsters,*  
*crocodile tears და სხვა.*

სომატური იდიომები ხასიათდებიან ორმაგი ბუნებით: კონსტიტუენტთა მნიშვნელობა ქმნის განსაზღვრულ სურათს, მაგრამ მთელი ერთეულის მნიშვნელობას არავითარი საერთო არა აქვს ამ სურათთან და ფაქტიურად, წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ იმიჯს. ასე რომ ზემოთ ნახსენები *the green-eyed monster* სულაც არ ნიშავს მწვანე თვალება ურჩხულს, არამედ იგი ნიშნავს ეჭვიან ადამიანს, რომელიც პირველად შექსპირის „ოტელოში“, იქნა გამოყენებული. ე. წ. *pluck up one's heart* აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო მის კონსტიტუენტებთან, რადგან ნიშნავს „გამბედაობის მოკრეფას“.

ვ. კ. კოლიზი თავის წიგნში - „ინგლისური იდიომები“ წერს: სტანდარტულ სალაპარაკო და წერილობით ინგლისურში დღეს იდიომი არის ენის დადგენილი და აუცილებელი ელემენტი, რომლის ფრთხილად გამოყენება ამდიდრებს და ძალიან ალამაზებს ენას“ (Collins 1966: 15).

„ფრთხილად გამოყენება“ მნიშვნელოვნი გაფრთხილებაა იმისა, რომ იდიომებით გადატვირთული მეტყველება კარგავს ორიგინალობასა და ცოცხალი

ენის შთაბეჭდილებას. იდიომები, ფაქტიურად, ეს არის გამზადებული სამეტყველო ერთეულები და ხშირი გამოყენების შემთხვევაში შეიძლება გაიცვიოს კიდევ, ისევე როგორც მეტაფორა. მეტაფორა უკვე აღარ არის მეტაფორა, როდესაც იგი უკვე გვხვდება გამოყენებაში. ისინი კარგავენ თავიანთ ელფერს. მეორე მხრივ, ზეპირი და წერიითი მეტყველება ძირითადად კოლოკვიალური სომატური იდიომების გარეშე კარგავს გამომხატველობასა და ემოციურ ძალას. ეს განმარტება სამართლიანია ქართული სომატური იდიომების მიმართაც.

მაგალითად: *get smb's blood up* – სისხლის ტვინში ავარდნა

*new blood* – ახალი სისხლი

*it makes one's blood boil* – სისხლის აღუდება

*one's blood runs cold/freezes* – სისხლი გაყინა

*one's ear deceive* - ყური მატყუებს

*walls have ears* – კედლებსაც აქვს ყურები

*play by ears* – ყურის გაპანტურება, გაპარტყუნება

*have one's ears open* – ყურის მიპყრობა, ყურის მოკვრა

*to wipe one's eyes* – ცრემლის შეშრობა თვალებზე

*turn a blind eye to smth.* – თვალების დახუჭვა რაიმეზე

*mind your eye* – თვალი გეჭიროს

*have got an eye for the main chance* – მარჯვე თვალი

*to get out of hand* – ხელიდან წასვლა

*to change hands* – ხელიდან ხელში გადასვლა

*to turn one's hand* – ხელის მიყოფა; ხელი მიყო რაიმეს

*to get one's hand in* – ხელის გაწაფვა; ხელის გაჩვევა

ინგლისური ენა ბევრ ისეთ გამოთქმას შეიცავს, რომლებიც ნახევრად ფიქსირებული (მუდმივია) და ნახევრად ცვალებადია. ცვალებადობაში შეიძლება იგულისხმებოდეს შესაძლებლობა იმისა, რომ ერთი სიტყვა შეიძლება რამოდენიმე სიტყვით შეიცვალოს. ენის შემსწავლელთათვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რამდენი სიტყვა და რა სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს მოცემული სიტყვის შემცვლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომამ შეიძლება მოგვცეს სიტყვათა კომბინაცია, რომელიც აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი იქნება მშობლიურ ენაზე მოსაუბრისათვის.

არსებობს კოლოკაციათა ერთი ჯგუფი, რომელთაც თავისუფლად შეიძლება დაემატოს სხვა სიტყვები და მეორე ჯგუფი, ფაქტობრივად არ უტოვებს მოსაუბრეს არჩევანის საშუალებას. კოლოკაციათა პირველ ჯგუფს ეწოდება ღია ჯგუფი (open set), ხოლო მეორეს ეწოდება შეზღუდული ჯგუფი (restricted set). განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის მკვეთრად გამოიხატება არ არის. შეიძლება ითქვას, რომ თანდათანობით პროგრესით ხასიათდება. პირველი ჯგუფის მაგალითია - on hand. ეს არის კოლოკვიალური სომატური იდიომი, რაც ნიშნავს ხელმისაწვდომს. იმის გამო, რომ ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი, ამიტომ თავისთავად შეიძლება ამ სიტყვათშეთანხმებას დაემატოს ორი ან რამოდენიმე სიტყვა.

მაგალითად, to have something on hand, to keep something on hand

და ასევე ქართულ ენაშიც, ფეხქვეშ გაგება – ფეხქვეშ ფიანდაზად გაგება;

ფეხის მიწყდომა – ფეხის ხმის მიწყდომა;

ფეხების ღოკვა – ფეხის მტვრის ღოკვა.

შეზღუდული ჯგუფის კოლოკაციის მაგალითია შემდეგი იდიომატური გამონათქვამი: to keep an eye on something – თვალი გეჭიროს ვინმეზე ან რამეზე (თვალყურის დევნება). კოლოკაციათა ამ ჯგუფს შეიძლება დაემატოს მხოლოდ რამოდენიმე ზედსართავი სახელი მკაცრად შეზღუდული დიაპაზონით. ესენია: careful, sharp, professional, watchful. შეზღუდულ კოლოკაციათა სომატური იდიომების მაგალითებია, ინგლისურ ენაში: cast an eye, one's eye over, have one's hands full, not much of a hand at. შეზღუდული ჯგუფის კოლოკაციის ქართული სომატური იდიომია – კარგი თვალთ უყურებს, რომელსაც შეიძლება დაემატოს რამოდენიმე ზედსართავი სახელი: მწყალობელი, ცუდი.

ამგვარად, ზემოთ განხილული სემანტიკურად გამჭირვალე კოლოკვიალური სომატური იდიომების მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ კოლოკაციის სემანტიკური ინტეგრაცია მარკირებულია, როცა მისი ერთ-ერთი კონსტიტუენტის მნიშვნელობა კონტექსტუალურად შეზღუდულია და განსხვავდება მნიშვნელობებისაგან ნეიტრალურ კონტექსტში.

ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა შორის განსხვავება კი კოლოკაციებთან მიმართებაში დამოკიდებულია ენის ლექსიკასა და გრამატიკას შორის არსებულ განსხვავებაზე. მაგრამ სამწუხაროდ, ეს განსხვავება ყოველთვის აშკარა არ არის. ენათმეცნიერები ზოგჯერ გამოყოფენ მთლიან სიტყვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მეტყველების ამა თუ იმ ნაწილს (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა, ზმნიზედა) და ე.წ. ფუნქციურ სიტყვებს, როგორცაა: არტიკლი, წინდებული, კავშირი და ნაწილაკი. საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ფუნქციური ზმნები ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სრული მნიშვნელობის სიტყვები.

სიძნელე, რომელიც არსებობს ენის გრამატიკულ სტრუქტურასა და ლექსიკას შორის არის ის, რომ რთულია მათი ერთმანეთისაგან მკაცრად გამოიჯვანა. ეს გახლავთ მნიშვნელოვანი თეორიული საკითხი. ესა თუ ის მოვლენა ერთ ენაში შეიძლება ჩაითვალოს ლექსიკურად, ხოლო მეორე ენაში კი გრამატიზირებულად.

ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ უაღრესად რთულია შევძლოთ ზუსტი მიმართების დადგენა გრამატიკულ და სემანტიკურ სტრუქტურებს შორის. ფაქტობრივად, რაც უფრო ღრმად ვსწავლობთ ენას, მით უფრო ძნელი ხდება ამ მიმართების დადგენა. მიმართებაში იგულისხმება ის, რომ ტრადიციული გრამატიკული კატეგორიებიც კი არ არის ზუსტი: წარსული დრო ხშირად არ ეხება წარსულ მოქმედებას, ბრძანებითი კილო უფრო ხშირად გამოიყენება ისეთ კანსტრუქციებში, რომელთაც არაფერი აქვთ ბრძანებასთან.

მაგალითად: *God damn smb's eyes*

*თვალი დაუდგეს!*

*To have a hand in smth*

*რა ხელი აქვს ამ საქმეში!*

გაურკვეველი საზღვარი სემანტიკასა და გრამატიკას შორის ლინგვისტური თეორიის კლასიკურ პრობლემად ითვლება. არსებობს უამრავი მაგალითი წინადადებებისა, რომლებიც გადმოგვცემენ დამახასიათებელ მოქმედებას, მაგრამ ამავე დროს არიან ნახევრად იდიომატური ტიპის.

მაგალითად: *to give someone a hand*

დახმარების ხელის გაწოდება

*stir smb's heart*

გულის ამღვრევა

ეს მაგალითები გრამატიკულად გამართულია, თუმცა აქ საქმე გვაქვს ისეთ კოლოკაციებთან, როცა სიტყვათა ერთობლიობა იდიომატურ გამოთქმას ქმნის.

ამგვარად, კოლოკაციებს ყოველთვის აქვთ გრამატიკული ფუნქციები. საერთოდ სიტყვის უნარი, აღმოჩნდეს კონკრეტულ გრამატიკულ სტრუქტურაში, აღინიშნება ტერმინით გრამატიკული ვალენტობა. სიტყვის გრამატიკული ვალენტობა ფართო ცნებაა. უმთავრესია ის, რომ ვალენტობას განსაზღვრავს მეტყველების ნაწილი, რომელსაც ეს სიტყვა მიეკუთვნება. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კი ეს ვალენტობა იდენტური არ არის.

უცხო ენის შემსწავლელთათვის აუცილებელია არა მარტო გრამატიკულ თავისებურებათა გათვალისწინება სომატური კოლოკვიალური იდიომების შესწავლის დროს, არამედ მათ სტილისტურ თავისებურებებზე დაკვირვებაც.

სტილისტურ თავისებურებათა გათვალისწინებით სომატური კოლოკვიალური იდიომები ორ დიდ ჯგუფად იყოფა:

1.სომატური კოლოკვიალური იდიომები განსაკუთრებული სტილისტური შეფერილობის გარეშე ე.წ. „ხულოვანი სტილისტური შეფერილობით“ ასეთი სომატური კოლოკვიალური იდიომები კონკრეტული ტერმინის არსებობის გამო, გამოიყენება ენის ყველა ფუნქციონალურ სტილში. მაგალითად: *behind smb's back* - ზურგს უკან.

2.სომატური კოლოკვიალური იდიომები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი გამომხატველობითი უნარით. მათ შორის კიდევ გამოიყოფა 2 ჯგუფი:

ა) სომატური კოლოკვიალური იდიომები, რომლებიც გამოიყენება პროცესისა და მოქმედების აღმნიშვნელად და აქვს გამოყენების საკმაო ფართო სფერო. მაგალითად: *to tread on smb's heels* - ფეხდაფეხ მიყოლა.

ბ) სომატური კოლოკვიალური იდიომები, რომლებსაც ახასიათებს მკვეთრი მეტაფორული შეფერილობა და გამოიყენება ვიწრო კონტექსტური გაგებით. მაგალითად: *chins are wagging* - ხმა დადის, ხმა დაირხა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისური და ქართული სომატური იდიომების შეპირისპირებითი კვლევისას ამ ტიპის ანუ მეტაფორული ელფერის

მქონე სომატური იდიომები ქართულ ენაში უფრო მრავლად მოგვეპოვება, ვიდრე ინგლისურში. მაგალითად:

*გული ეუბნება;  
სისხლის გაშრობა,  
ენა გატეხა,  
ნაწლავები ჩივიან,  
ენით ნაკვერცხალს იღებს,  
ენად გადაქცევა,  
ენამ უყივლა,  
მზე პირს იბანს  
ნაღველი მოერია,  
ფეხის ხმას აჰყვა,  
ხმის დაგდება,  
ყელის მოღერება.*

როგორც ვხედავთ სიტყვები როგორც ლექსიკური ერთეულები ქმნიან სომატურ იდიომებს. გადამწყვეტ როლს სიტყვების ერთმანეთთან შეხამებისას თამაშობს სიტყვის ლექსიკური და გრამატიკული ვალენტობა. ლექსიკური ვალენტობა, ეს არის უნარი სიტყვისა, აღმოჩნდეს ამა თუ იმ კოლოკაციაში. ენაში არსებული ყველა სიტყვა ფლობს ლექსიკური ვალენტობის განსაზღვრულ ნორმას. ლექსიკური ვალენტობის შეზღუდულობა განპირობებულია ენის შიდა სტრუქტურით. მეცნიერთა ერთი ნაწილი პოლისემანტიკური სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობას სწორედ ლექსიკური ვალენტობის საშუალებით განიხილავს.

გრამატიკული ვალენტობა კი ესაა უნარი სიტყვისა აღმოჩნდეს განსაზღვრულ გრამატიკულ სტრუქტურაში. ენაში შემავალი ყველა სიტყვა ხასიათდება გრამატიკული ვალენტობის განსაზღვრული ნორმით. გრამატიკული ვალენტობის შეზღუდულობა განპირობებულია ენის გრამატიკული სტრუქტურით. გრამატიკული ვალენტობის დიაპაზონს განსაზღვრავს მეტყველების ნაწილი, რომელსაც ეს სიტყვა მიეკუთვნება. პოლისემანტიკური სიტყვის გრამატიკული ვალენტობა იმ კონკრეტული სტრუქტურით განისაზღვრება, სადაც გამოყენებულია ინდივიდუალური მნიშვნელობა პოლისემანტიკური სიტყვისა, რაც შეიძლება აიხსნას გრამატიკული ვალენტობის გათვალისწინებით.



ამგვარად, კოლოკაციათა გრამატიკული სტრუქტურის ანალიზისას ფაქტია ის, რომ სიტყვათა შეთანხმების გრამატიკული ფუნქცია დამოკიდებულია სიტყვის გრამატიკულ ვალენტობაზე, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია მეტყველების ნაწილით, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის. გრამატიკული სტრუქტურის ტრანსფორმაცია კი გვაძლევს განსხვავებულ სიტყვათშეთანხმებებს ე.ი. განსხვავებულ კოლოკაციებს.

### 3.2 სომატიზმები, როგორც აბსოლუტური კოლოკვიალური უნივერსალიები

სამეცნიერო ლიტერატურაში, განმტკიცებულია თვალსაზრისი, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნებას. ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს. ყოველი ენა, წარმოადგენს საგანთა თავისებურ აღქმას. ამიტომ ენათა შორის მსგავსებებიც ბევრია და განსხვავებებიც. შეიძლება ვთქვათ, რომ ენა უნივერსალურია, მაგრამ სხვადასხვაგვარი სტრუქტურული სისტემებით წარმოგვიდგება სხვადასხვა ერებში. ენის უნივერსალური მოდელი განსხვავებული ვარიანტების სახით რეალიზდება ამა თუ იმ ენაში. ამას ადასტურებს შემდეგი სომატური იდიომების არსებობა ინგლისურ და ქართულ ენებში. მაგალითად:

*to have heart set on something*

- ◆ *თვალი დაეადგი (რაიმეს, ვინმეს)*. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ რამისადმი ძლიერი სურვილი სამყაროში არსებულ ერთი და იგივე საგანს, ინგლისურ და ქართულ ენაზე მოაზროვნე ადამიანები განსხვავებული სომატური კომპონენტით გადმოსცემენ. ინგლისელები იყენებენ სომატიზმს - გული, ხოლო ქართველები - თვალი. თუმცა ამ კომპონენტებს საერთო სემანტიკა აქვთ. ასევეა შემდეგ მაგალითებშიც:
- ◆ to fold in arms – გულში ჩაკერა
- ◆ rush blood into one's cheeks – სისხლის ყელში ავარდნა
- ◆ to have get smb. in one's bones – ჭკუას კარგავს მისთვის
- ◆ be up to the elbow's in work - ყელამდე ვარ საქმეში ჩაფლული
  
- ◆ be up to one's eyes in smth. - ყელამდე ვარ
- ◆ laugh on the other side of one's face – ზურგს უკან სიცილი
- ◆ not to torn a hair – წარბის შეუხრებად

- ◆ to lose heart - ყურების ჩამოყრა
- hold/stop your jaws! – ენას კბილი დააჭირე! ნუ ყბედობ!
- ◆ give smb. a leg up – ხელის წაკერა (წარმატებაში)
- ◆ disburden one's mind – გულის მოფხანა; მოოხება
- ◆ hold your mouth – ხმა ჩაიწყვიტე!
- ◆ to risk one's neck – თავის გამეტება
- ◆ led by the nose - ყურით მოთრევა
- ◆ jump out of one's skin – სიხარულისგან ფეხზე არა დგას

ენის სემანტიკურმა ანალიზმა, ცალსახად უნდა გვიჩვენოს თუ სამყაროს, რომელი მოდელია წარმოდგენილი მოცემულ ენაში. ამ ანალიზის შედეგად გარკვეული წარმოდგენა უნდა შეგვექმნას იმის შესახებ, თუ როგორაა დანახული მოცემულ ენაში გარე სამყარო, როგორ და რა წესების მიხედვითაა იგი სეგმენტირებული მასში (ნებიერიძე 1999).

ლინგვისტები ენობრივი ცნების კონცეპტის სემანტიკურ კატეგორიას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ და ჩვეულებრივ, დაინტერესებული არიან სიტყვის კონცეპტუალური მნიშვნელობის შესწავლით. ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ასოცირებულ სტილისტურ მნიშვნელობას. ერთი და იმავე საგნის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა ენაში, სხვადასხვა კონცეპტებით აღიქმება. „კონცეპტების აღქმისას ადამიანი ოპერირებას ახდენს არა ცალკეული ნიშნებითა და მათი სიმრავლეებით, არამედ მთლიანი ხატებით, რომელთა კონტურები მას საშუალებას აძლევს, შეადაროს კონცეპები” (გამყრელიძე 2003; 466).

ლინგვისტი და კულტუროლოგი ს.სტეპანოვი მიიჩნევს, რომ „კონცეპტი არის, კულტურის შემჭიდროებული ანარეკლი ადამიანის ცნობიერებაში – ის რისი სახითაც შედის კულტურა ადამიანის მენტალურ სამყაროში. მეორე მხრივ, კონცეპტი არის ის, რისი მეშვეობითაც, ადამიანი (ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი და არა კულტურულ ფასეულობათა შემოქმედი) თვითონ შედის კულტურაში და რიგ შემთხვევებში მასზე ზეგავლენას ახდენს” (С. Степанов. 2001. 44). იგი წერს, რომ „კონცეპტი იმავე რიგის მოვლენებს ეკუთვნის, რასაც ცნება. თავისი შინაგანი ფორმით, კონცეპტი და ცნება ერთნაირია. სამეცნიერო ენაში ეს ორი სიტყვა ხანდახან ენაცვლება ერთმანეთს როგორც სინონიმები.

თუმცა ამჟამად, ისინი უკვე მკაფიოდ არიან გამოიწუნენი. „ცნება“ ძირითადად გამოიყენება ფილოსოფიასა და ლოგიკაში, მაშინ როცა „კონცეპტი“ არის ლოგიკის ერთ-ერთი დარგის – მათემატიკური ლოგიკის ტერმინი და ბოლო დროს დამკვიდრდა კულტუროლოგიაში” (Степанов 2001; 44).

სიტყვის კონცეპტუალური მნიშვნელობა გულისხმობს მნიშვნელობის ძირითად მთავარ კომპონენტებს, რომელიც ხმარებისას, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გადმოიცემა. ლინგვოკულტუროლოგიურ გამოკვლევებში მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებებია იმის შესახებ, თუ ენის კონკრეტულად რომელი ერთეულები უკავშირდება კონცეპტს, თუმცა კავშირის არსებობას კონცეპტსა და გამოსატვის ვერბალურ საშუალებებს შორის ყველა აღნიშნავს (ომიადე 2009). იგი მიიჩნიათ „კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერ დისკრეტულ ერთეულად, რომელიც ასახავს რეალური ან იდეალური სამყაროს საგანს და ვერბალურად აღნიშნული ინახება ეროვნული ენის მესსიერებაში” (Воркачев 2004; 34). მაგალითად, სიტყვა „თვალი” შეიძლება ასე აიხსნას – ადამიანის სხეულის ნაწილი, ფაქიზი და მნიშვნელოვანი ორგანო. ეს არის ამ სიტყვის კონცეპტუალური მნიშვნელობა, თუმცა ამ სიტყვას შეიძლება აგრეთვე ჰქონდეს ასოციაციური ან მასთან დაკავშირებული მნიშვნელობებიც. სიტყვა „თვალის” გაგონებისას შეიძლება ავტომატურად გაგვახსენდეს „ბეჭდის თვალი” „წყაროს თვალი” „მახვილი თვალი” ეს უკანასკნელი, გამოიყენება შემდეგ სომატურ იდიომში – „არწივის თვალი” (შორსმჭვრეტელი, დაკვირვებული). მაგრამ ეს ასოცირებული სიტყვები არ შედის სიტყვის კონცეპტუალური მნიშვნელობის შემადგენელ კომპონენტთა ჩამონათვალში.

ჩვენი ცოდნის ერთ-ერთი შემადგამებელი ასპექტი, არის ის, თუ რომელი სიტყვაა მოსალოდნელი კოლოკაციათა წყვილში. მაგალითად, სიტყვა გულის გაგონებაზე შეიძლება გაგვიჩნდეს შემდეგი ასოციაციური წყვილები, მაგალითად: *heart and soul*

*სული და გული*

*a heart of gold*

*ოქროს გული*

*a heart of stone*

*ქვის გული*

ამ კოლოკვიალური სომატური წყვილების არსებობა ორივე ენაში, რომლებიც მსგავსი სომატიზმებით ხასიათდებიან, ადასტურებს იმას, რომ

სომატიზმები აბსოლუტური უნივერსალიებია. ვინაიდან „უნივერსალის, რომელიც დამახასიათებელია უკლებლივ ყველა ენისათვის, ეწოდება აბსოლუტური უნივერსალია“ (გამყრელიძე 2003; 401) და რადგანაც სომატიზმები ადამიანის სხეულის ნაწილებს აღნიშნავენ და რადგანაც ადამიანი ნებისმიერი ენის მატარებელია, სომატური იდიომების არსებობა ამ უნივერსალიების არსებობის კიდევ ერთი დამადასტურებელია. ხოლო რადგანაც სომატურ იდიომებს ჩვენ განვიხილათ მათში შემავალი სიტყვების ფორმებს შორის ურთიერთმიმართებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი სომატური კომპონენტები ერთგვარ სიტყვათა კოლოკაციებს წარმოადგენენ.

ცნობილია, რომ წინადადებებში ან ფრაზეოლოგიზმებში შემავალი სიტყვების ფორმები ურთიერთგანპირობებულია და სტრუქტურას ქმნიან. სტრუქტურის მთავარი თვისებაა, რომ მისი წევრი სიტყვების ჩანაცვლება მოცემული ენის იმავე ფორმის სხვა სიტყვებით, მათ შორის ურთიერთმიმართებას არ დაარღვევს, რაც კარგად ჩანს შემდეგ სომატურ იდიომებში. მაგალითად:

*„თავზე ლაფის დასხმა“ - „თავზე მიწის დასხმა“*

*„პირიდან ცოფებს ყრის“ - „პირიდან ნაპეწკლებს ყრის“*

თითოეულ ამ შემთხვევაში, ჩვენ სახეზე გვაქვს ერთი და იგივე მიმართებები ფორმებს შორის, ანუ მივიღეთ მსგავსი სტრუქტურის მქონე სომატური იდიომები. ვინაიდან სომატურ იდიომში „თავზე ლაფის დასხმა“ სიტყვა „ლაფის“

შეიძლება შევცვალოთ, სიტყვით „მიწის“, რომლის შედეგადაც არ იცვლება ურთიერთ მიმართებები მოცემულ სტრუქტურაში. იგივე შეიძლება ითქვას, შემდეგ სომატურ იდიომზე „პირიდან ცოფებს ყრის“.

კოგნიტური ლინგვისტიკა აღიარებს შემეცნებით პროცესს და მასში მნიშვნელოვან როლს ხატოვანების პრინციპი ასრულებს. ამ მიმდინარეობის ძირითად ამოსავალ წერტილს ადამიანი წარმოადგენს, რომელიც სამყაროს შეიცნობს თავისი ფიზიკური გამოცდილების საფუძველზე. ეს გამოცდილება კი, ადამიანის იმ აღქმისა და შეგრძნებების გამოვლინებებს ემყარება, რომლებიც სხეულის ამა თუ იმ ნაწილის საშუალებით ხორციელდება. მაგალითად: თვალით აღვიქვამთ, ხელით შევიგრძნობთ, გონებით შევიმეცნებთ და ყოველივე ამის საფუძველზე ვახდენთ სამყაროს ჩვენეულ წარმოსახვას, რომელშიც ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ საგნის მიმართ, უკვე ბუნებრივი ენის საშუალებით

გამოიხატება. სომატურ იდიომებში ნათლად ჩანს აღქმის სხვადასხვა ფორმები და სომატური კომპონენტების კოლოკიალური თავისებურებანი. მაგალითად განვიხილოთ „დამუქრების“ სემანტიკის შემცველი სომატური იდიომების კონცეპტუალური მსგავსება – განსხვავებები ინგლისურ და ქართულ ენებში.

მაგალითად: *it's time to bring someone to heel*

*დროა ჭკუა ვასწავლოთ*

*mind yourself*

*ჭკუას მოუხმე*

*Cast one's mind back*

*ჭკუაზე მოიყვანე*

*Not harm a hair of smb's head*

*თმის ღერიც არ მოძვრეს თავიდან*

ეს მაგალითები აბსოლუტურად მსგავსი შინაარსობრივი დატვირთვით გამოირჩევიან და ადასტურებენ, რომ „დამუქრება“ ნებისმიერი ეროვნების ადამიანის ბუნებრივი ემოციაა და ერთნაირი ფორმითა და შინაარსით გამოხატავენ ამ მდგომარეობას.

სომატური იდიომები ერთმანეთთან სინონიმურ დამოკიდებულებაში არიან. რაც ნათლად აისახება, როგორც ინგლისურ, ისე ქართული ენის სომატურ იდიომებში. ანუ ხერხდება სინონიმების ჩანაცვლება, მნიშვნელობა კი იგივე რჩება. მაგალითად:

*With all one's heart - with open arms (სულით და გულით)*

*keep in hand - play into smb's hands (სხვის ხელში ჩაეარდნა)*

*სული განუტევა - ფეხები გაფშიკა (გარდაიცვალა).*

*გაბრაზებულია - კბილებს იღესავს*

*კბილებს აყრევილებს*

*ბრაზი გულზე მოაწვება*

*ბოღმა გულზე მოაწვება*

აგრეთვე გვაქვს ისეთი სომატური იდიომები, ინგლისურ და ქართულ ენებში, რომლებშიც ერთი და იგივე სომატიზმთან გამოიყენება სხვადასხვა ზმნა, მნიშვნელობა კი იგივე რჩება. მაგალითად:

*წარბებს შეიკრავს*

*წარბები შეენასკვება გაბრაზდება*

*წარბები შეეყრება*

*give a hand*

*lend a hand*

დახმარების ხელი გამოუწოდა

*ყურების ჩამოყრა*

*ყურების ჩამოშვება* დადარდიანება

*show one's hand*

*reveal one's hands* ხელები გაეხსნათ

ან ერთი და იმავე ზმნასთან – სხვადასხვა სომატიზმი.

*გაეჩხირა* – პირში, ყელში

*გაეყინა* - ტვინი, სისხლი

*გაანძრია* - ტვინი, თავი

*წაღება* – ტვინის, გულის, ყურების

*use* - *your brains, one's head*

*throw in one's hands, in one's mouth*

სტრუქტურული მრავალფეროვნება ან ერთგვაროვნება სომატური იდიომის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. თუმცა არსებობს რამოდენიმე შეზღუდვა.

- 1) შეზღუდულია ჩანაცვლების შესაძლებლობა. ცნობილია, რომ შეუძლებელია იდიომში სიტყვა ისე ჩაგანაცვლოთ, რომ არ დაირღვეს მისი მნიშვნელობა. მაგალითად: *to give somebody the cold shoulder* ნიშნავს, ვინმეს ცუდად მიღებას, მის იგნორირებას. ხოლო თუ ჩვენ, ამ სომატურ იდიომში *the cold shoulder* ჩაგანაცვლებით *the warm shoulder* ან *cold elbow* მიღებული სომატური იდიომი გაურკვეველ აზრს ატარებს. ასეთივე შეზღუდვაა შემდეგ ქართულ სომატურ იდიომში: „*მარჯვენა ფეხი შემოდვი*” ამ სომატურ იდიომში შეუძლებელია მოხდეს ჩანაცვლება „*მარცხენა ფეხი*”. ამ სომატურ

იდომებში, მკაცრადაა შეზღუდული ჩანაცვლების შესაძლებლობა. რაც სომატოზმების აბსოლუტურ კოლოკვიალურ თვისებაზე მეტყველებს.

2) შეზღუდულია, ისეთი აბსოლუტური კოლოკვიალური სომატური იდომები, რომლებშიც არ ხერხდება დამატებითი კომპონენტის დამატება.

მაგალითად: *the call of the blood* - სისხლის ყვილი.

3) ასევე შეზღუდვას ისეთ აბსოლუტურ კოლოკვიალურ სომატურ იდომებში, რომლებშიც გრამატიკული ხასიათის ტიპური შეცდომაა.

მაგალითად: *from head to foot* – თავიდან ფეხებამდე.

ამ ინგლისურ სომატურ იდომში *foot* არ შეიძლება გამოვიყენოთ მრავლობით რიცხვში.

მაგალითად: *from head to feet* (თუმცა ხშირად გვხვდება, რაც შეცდომაა) ხოლო ქართულ სომატურ იდომში, ვიყენებთ მრავლობით რიცხვს და არა მხოლოდობითს.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა ფერსის ვარაუდი, რომელმაც პირველმა განაცხადა, რომ სიტყვა უნდა შევისწავლოთ მის კომპანიონ სიტყვასთან ერთად (ფერსი). რასაც ადასტურებს ზემოთ მოყვანილი მაგალითები და აშკარაა, რომ სიტყვები ჩვენი სურვილისამებრ არ უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგალითად საყოველთაოდ ცნობილია შემდეგი სომატური იდომები:

*have got nerves of steel*

რკინის ნერვები

*a war/battle of nerves*

ნერვების ომი

*skin and bone*

ძვალი და ტყავი

*baby and soul*

სული და ხორცი

*crocodile tears*

ნიანვის ცრემლები

*be in a flood of tears*

ცრემლების ნიაღვარი

*tooth and nail*

რაც ძალი და ღონე აქვს



ამ სომატური იდიომების არსებობა ინგლისურ და ქართულ ენებში იმაზე მეტყველებს, რომ მხოლოდ ისეთი სიტყვები ეწყოებიან ერთმანეთს, რომლებიც ერთმანეთს სემანტიკურად არიან დაკავშირებულნი. მათი ურთიერთდაკავშირება და შეთანხმება ეფუძნება სტილს და მათი გამოყენების დიაპაზონს. ამ შემთხვევებში არ ხდება მისი რომელიმე კონსტიტუენტის შეცვლა. ეს იდიომები გამჭვირვალეა თავიანთი ბუნებით და აბსოლუტური კოლოკვიალური უნივერსალიებია. მათში გამოხატულია იმ ლექსიკური ერთეულების თანმიმდევრობა, რომლებიც, როგორც წესი ერთად გვხვდებიან.

ჰუმბოლდტი ამბობდა, რომ „ერთი ენის ცოდნა, ალბათ, ადვილდება მეორის ცოდნით და საექვოა შევძლოთ, რომელიმე მათგანის საფუძვლიანი ახსნა ჭეშმარიტად დამაკმაყოფილებელი სახით, თუ არ მივმართავთ დასახმარებლად შედარებას ნებისმიერ სხვა ენებთან” (Гумбольдт 1985. 361). მდენად, ენათა ტიპოლოგიურ კვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ამ დროს ვითვალისწინებთ, როგორც ენის გრამატიკულ, ისე ლექსიკურ – სემანტიკურ ფაქტორებს, რომელთა საშუალებითაც ენაში ვეძებთ ენობრივ უნივერსალიებს.

ამგვარად, სომატიზმები თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ აბსოლუტურ უნივერსალიებს და განვსაზღვოთ მათი მიმართება კოლოკაციებთან. ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ სომატური იდიომების არა მარტო ლექსიკურ – სემანტიკურ მხარეს. არამედ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი გრამატიკული ფაქტორი.

საკვლეფ თემაში ჩვენს მიერ განხილული ყველა მაგალითი ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, სომატური იდიომების უნივერსალობაზე მიუთითებს. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ეს სომატური იდიომები არა მარტო კომპონენტური შემადგენლობით, არამედ მათი ლექსიკურ სემანტიკური მნიშვნელობითაც მსგავსია ნებისმიერ ენაში. თუმცა განსხვავებაც შეინიშნება განსხვავებული სომატიზმის გამოყენების თვალსაზრისითაც, მაგრამ ეს განსახვავება მოცემული სომატური იდიომის შინაარსზე გავლენას არ ახდენს, რაც სომატური იდიომების აბსოლუტური უნივერსალობის კიდევ ერთი დამადასტურებელია. ამ დებულების სამართლიანობა კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში:

*to rescue smb. from arms of death – სიკვდილს ხელიდან გამოსტაცო*

- have a road back* – მაგარი ზურგი აქვს
- have no blood in veins* – სისხლის გაშრობა
- rack one's brains about smth.* – ტვინის ჭყლეტა
- walls have ears* – კედლებსაც აქვს ყურები
- can't believe one's eyes* – თვალებს ვერ ვუჯერებ
- to make faces* – სახის მანჭვა
- have got a foot in the door* - ფეხი მოიკიდა საქმეში
- by within a hair's breadth* - ბეწვზე გადავრჩი
- force someone's hand* - ხელით სათრევია
- head over heels in love with* – თავდავიწყებით შეყვარება
- have one's heart in one's boots* – გული წინდებში ჩამივარდა
- to show a clean pair of heels* – მოქუსვლა; გაქუსვლა
- not have a leg to stand on* - ხელნასაჭიდი არაფერი მაქვს
- take the words out of smb's mouth* – სიტყვების ამოვლეჯა პირიდან

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ აბსოლუტური უმრავლესობა სრულიად იდენტურია როგორც ლექსიკური მნიშვნელობით ისე გრამატიკული სტრუქტურით. ვინაიდან თითოეული მათგანი უმეტეს წილად დაკავშირებულია ადამიანის სხეულის მოქმედებასთან, მოძრაობასთან, რაც სხვადასხვა კულტურისა და ენის მქონე ადამიანთა ქცევაში მსგავსი მოქმედებებით გამოიხატება და ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილება სულაც არ იწვევს სომატური იდიომების შინაარსობრივ ცვლილებას. რის საფუძველზეც კიდევ ერთხელ ვადასტურებთ სომატური იდიომების, როგორც აბსოლუტური უნივერსალიების არსებობას სხვადასხვა ტიპის კოლოკაციებში.

აშკარაა, რომ სამყაროში არსებული ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ენის მიერ სხვადასხვანაირად გამოიხატება, ვინაიდან აზროვნებას უშუალოდ ენა განაპირობებს, ხოლო აქედან გამომდინარე აზროვნება ქმნის კულტურას „ორივეს უკუგავლენა აქვს“ კულტურის აზროვნებაზე, აზროვნებას ენაზე,

მაშასადამე, იქმნება თავისებური წრე („ჯადოსნური წრე“) - კულტურა - ენა კულტურა, გაშუალებული აზროვნებით. ამ წრეშია მოქცეული ადამიანის ცნობიერება“. (ჯორბენაძე 1997; 14).

ამ ლოგიკური ჯაჭვის საფუძველზე ვასკვნიტ, რომ აზროვნება და ენა მჭიდრო ურთიერთკავშირში ერთმანეთთან, და ამასთანავე, ეს კავშირი პირდაპირ მიმართულია კულტურასთან, ხოლო თითოეული ხალხის კულტურა სხვადასხვაგვარი ქცევით აისახება და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სეპირ-უორფის თეორიის ძირითად დებულებას, რომ „ენა განსაზღვრავს ჩვენს მოქცევას“ ( უორფი). აქედან გამომდინარე, კი სოციოლინგვისტები თვლიან, რომ ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა, რომ აზროვნება ვლინდება ენობრივი ფორმით და რადგან სხვადასხვა ენის ენობრივი ფორმები ასე თუ ისე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხალხთან აზროვნების ნორმებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ანუ ენებში ვლინდება სხვადასხვა მსოფლხედვა (ჯორბენაძე 1997).

ენას შესწევს უნარი გარესამყაროს მთლიანობაში არსებული საშგნები და მოვლენები განაცალკევოს, ანუ ენის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ ესა თუ ის მოვლენა. ე.ი. „ენა საყმაროს ანალიზის შედეგად ენა აზროვნების შედეგია. ენა მეორადია. ცნობიერება - პირველადი. ენა არა მხოლოდ ასახავს, არამედ აფასებს კიდევ. ამიტომაც ენა კოლექტიური სუბიექტივიზმის შედეგია. საყმაროს შეცნობას ადამიანი ენის საშუალებით იწყებს. ამით იგი იმთავითვე ეზიარება სუბიექტურ თვალსაზრისს. ენა გავლენას ახდენს მის აზროვნებაზე მაშინაც, როცა მას მიზნად აქვს დასახული მაქსიმალური ობიექტურობით წარმოაჩინოს აზროვნებისეული მოვლენები (ჯორბენაძე 1997; 15).

## დასკვნა

ლინგვოკულტუროლოგია კომპლექსური მეცნიერული დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს და ურთიერთმოქმედებას მის ფუნქციობაში და ასახავს ამ პროცესს, როგორც ერთიან სტრუქტურულ ერთეულს მისი ენობრივი და არაენობრივი შინაარსის ერთობლიობაში. ენათმეცნიერი ხროლენკო განმარტავს, რომ: „ლინგვოკულტუროლოგია ეფუძნება იმ ფაქტის აღიარებას, რომ ენა, მენტალიტეტი და კულტურა ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და გულისხმობენ ერთმანეთს. ამიტომ არცერთი მათგანის იგნორირება არ შეიძლება და არცერთ მათგანს არ უნდა მიენიჭოს დომინანტური სტატუსი“. (Сроленко 2004; 28). სწორედ ამგვარია ჩვენი პოზიციაც ლინგვოკულტუროლოგიის აღქმის ასპექტში. მასში კულტუროლოგიას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს, ვინაიდან, მისი უმთავრესი საგანია კულტურა, რომელიც უშუალოდ ეპოქის არსსა და ბუნებას უკავშირდება. „კულტუროლოგიას აინტერესებს კულტურა, როგორც ინტეგრალი, ხოლო ეს ინტეგრალი დანახული უნდა იყოს ეპოქის სიდრმიდან“ (ღებანიძე 2006; 90). რაც „სიდრმის ფენომელოგიას“ უკავშირდება, რომელსაც გ.ღებანიძე განმარტავს და ამბობს, რომ „ზროვნების იმ მეთოდს, რომელიც ცდილობს შექმნა სიდრმის კონცეპტი, უნდა ვუწოდოთ სიდრმის ფენომელოგია“ (ღებანიძე 2006; 91) და იგი ასახიათებს იმ ნიშნებს, რომლებიც იგულისხმება ამ ფენომენში და ეპოქას ვხედავთ ამ ნიშანთა ერთობლიობაში. ესენია: „მისი სასიცოცხლო – ეგზისტენციალური მნიშვნება, დინამიურობა და ხდომილებრიობა, მისი უსასრულობა, მისი უძირობა და საბოლოოდ, მისი პულსაციურობა. კულტურაც როგორც ფენომენი უნდა დავინახოთ ამ არსებით ნიშანთა ერთობლიობაში“ (ღებანიძე 2006; 91).

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კულტურული მსგავსება - განსხვავებები შესაბამის ენობრივ ფრაზეოლოგიურ სტრუქტურებში უშუალოდ

აისახება, რომლებიც ერის სულის გამოვლინებაა, ხოლო სხვადასხვა ერის კულტურული ფასეულობები სხვადასხვაგვარი სომატიზმებით გადმოიცემა ენაში, აზრს პირდაპირ ზეგავლენას ამა თუ იმ ერის კულტურა ახდენს. თ.გამყრელიძე აღნიშნავს, რომ ენის ფარდობითობის თვალსაზრისით, პირველადი მნიშვნელობა ენიჭება კულტურას, რომელიც განაპირობებს ენის გამოყენების ტიპებს. ენაში სომატური იდიომების დახასიათებისას აუცილებელია არა მარტო სოციალურ – კულტურული ფაქტორების გათვალისწინება, არამედ აგრეთვე, შემეცნებითი და ემოციური ღირებულების სოციალური თვალსაზრისი. (გამყრელიძე; 2003)

სომატური ელემენტები ფრაზეოლოგიურ ერთეულებში თავისთავად უნიკალური მოვლენაა ენაში, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობის დიაპაზონით, ხატოვანებით და ექსპრესიულობით გამოირჩევა. განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება, რომ სომატური იდიომები, რადგან ისინი არსებობენ თითოეულ ენაში, ცალკე განსაკუთრებულ, ან თუნდაც გამონაკლის ჯგუფს მივაკუთვნოთ. ვინაიდან ენა და მისი შემადგენელი სიტყვები ადამიანის სულისა და აზროვნების მატერიალური ნიშნებით გამოვლინებაა. ოველივე ამის გათვალისწინებით, სომატურ იდიომებში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჯერ მის შინაარსს და შემდეგ ფორმას, რადგან სიტყვა და მისი ფორმა მოვლენის აღწერის, შინაარსის და აზრის გადმოცემას ემსახურება.

სომატიზმები, ლექსიკის ერთ-ერთ უძველეს ფენას წარმოადგენენ. მეცნიერთა შეხედულებით, ისინი ნებისმიერი ენის უნივერსალურ ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნებიან. დიდი სიხშირით გამოიყენებიან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში და ზოგჯერ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენენ. სომატიზმების ფართო კავშირები გარესამყაროს რეალებთან, რომელთაც საფუძველად უდევს ანთროპოცენტრიზმის პრინციპი, წარმოქმნის პირობებს ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილთა ფუნქციების სიმბოლიზაციისათვის და ლექსიკური ჯგუფის ლექსემათა გადატანითი მნიშვნელობების რთული სისტემის შექმნისა და სომატური სიტყვათშეთანხმებების ფრაზეოლოგიზაციისათვის.

სომატური კომპონენტის შემცველი ფრაზეოლოგიზმების შესწავლა მათი წარმოქმნის ანუ იმ პროცესის ანალიზის თვალსაზრისით, რომლის შედეგადაც

ამა თუ იმ ენაში ხდება სომატური იდიომის წარმოქმნა, საშუალება გვაძლევს მოხდეს სომატური იდიომების დაყოფა მათი წარმომქმნელი წყაროების შემდეგი ტიპების მიხედვით:

1. სომატური იდიომები, რომელთა თავდაპირველი თავისუფალი შესიტყვება ასახელებს უესტებს, სხეულის მოძრაობას. ასეთი სომატური იდიომი როგორც წესი, გამოხატავენ ადამიანის შესაბამის ემოციურ, ფსიქიკურ მდგომარეობებს. ამ შემთხვევაში სომატური იდიომი გამოხატავს უესტის აღწერასაც და ამ უესტის სიმბოლურ მნიშვნელობასაც.

მაგალითად: *„ხელს თავში იცემს“* – გამოხატავს უესტს და მნიშვნელობას *„ჯავრობს, ნანობს, წუხს“*. ინგლისური სომატური იდიომი *to hang down one's head* – თავის ჩაქინდვრა (*წუხს, ნანობს*)

2. სომატური იდიომები, რომელთა საწყისი თავისუფალი შესიტყვება აღნიშნავს მიმიკას. ეს სომატური იდიომები, შესაბამისად, შეიცავენ კომპონენტებს „თვალი“, „პირი“, „სახე“ და ა.შ., ანუ სახის იმ ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლებიც მონაწილეობენ მიმიკის რეალიზებაში. ეს სომატური იდიომები გამოხატავენ ამა თუ იმ მიმიკას და ამავდროულად ადამიანის ემოციურ-ფსიქიკურ მდგომარეობას.

მაგალითად: *"flirt with one's eyes"*

*„თვალები გადმოკარკლა“*

*"make eyes at smb"*

*„თვალები დააბრიალა“* და ა.შ.

3. სომატური იდიომები, რომელთა წარმოქმნა უკავშირდება სხვადასხვა ფიზიოლოგიურ შეგრძნებას. ჩვეულებრივ ეს არის ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობით ან სხვადასხვა გრძნობით გამოწვეულ ფიზიოლოგიურ შეგრძნებათა აღწერა: *"something makes (made) smb's hair stand on end"* *„თმები ყაღვზე დაუდგა“*

4. სომატური იდიომები, რომელთა პროტოტიპები აღწერენ წეს-ჩვეულებებს, რიტუალებს, სიმბოლურ მოქმედებებს, ცრურწმენებს. ასეთ ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია არამოტივირებულობა, ანუ პირდაპირი კავშირის არარსებობა იმ სიტუაციასთან, რეალობის ფაქტთან, ობიექტურ სინამდვილესთან, რომელიც წარმოქმნის ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულს. მაგალითად: „ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს“...

წარმოდგენილ საკვალიფიკაციო ნაშრომში ინგლისური და ქართული ენების სომატური იდიომების შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

1. სომატური იდიომა წარმოადგენს ენობრივად მარკირებულ ლინგვოკულტუროლოგიურ სტერეოტიპს, რომელიც ნებისმიერ ტექსტში ან სიტუაციაში ავტორის ინტენციის სახეს იღებს და მისი რაციონალური და ემოციური შეფასების სისტემით გადმოიცემა;

2.. ორივე ენაში სომატური იდიომების კლასიფიკაციის საფუძველად ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიზაციის პრინციპი გამოვიყენეთ „რამაც ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკის ახსნის შესაძლებლობა მოგვცა; სომატური ელემენტების ფუნქციონირების ახლებური გააზრებისას სომატური იდიომების ჯგუფები მეტყველების ნაწილებთან არის კორელაციურ მიმართებაში;

3. სომატური იდიომების შინაარსობრივი პლანი ორივე ენაში ერთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არსებულ განსხვავებას განაპირობებს კონკრეტული ენობრივი სისტემებით დეტერმინირებული გამოსატყულების პლანი;

4. ანალიზის შედეგად ქართული და ინგლისური ენების მასალაზე გამოიკვეთა სომატური იდიომების უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური მახასიათებლები და დადგინდა მათი ფუნქციონირების პრესუპოზიციული მექანიზმი.

5. სომატური იდიომების ზოგადი ბუნება ერთნაირია ქართულ და ინგლისურ ენებში თუმცა, ამ ერების კულტურებიდან გამომდინარე, ამ ორ ენაში არის მსგავსი და განსხვავებული სომატური იდიომები.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. გამყრელიძე, თ., კიკნაძე ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.
3. იმედაძე ი. ფსიქოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „მწიგნობარი“ თბილისი, 2007.
4. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (მრავალტომეული რვეულებად), თბილისი, 1995-2001.
5. კირვალიძე ნ. კობახიძე შ. მეტაფორული აზროვნება და ხატოვანი შედარებები. თბილისი, 2006.
6. ლებანიძე, გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2004.
7. - - - ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში (ზოგადთეორიული საკითხები). თბილისი: „ენა და კულტურა“, 1997.
8. - - - *სიღრმეთა დიალოგი და “ტრაგიკული ტრიადა”*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2006.
9. ნებიერიძე, გ. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1991.
10. **ონიანი ალ.** ქართული იდიომები. თბილისი, 1988.
11. რამიშვილი დ. ენობრივი პროცესის ფსიქოლოგიური მექანიზმი და შემეცნების თეორია. თბილისი. 1980
12. რუსულ- ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1983.
13. სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტვა-თქმანი ტ. I, II, III. სახლგამი. თბილისი, 1953-1955.
14. **ფონხუა ბ.** ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974.
15. **ქართული ანდაზები.** შეადგინა ა. კანდელაკმა. თბილისი, 1953.



16. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რეატიმეული). თბილისი, (1950-1964).
17. ჭრელაშვილი, კ. *ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
18. ჯავახიშვილი ქ. ანდაზები, აფორიზმები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში . „ნაკადული“. თბილისი, 1990.
19. ჯორბენაძე ბ. ენა და კულტურა. „ქართული ენა“, თბილისი, 1997.
20. Авронин В.А. Проблемы изучения функциональной стороны языка (К вопросу о предмете социолингвистики). "наука", Ленинград 1975.
21. Аплесян Ю. Д. Образ человека по данным языка: попытка системного описания//Вопросы языкознания. 1995. р. 1с. 37-67.
22. Апресян Ю.Д. Языковая картина мира и системная лексикография//Языки славянских культур. М., 2006.
23. Англо-русский словарь. составил профессор В. К. Мюллер. М., 1982.
24. **Арутюнова Н. Д.** □Метафора и дискурс□ в кн.: □Теория метафоры□. М., □Прогресс□. 1990.
25. Ахманова О. С. Словарь лингвистических терминов. М., 1966.
26. белл Р.Т. Социолингвистика. Целы, методы и проблемы. (перевод с английского). "Международные отношения". Москва 1980.
27. Брагина А.А. Лексика языка и культура страны. М., 1981. 176 с.
28. Булаховский Л.А. Введение в языкознании. ч. II. М., 1954. 174 с.
29. Бурмистрович Ю.Я. образование фразеологизмов как процесс. Осуществляемый по моделям. - Сб. Вопросы семантики ФЕ, ч. I, Тезисы докладов и сообщений. Новгород, 1971, с. 9-12.
30. Верещагин Е.М., костомаров В.Г. Язык и культура. М., 1983. 269 с.
31. Вехбцкая А. Сопоставление культур через постредство лик5сики и промاتيки. Москва. 2001.
32. **Вендина Т. И.** Введение в языкознание. М., 200123.
33. **Виноградов В. В.** Избранные труды. Лексикология и лексикография. М., 1977.
34. Гак В.Г. Сопоставительная лексикология, М., 1977.
35. Гахилина Е.В. Основные идей когнитивной семантики ("Фундаментальные направления Сборник Образов). Москва 1997. "Московский Государственный Университет".
36. Гвоздарев Ю.А. Сопоставительное описание фразеологии разных языков. - Сб. Образование и функционирование фразеологических единиц. Ростов, 1981. с. 116-121.

37. Гринберг Дж., Осгуд Ч., Дженкинс Дж. Меморандум о языковых универсалиях. Новое в лингвистике. У. М., 1970. с. 31-45.
38. Гумбольт В. Избранные сочинения по вопросам языкознания. Москва. 1969.
39. Гумбольт В. Язык и философия культуры, "Прогресс", Москва. 1985.
40. Гудков Д.Б. Процедентное имя и проблема процедурности. М., 1999.
41. Гудевич П.С. Культурология. М., 2006.
42. **Гак В. Г.** К Типологии лингвистических номинаций в кн.: языковая номинация. М.: □Наука□, 1977.
43. **Гак В. Г.** Сопоставительная лексикология. Л., 1982.
44. **Гируцкий А. А.** Введение в языкознание. Минск, 2003.
45. **Гумбольдт В. Фон** Язык и философия культуры. Перевод с немецкого. Под общей ред. А. В. Гулыги и Г. В. Рамишвили. М., 1985.
46. Де Соссюр Ф. Курс общей лингвистики. - В книге: Труды по языкознанию - Москва Прогресс, 1977.
47. Долгополов Ю.А. Сопоставительный анализ соматической фразеологии (на материале русского, немецкого и английского языков). АКД. Казань, 1973, 27 с.
48. Ельмслев Л. Прологомены к теории языка//Новое в лингвистике. Вып. 1. Москва, 1960.
49. Звегинцев В.А. очерки по общему языкознанию. М., 1962, 384 с.
50. **Земская Е. А.,** Китайгородская М. В., Ширяев Е. Н. Русская разговорная речь. Общие вопросы. Словообразование. Синтаксис. М., 1981.
51. Карасин В.И. Языковой круг; личность, концепты, дискурс. Москва, 2004.
52. Касевич В.Б. Язык и культура. 2005.
53. Кацнельсон С.Д. Лингвистическая типология. \_ ВЯ. 3, 1983.
54. Каресин В.И. Языковой круг: личность, концепты, дискурс. Москва, 2004.
55. Квачадзе Л.М. Синтаксис современного грузинского языка, Тбилиси, 1977, 476 с. (на груз. яз).
56. кириллова Н.Н. Компонент фразеологической единицы и слово. АКД. Л-д. 1975. 19 с.
57. Коул М. Скрибнер С. культура и мышление. "Прогресс". Москва. 1977.
58. Кунин А.В. Фразеология современного английского языка. М., 1972. 288 с.
59. Кресных В. этнописхोलингвистика и лингвокультурология. Москва, 2002
60. Лакофф Дж. Прагматика в естественной логике// Новое в зарубежной лингвистике. Выпуск 16, Москва. 1985.
61. Леонтьев А.А. Психологические единицы и порождение речевого высказывания. Москва. 2001.

62. **Маслова В.А.** Лингвокультурология. Учебное пособие для студ. высш. учебн. заведений. М.: " Академия " , 2001.
63. **Маслова В.А.** Когнитивная лингвистика. Учебное пособие. Минск, Тетрасистемс, 2004.
64. **Маслов Ю. С.** Введение в языкознание. М., 1998.
65. Маслова В.А. Лингвокультурология. М., 2001.
66. **Мечковская Н. Б.** Общее языкознание. М., 2001.
67. **потехня А.А.** Мисль и язык/История языкознания XIX-XX вв. в очерках и извлечениях. М., 1960.
68. **Руденко Б.Т.** Грамматика грузинского языка. М.-Л., 1940. 275 с.
69. **Середина К.Г.Томлянович А.К. Краснянская И.А.** Идматика в Английской Речи изд. "просвещение" Ленинградское Отделение. Ленинград - 1971.
70. **Степанов Ю.С.** константы; Словарь русской культуры. Москва. 2001.
71. **Степанов Ю.** Константы; Словарь русской культуры. Москва. 2001.
72. **Сорокин Ю.А.** Психолингвистические аспекты изучения текста. Москва. 1985.
73. **Телия В. Н.** Что такое фразеология. М., 1966.
74. **Телия В.Н.** архетипические представления как источник меафорических процессов. лежащих в основе образа мира//XII Международный симпозиум по пихолоингвистике и теории коммуникации. Москва, 2-4 июня 1997. М. 1997. с. 150-151.
75. **Телия В.Н.** Фразеология в контексте культуры. М. 1999.
76. **Тер-Минасова С.Г.** Изменение социальной рол русского языка в совр. условиях//Мир Русского слова. 2002. №2.
77. **Уфимцева А.А.** Слова в лексико-семантической системе языка. М., 1968. 272 с.
78. **Фаенова М.О.** Обучение Культуре общения на Английском языка. Москва. изд. "Высшая Школа" 1991.
79. **Хайдеггер** Новое в зарубежной линвгистике. Выпуск VIII. Москва 1978.
80. **Хойер Г.** Антропологическая линвгистика. ("Новое в лингвистике". Вып. IV) "Прогресс" Москва. 1965.
81. **Хизанишвили Н.Г.** Некоторые проблемы исследования глагольных форм на материале английского и грузинского языков. Известия АН ГССР, Серия языка и литературы, 1978, 3, с. 164-173.
82. **Хроленко А.Т.** Основы Лингвокультурологии. М., 2004.
83. **Хралгнко А.Т.** Основы лингвокультурологии. Москва. 2004.

84. Якобсон Р. Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое исследование. Новое в лингвистике, вып. III, М., 1963.
85. Ярцева В.Н. Контрастивная грамматика. М., 1981.
86. Ярцева В.Н. типология языков и проблема универсалий. ВЯ, 1976, 2.
87. Bach, K., and Harnish, R. *Linguistic Communication and Speech Acts*. Cambridge: MA: MIT Press, 1979.
88. Boatner M.T., Gates J.E. A Dictionary of American Idioms. Rev. ed. New York, 1975.
89. Bloomfield, L. *Sentence and Word*. New York: Henry Holt, 1914.
90. Bloomfield, L. 1914. [\*Introduction to the Study of Language\*](#). New York: Henry Holt, 1983.
91. Chomsky, N. . *Aspects of the Theory of Syntax*. N.Y : MIT Press, 1965.
92. Collins V.H. A book of English Idioms With Explanations. Longmans, Green and Co. London-New York-Toronto. 1960.
93. Cowie, A. P. *Phraseology*. In *The Encyclopedia of Language and Linguistics*, ed. R. Asher, Oxford: Pergamon Press, 1994.
94. Cowie, A. P., Mackin, R., and McCaig, I. *Oxford Dictionary of Current Idiomatic English*. Oxford: Oxford University Press, 1983.
95. Cruse, D. A. *Lexical Semantics*. Cambridge: Cambridge University Press, 1986.
96. Cruse A., *Meaning in Language: an introduction to semantics and pragmatics*. Oxford University Press, 2000
97. Cruse A. *Meaning in Language: An Introduction to Semantics and Pragmatics*. Oxford: Oxford University Press, 2000.
98. Crystal, D. *The Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge: Cambridge University Press, 1987.
99. Crystal V., *English as a Global Language*, Cambridge University Press, Cambridge, 1997
100. Davis, W. A. *Meaning, Expression, and Thought*. New York: Cambridge University Press, 2003
101. Dixon J.M. *English Idioms*. London, etc., 1927.
102. Ducrot, O., Todorov, T. *Encyclopedic Dictionary of the Sciences of Language*. N.Y : The Johns Hopkins University Press, 1979.
103. Duranti A., *Linguistic Anthropology*, Cambridge University Press, Cambridge, 1997
104. Fasold, R. *The Sociolinguistics of Language*. Oxford: Basil Blackwell, 1990
105. Foley W.A. *Anthropological Linguistics, An Introduction*, "Basil Blackwell", Oxford, 1997
106. Fraeley W., *Linguistic Semantics*, Hillsdale, New Jersey, Lawrence Earthaum Associales, Inc. 1992

107. Fraser B. *The verb-particle combination in English*. New York: Academic Press, 1976.
108. Freeman W.A. *Concise Dictionary of English Idioms*. 3d. ed. London, 1973.
109. Green, G. M. *How to get people to do things with words*. New York: Academic Press, 1975.
110. Green, G. M. *Pragmatics and Natural Language Understanding*. Hillsdale, N. J.: Erlbaum Associates, 1989.
111. Grice, H. P. *Meaning*. New York: Doubleday & Co., 1965.
112. Grice, H. P. *The causal theory of perception*. New York: Doubleday & Co., 1965.
113. Grice, H. P. *Logic and conversation*. New York: Academic Press, 1975. Reprinted in *Studies in the Way of Words*, ed. H. P. Grice. Cambridge: MA: Harvard University Press, 1989.
114. Healey A. *English Idioms*. Kivung 1:2, 71-108, 1968
115. Henderson B.L. K. *A Dictionary of English Idioms*. London, 1954-1964. P. 102.
116. Humboldt W. *The Heterogeneity of Language and its Influence on the Intellectual Development of Mankind*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.
117. Hoijer H. *Language in Culture*, Chicago University Press, Chicago, 1954
118. Hornby A. S. *Oxford Advanced Learner's Dictionary*. Oxford University Press, 1989.
119. Hymes D. H. *Language in Culture and Society*, New-York-London (1964) 1966, "Harper and Row"
120. Kates, C. *Pragmatics and Semantics*. Ithaca, N. Y.: Cornell University Press, 1980.
121. Kramsch C. *Language and Culture*, "Oxford University Press", Oxford, 1998
122. Kovecses zoltan, *emotion concepts*, New York, etc., Springer-Verlag, 1990.
123. Lakoff George, Johnson Mark, *Metaphors We live by*, Chicago, 1980.
124. Lakoff George, Kovecses Zoltan, *The cognitive model of anger inherent in american English//Cultural models in lanugage and though*. Cambridge. Cambridge University Press, 1987.
125. *Lakoff, G. and Johnson, M. Philosophy in the Flesh: The embodied mind and its challenge to Western thought. New York: Basic Books, 1999.*
126. Lakoff R. T. *Language and Women's place (Revised and Explained Edition )*, Oxford University Press, Oxford, 2003
127. Leech, G. *Principles of Pragmatics*. London: Longman, 1983.
128. Levinson, S. C. *Pragmatics*. Cambridge: Cambridge University Press, 1983.
129. Lewis, D. *Languages and language*. Minneapolis: University of Minnesota Press, 1975. New York: Oxford University Press, 1996.
130. Lewis D. *General Semantics*. In Davidson D. and Harman G. (eds.) *Semantics of Natural Language*. Dordrecht: D. Reidel, pp.169-218, 1972.

131. Lyons, J. *Structural Semantics*. Oxford: Oxford University Press, 1964.
132. Lyons, J. *Introduction to Theoretical Linguistics*. Oxford: Oxford University Press, 1968.
133. Maclin A. Reference Guide to english. A handbook of English as a second language. 1992.
134. Matthew M.M. A Dictionary of Americanisms. Chicago, 1956.
135. Nagy W. *Some non-idiom larger-than-word units in the lexicon*. In Papers from the parasession on the lexicon. Chicago: Chicago Linguistic Society, pp. 289-300, 1978.
136. *Oxford English Dictionary*, Oxford: Oxford University Press, 1976
137. Palmer F.R. Semantics. A New Outline. Cambridge. Cambridge University Press. London-New York - Melbourne 1976.
138. Posner, R. *Semantics and pragmatics of sentence connectives in natural languages*. Amsterdam: Reidel, 1980.
139. Russell, B. *On denoting*. In *The Philosophy of Language*. Oxford: Oxford University Press, 1990.
140. Ruhl C. Kick the bucket is not an idiom. Interfaces 4.2-4, Washington DC: Georgetown University, 1975.
141. Sadock, J. M. *Toward a Linguistic Theory of Speech Acts*. New York: Academic Press, 1974.
142. Sapir E. Culture, Language and Personality, Berkeley and Los Angeles 1949, "University of California Press"
143. Sapir E. Language. New York, 1939.
144. *Saussure de F*. The Course of General Linguistics New York: New York University Press, 1916.
145. Seidl J. McMordie W. English Idioms. A fifth edition of English Idioms and How to use them. Oxford University Press. 1998.
146. Shaul D. L. and Furbee N. L. Language and Culture, Prospect Heights 1998, "Waveland Press, Inc."
147. Smith A. Communication and Culture, New York, 1996 "Holt"
148. Sperber, D., and Wilson, D. *Relevance: Communication and Cognition*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1986.
149. Talmy L. Toward a Cognitive Semantics, Vol I: Concept Structuring Systems: vol 2: Typology and Process in Concept Structuring, Cambridge, Mass; 2000, "The M. I. T. Press"
150. Taylor J. R. Cognitive Grammar ("Oxford Textbooks in Linguistics"). Oxford 2002: "Oxford University Press"
151. van Dijk, Teun A. *Pragmatics and Poetics*. Amsterdam: North-Holland, 1976

152. Vizetelly F. H., De Bekker L. J. A Desk Book of Idioms and Idiomatic Phrases. New York; London, 1926.
153. Vladovskaya I.S. Colloquial English Phrases and Idioms. High School Publishing House. Moscow. 1970.
154. Wierzbicka, A. *Different cultures, different languages, different speech acts*. Berlin: Mouton de Gruyter, 1985.
155. Wierzbicka, A. *Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction*. New York: Mouton de Gruyter, 1991.
156. Wierzbicka, A. *Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction*. Berlin: Mouton de Gruyter, 2003
157. Wood F.T. English Colloquial Idioms. London and Basingstoke, 1970.
158. Wood M. M. *A Definition of Idiom*. Bloomington: Indiana University Linguistics Club, 1986.
159. Worrall A.J. English Idioms for Foreign Students. London, 1944.
160. Wood F.T. English Prepositional Idioms. London; New York, 1967.
161. Wood F.T. English Verbal Idioms. New York, 1967.
162. Whitford H.C., Dixon R.A. Handbook of American Idioms and Idiomatic Usage. New York, 1973.

## English Somatic Idioms

### **/Arm/**

cost smb. an arm and a leg; give one's right arm; keep (hold) smb. at arm's length; a shot in the arm; twist smb's arm; with open arms; arm in arm; armed to the teeth; chance one's arm get a shot in the arm; nudge sb's arm; (you and whose army?) up in arms; keep smb's belongings within arm's reach; the long arm of sb. to be in debt up to the arms; in the arms of morpheus; to rescue smb. from the arms of death, to fold one's arms, arm against; arm for; arm with; s to welcome smb. with open arms; to throw oneself into smb's arm; to run/to rush, to fling, to fly/into smb's arms; to arm oneself with knowledge.

a shot in the arm-smth. that does a person good. give one's right arm - be willing/prepared to make great sacrifice in order to do/get smth.

### **/back/**

against the back of crisis

